

თამარ გაგოშიძე, თინათინ ჭინჭარაული,  
ექთევან ფილაური, მანია ბაგრატიონი

**ინკლუზიური  
განათლების  
პრინციპები**

მასალა მოამზადეს: შორენა მამუკაძემ, ანა ყარაულაშვილმა,  
თამარ ხაჯალიამ

რეცენზენტი: ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი  
ქეთევან მაცაშვილი

რედაქტორი: მ. ხელაშვილი

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

ყდაზე გამოყენებულია თათა ლომიძის ნახატი

© თამარ გაგოშიძე, თინათინ ჭინჭარაული,  
ქეთევან ფილაური, მათა ბაგრატიონი, 2008



წიგნი დაბეჭდილია ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“  
ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემლობა „ნეკერი“, 2008

ISBN 978-9941-404-05-4

## სარჩევი

შესავალი	5
<b>უნარშეზღუდულობა და ნორმა</b>	<b>7</b>
<b>საგანმანათლებლო მიდგომები</b>	<b>13</b>
როგორ ვასწავლოთ? სწავლების ალტერნატივები	19
რა არის ინკლუზიური განათლება?	28
ინკლუზიური განათლების არგუმენტები და კონტრარგუმენტები	31
ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული შიშები	35
ინკლუზიური განათლების უპირატესობა და სარგებელი	41
ინკლუზიური სწავლების მოდელები	41
<b>არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობა</b>	<b>49</b>
სად შეიძლება იყოს პრობლემა?	51
ყურადღება და იმპულსის კონტროლი	52
მეხსიერება	53
მეტყველება	54
ვიზუალურ — სივრცითი უნარები	58
ორგანიზაციული უნარები	59
პიროვნულ-ემოციური სფერო	60
მოტორული განვითარება	61
შემთხვევის გარჩევა	66
არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობის ნიშნები	68

<b>კლასის მართვა</b>	<b>71</b>
ინკლუზიური კლასის ორგანიზაცია	72
ა) ფიზიკური გარემო	73
ბ) საკლასო რუტინა	78
1. საკლასო წესები	81
2. ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიები სასკოლო ოთახში	88
არასასურველი ქცევის შეფასება და მართვა	109
ქცევის შეფასებისა და მართვის ზოგადი პრინციპები	109
აგრესიული ქცევა	122
დამხმარე საშუალებების გამოყენება და მოდიფიკაცია	133
<b>ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა</b>	<b>137</b>
რა არის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა	138
რა არის ი.ს.პ. გუნდი	140
ი.ს.პ. და ეროვნული სასწავლო გეგმა	145
ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და განხორციელების პროცესი	152
1. მიმართულების განსაზღვრა	153
2. ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება	157
3. ი.ს.პ.-ს შექმნა და გაფორმება	160
4. ი.ს.პ.-ს განხორციელება, შეფასება და პერიოდული მიმოხილვა	168
<b>ნიმუშები</b>	<b>177</b>
<b>ლიტერატურა</b>	<b>187</b>

## შესავალი

განათლების ხელმისაწვდომობა, განუზრუნვლად უნარ-შესაძლებლობისა, სოციალური, პოლიტიკური თუ ეთნიკური კუთვნილებისა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებია.

დღეს საქართველოში ფართოდ გავრცელდა ინკლუზიური განათლების იდეა, რასაც განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა შეუწყო ხელი. სკოლის საგანმანათლებლო რეფორმის ამოსავალ წერტილს მოსწავლე და მისი მოთხოვნები წარმოადგენს. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ განსხვავებული შესაძლებლობებისა და მოთხოვნების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები დააკმაყოფილოს. ამ საკითხით სახელმწიფოს დაინტერესებამ კონკრეტული ქმედებების სტიმულირება განაპირობა. კერძოდ, თბილისის 10 სკოლაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის ხელშემწყობ პროგრამას; ამავე დროს, მასწავლებლის სახელმწიფო სტანდარტში გათვალისწინებულია ინკლუზიური სწავლების პრინციპების ცოდნის აუცილებლობა.

მიუხედავად ამისა, სასკოლო განათლების სფეროში ინკლუზიური განათლების არსისა და ფილოსოფიის შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენაა. მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამები არ ითვალისწინებს ინკლუზიური მიდგომის პრინციპების სწავლებას. ლოგოპედის, ფსიქოლოგისა თუ სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადებასაც იგივე ნაკლოვანება აქვს. ჯერ კიდევ არ არსებობს ქართულ სინამდვილეში დანერგილი და პრაქტიკულად გამოცდილი ინკლუზიური განათლების მოდელები, მწირია მულტიდისციპლინურ გუნდში მშობელთან თანამშრომლობის, სპეციალისტებისა და მასწავლებლების ერთობლივი მუშაობის გამოცდილება. განათლების მუშაკებისათვის ბუნდოვანი და გაურკვეველია ნორმალური განვითარებისა და უნარშეზღუდულობის ცნებები, ბავშვის განსხვავებული განვითარების თავისებურებები. ამიტომ ინკლუზიური განათლების პრინციპების სკოლაში დანერგვას სერიოზული და საფუძვლიანი მომზადება სჭირდება, რაც გუ-

ლისხმობს კონკრეტული სკოლის სპეციფიკისა და გარემოს გათვალისწინებას, სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, ტექნიკური პერსონალის, ჯანმრთელი ბავშვების, პრობლემური და ჯანმრთელი ბავშვების მშობლების, სკოლის დამხმარე სპეციალისტების (ლოგოპედი, სპეციალური განათლების მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი) გათვითცნობიერებასა და ჩართვას ინკლუზიური განათლების პროცესში. განსაკუთრებით აქტუალურია მასწავლებლების მიერ ბავშვის ნორმალური განვითარების კანონზომიერების, ნორმიდან გადახრის თავისებურებებისა და მათი დახმარების სტრატეგიების ცოდნა, მასწავლებლებს, მშობლებსა და პროფესიონალებს შორის ინტენსიური თანამშრომლობა და სასწავლო პროცესის დეტალური დაგეგმვა.

შესაბამისად, მოსამზადებელი სამუშაოების, მასწავლებელთა აქტიური ჩართულობისა და სხვადასხვა სპეციალისტების თანამშრომლობის გარეშე დიდია ინკლუზიური განათლების იდეის დისკრედიტაციის საშიშროება.

წარმოდგენილი წიგნი განკუთვნილია პედაგოგებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისა და სპეციალისტებისთვის. მასში აღწერილია ინკლუზიური განათლების პრინციპები და ფილოსოფია და შედარებულია სხვა საგანმანათლებლო მიდგომებთან, განხილულია ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული მცდარი წარმოდგენები და ილუზიები, წარმოდგენილია მოსწავლის გაკვეთილში ჩასართავად საკლასო რუტინისა და კლასის მართვის პრინციპები და პრაქტიკული რჩევები, აგრესიული ქცევის მართვის სტრატეგიები და ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავების პრინციპი, პროცედურა და პრაქტიკული რეკომენდაციები.

აღნიშნული წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს ინკლუზიური განათლების არსის გაგებაში, მოსწავლეთა პრობლემების განსაზღვრასა და სასწავლო პროცესში მათი მაქსიმალურად ჩართვის შედეგიანი სტრატეგიის შერჩევაში, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის დანიშნულებისა და მისი შექმნის პრინციპების დაუფლებაში.

## უნარშეზღუდულობა და ნორმა

WHO-ს საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციით გამოყოფილია უნარშეზღუდულობის სამი ხარისხი:

✧ დაზიანება/დარღვევა – ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების ორგანული დაზიანება ან ინდივიდის ფსიქიკური აშლილობა, რომელიც იწვევს ადამიანის ფუნქციონირების დროებით დაქვეითებას სხვადასხვა სფეროში;

✧ უნარშეზღუდულობა – დაზიანების/დარღვევის შედეგად გამონვეული უნარის/უნარების დროებითი ან ქრონიკული შეზღუდვა ფიზიკურ ან ფსიქიკურ სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე (თვითმომსახურება, სწავლა, შრომა, დასვენება, კომუნიკაცია);

✧ ინვალიდობა – ინდივიდის მიერ მოცემულ საზოგადოებასა და კულტურაში მიღებული ასაკის შესაფერისი როლის შესრულების შეუძლებლობა.

უნარშეზღუდულად ითვლება ადამიანი, ვისაც აქვს ისეთი ფიზიკური ან/და ფსიქიკური დარღვევა, რომელიც მყარ და ხანგრძლივ ზეგავლენას ახდენს ყოველდღიური საქმიანობის შესრულების უნარზე. ამ დროს გასათვალისწინებელია ყოველდღიური საქმიანობის ცნება. იგი გულისხმობს როგორც მოქმედებას, ასევე მონაწილეობას. მაგ. მოქმედებაა ჩაცმა, საყიდლებზე წასვლა ან რაიმეს დასწავლა; მონაწილეობა კი ნიშნავს ინდივიდის ცხოვრებისეულ სიტუაციაში ჩართვას და მის მიერ თანამონაწილეობის განცდას.

შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობა გულისხმობს:

➤ შეზღუდვას მოქმედებაში, აქტივობაში – აქტივობის განხორციელების სირთულეები.

➤ შეზღუდვას მონაწილეობის შესაძლებლობაში – სხვადასხვა ყოფით სიტუაციაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის სირთულეები (ICF, WHO).

ინვალიდობა უფრო სოციალური ხასიათის ცნებაა – ორი ერთნაირი უნარშეზღუდულობის მქონე პიროვნებისგან ერთი შეიძლება ინვალიდი იყოს, მეორე კი – არა. ინვალიდობა არ არის უნარშეზღუდულობის ხარისხის პირდაპირპროპორციული;

მსუბუქი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი, რომელსაც შეუძლია, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ასრულებს თავისი ასაკისა და კულტურისათვის შესაფერის საზოგადოებრივ როლს, შეიძლება ინვალიდად ჩაითვალოს.

იმ ადამიანთა ჯგუფის განსაზღვრაში, რომლებიც სწავლების განსაკუთრებულ პირობებს საჭიროებენ, ტრადიციულად გამოყოფენ 5 ძირითად კატეგორიას:

- ფსიქიკური აშლილობები,
- სიბრმავე,
- სიყრუე,
- ფიზიკური შეზღუდვები,
- გონებრივი ჩამორჩენილობა.

როგორც ვხედავთ, უნარშეზღუდულობის დეფინიციაში ძირითადი ადგილი „დეფიციტს“ უკავია, ანუ იმას, თუ რისი გაკეთება **არ შეუძლია ადამიანს**. ამ „დეფიციტის“ მიხედვით ხდება უნარშეზღუდულობის ხარისხის განსაზღვრა. საგულისხმოა, რომ ორი ერთნაირი „დეფიციტის“ მქონე პირს შეიძლება სრულიად განსხვავებული სახის შეზღუდვები ჰქონდეს აქტივობებსა და ასევე ცხოვრებისეულ სიტუაციაში მონაწილეობისას. ეს იმიტომ, რომ ერთია პოტენციური უნარი და მეორე – მისი რეალიზაციის შესაძლებლობა.

შეიძლება ადამიანი არ იყოს უნარშეზღუდული, მაგრამ თავისი ასაკის შესაბამისად საკუთარი უნარების რეალიზაციას ვერ ახერხებდეს და გახდეს ინვალიდი. სწორედ ამიტომ მრავალი ქვეყანა თვლის, რომ სპეციალური სასწავლო გარემოს შექმნა იმ ადამიანებსაც ესაჭიროებათ, რომლებიც არ არიან უნარშეზღუდული, მაგრამ არახელსაყრელ სოციალურ პირობებში იმყოფებიან და საკუთარი უნარების რეალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ (ობლები, უსახლკარო ბავშვები, იძულებით გადაადგილებული პირები, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები).

როდესაც საუბარია უნარშეზღუდულობასა და ინვალიდობაზე, ბუნებრივია, იგულისხმება **კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ გარემოში** და **ასაკის** გათვალისწინებით მიღებული მოქმედებების, ქცევისა და მონაწილეობა-ჩართულობის სტანდარტი – ე.წ. „ნორმა“.



„ნორმა“ – „ნორმიდან გადახრა“, ამ ტერმინების ფარგლებში ხდება უნარშეზღუდულობის საკითხებზე საუბარი. სპეციალისტები, ძირითადად, დარღვევების დიფერენციალზე ამახვილებენ ყურადღებას. თანამედროვე დეფექტოლოგია და მედიცინა მიმართულია ე.წ. სეგრეგაციაზე – „ბავშვების განაწილება-დახარისხებაზე“. ეს ხშირად ხორციელდება არა იმ მიზნით, რომ მოხდეს ბავშვის ადეკვატური დახმარება, არამედ იმისთვის, რომ ის გარკვეულ ნოზოლოგიას მიენეროს და კონკრეტულ კატეგორიაში დაჯგუფდეს.

თუმცა დღეს სიტუაცია არც ასე მარტივადაა და წმინდა სამედიცინო მიდგომა უნარშეზღუდულობისადმი – „ნორმა“ – „ნორმიდან გადახრა“ ნაკლებად გამოსადეგია.

პოპულაციაში მეტად მნიშვნელოვანია ის ჯგუფებიც, რომლებიც ე.წ. „ქვე-ნორმასა“ და „მოსაზღვრე მდგომარეობას“ წარმოადგენენ. ბუნებრივია, ისინი არ შედიან უნარშეზღუდულ პირთა კატეგორიაში, მაგრამ მათ უგულებელყოფას სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

ჯერ კიდევ 35-40 წლის წინ სხვადასხვა სახის პრობლემის მქონე ბავშვთა რიცხვი ბევრად მცირე იყო: ახალშობილთა უმრავლესობა ჯანმრთელი იბადებოდა, ნაკლები იყო თანდაყოლილი ანომალია, სხვა ბავშვთა მდგომარეობას კი „მოსაზღვრეს“ უწოდებდნენ. ე.წ. განვითარების „ნორმა“ ბავშვთა პოპულაციის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა, „მოსაზღვრე მდგომარეობა“ კი მცირერიცხოვანი იყო. დღეს მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. პოპულაციაში გამონათული უნარშეზღუდულობის სტატისტიკური მაჩვენებლები თითქმის იგივეა, გარემოს უარყოფითი და მავნე ფაქტორების ზემოქმედების გამო კი ბავშვთა დიდი ნაწილი უკვე დაბადებისთანავე ე.წ. „რისკის ჯგუფს“ მიეკუთვნება. ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეს ბავშვები „მოსაზღვრე მდგომარეობაში“ იმყოფებიან.

ბავშვთა თანამედროვე პოპულაციისათვის დამახასიათებელი სწორედ ამ „მოსაზღვრე მდგომარეობის“ დრამატული ზრდაა. თუ ასეთი ბავშვების დახმარება დროული იქნება, მათი უმრავლესობის მდგომარეობა გაუსწორდება ე.წ. „ნორმას“, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ბავშვები უნარშეზღუდული პირების

რიგებს შეავსებენ. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ბავშვების ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება ბრძოლა „მოსაზღვრე“ მდგომარეობის „ნორმის“ ფარგლებთან მიახლოებისთვის.

ყურადსაღებია ბავშვების ის კატეგორია, რომელიც ე.წ. „ზე-ნორმას“, ანუ ნიჭიერი ბავშვების ჯგუფს განეკუთვნება. ასეთ ბავშვებსაც განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ და სპეციფიკური მიდგომა სჭირდებათ საკუთარი პოტენციური შესაძლებლობებისა და პიროვნული განვითარების, გარემოსთან ადაპტაციის გაუმჯობესების მიზნით.

კითხვაზე – ვინ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი? – პასუხი ერთმნიშვნელოვანი და მარტივი არ არის. განსაკუთრებით ეს ისეთ შემთხვევებს ეხება, როდესაც უნარშეზღუდულობა ნაკლებადაა თვალმისაცემი და ბავშვი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თანატოლებისგან.


პრობლემების თვალსაჩინოების მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორ დიდ ჯგუფს გამოყოფენ:

✱ *თვალსაჩინო უნარშეზღუდულობა*, როდესაც თვალმისაცემი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი ხელს უშლის ან ზღუდავს ადამიანის ყოველდღიურ აქტივობას, სწავლას. ცხოვრებისთვის მას სჭირდება მრავალი ტექნიკური, დამხმარე საშუალება. ამ ჯგუფში არიან მოტოროული უნარშეზღუდულობის მქონე ადამიანები (სხვადასხვა ეტიოლოგიის – თანდაყოლილი ან შეძენილი), მხედველობისა და სმენის პრობლემების მქონე ბავშვები, გენეტიკური დარღვევებისა და გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირები.

✱ *არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობა*, როდესაც ცხადად არ ჩანს ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობა მოქმედებასა თუ მონაწილეობაში. ასეთი ბავშვების პრობლემის გამოვლენა გაძნელებულია, რადგან ისინი გარკვეულ სტადიაზე მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ჯანმრთელი ბავშვებისგან. პრობლემამ შეიძლება თავი იჩინოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე ან გარკვეულ სიტუაციაში. მანამდე კი პრობლემები და სირთულეები შეუმჩნეველი რჩება ფართო საზოგადოებისთვის.

ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან დისლექსიის, მოტორული განვითარების შეფერხების, სწავლის უნარის დაქვეითების, მეტყველების განვითარების დარღვევის, ჰიპერაქტივობისა და უყურადღებობის სინდრომის, ქცევის დარღვევებისა და ემოციური აშლილობის მქონე ბავშვები.

თანამედროვე სკოლაში ბავშვთა ზემოაღნიშნული სპექტრიდან მოსწავლეთა მხოლოდ 5-7%-ია წარმოდგენილი, მოსწავლეთა 15%-მდე კი რისკის ჯგუფში შედის.



შესაბამისად, სკოლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ყველა ტიპის საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება და მათ აღზრდა-სწავლაზე ზრუნვა. სკოლაში სასწავლო და აღმზრდელობითი პროგრამები ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ გაითვალისწინოს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების, ასევე რისკის ჯგუფის, გან-

საკუთრებით ნიჭიერი და ჩვეულებრივი განვითარების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები.

დღევანდელი კატაკლიზმებით აღსავსე, ჭარბი ინფორმაციისა და სტიმულაციის, ძალადობის, მშობლების უკიდურესი მოუცლელობის, ოჯახური ტრადიციების რღვევის პირობებში სკოლა უნდა გახდეს ის ადგილი, სადაც ბავშვების სწავლა-აღზრდის მიზნით მოხდება საზოგადოებრივი რესურსებისა და ძალების კონსოლიდაცია. ადეკვატური, ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სწავლება აუცილებლად გულისხმობს ბავშვის პიროვნების განვითარებასა და მის ღირებულებათა ფორმირებაზე ზრუნვას. სკოლაში ბავშვი თავისი დროის დიდ ნაწილს ატარებს; ამიტომ ისეთი სასკოლო გარემოს შექმნა, რომელშიც ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, მას პატივს სცემენ, მასზე ზრუნავენ და საკლასო თუ სასკოლო აქტივობებში მის მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფენ, ფსიქიკურად ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდის მნიშვნელოვანი პირობაა.

## საგანმანათლებლო მიღბოები

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ბავშვების საკმაოდ დიდ რაოდენობას (არა მხოლოდ თვალსაჩინო უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვებს), ესაჭიროება სწავლის განსაკუთრებული პირობები. აშშ, ინგლისისა და რუსეთის მონაცემებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ბავშვების 15-17%-ს სწავლაში პრობლემები აქვს. განათლების მისაწვდომობა, მიუხედავად ბავშვის შესაძლებლობებისა, სოციო-ეკონომიკური თუ ეთნიკური კუთვნილებისა, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორაა ორგანიზებული საგანმანათლებლო სივრცე სახელმწიფოში, რა მსოფლმხედველობა უდევს საფუძვლად განათლების კონცეფციას.

საგანმანათლებლო სისტემაში ხშირად დიდი სხვაობაა სტანდარტებსა და მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის რეალურ შესაძლებლობას შორის. ეს სტანდარტები განამტკიცებენ საზოგადოების წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა უნდა ვიცოდეთ და როგორ და სად უნდა მივიღოთ ეს ცოდნა. მაგრამ, ამავე დროს, პროგრამები, მეთოდოლოგიები, განათლების გზები და საშუალებები – ყოველივე ის, რასაც ჩვენ ვუნოდებთ „საგანმანათლებლო გარემოს“ – ორიენტირებულია აბსტრაქტულ, „ფსიქო-ფიზიკურად ჯანმრთელ“ ბავშვზე. მცდელობა, მივუსადაგოთ კონკრეტული ბავშვი აბსტრაქტულ საგანმანათლებლო გარემოს, მისთვის ხშირად ტრავმატულად სრულდება. სწავლება, რომელიც არ ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ უნარებსა და მოთხოვნებს, მრავალ ახალ დამატებით პრობლემას ქმნის.

განსაკუთრებით მძიმდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მდგომარეობა – მათი სამომავლო არჩევანი შეზღუდულია; ნაწილი ინვალიდთა რიგებს ავსებს, ნაწილი კი – კრიმინალთა. ზოგი ხვდება ინტერნატში ან „გამოსასწორებელ სკოლაში“, ზოგი – ქუჩაში; მცირეა მათი სოციუმთან ადაპტაციის ალბათობა.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური გამოთვლებით დადგენილია, რომ სახელმწიფოს ინვალიდებისა და კრიმინალების მოვლა და შენახვა უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე

პრევენციული და სპეციალური პროგრამების დაფინანსება განვითარების პრობლემებისა და რისკის მქონე ბავშვების ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაში.

ამიტომ შეზღუდული შესაძლებლობებისა და რისკის მქონე ბავშვების განათლება აქტუალური საკითხია ყველა სახელმწიფოში. განვითარებულ ქვეყნებში უზარმაზარი თანხები იხარჯება სპეციალური განათლების პროგრამებში, ანუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლებაში. უკანასკნელ პერიოდამდე გავრცელებული მოსაზრებით ასეთი ბავშვების კვალიფიციური სწავლება და დახმარება შესაძლებელია სპეციალურ დაწესებულებაში ან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სპეციალურ კლასში. სპეციალური განათლების მასწავლებლები მოსწავლეს ეხმარებიან ამა თუ იმ ჩვევის ათვისებაში და ხელს უწყობენ უნარების განვითარების სტიმულირებას. სპეციალური განათლების სფეროში დაგროვილმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მეტად მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება, რისი აღიარებაც 1995 წელს სოციალური განვითარების კოპენჰაგენის დეკლარაციის მიღებით დასრულდა (სეო).

სოციალური განვითარების მიდგომის ძირითადი ცნებაა – სოციალური ინტეგრაცია, რომლის მიზანია „საზოგადოების ყველასათვის“ შექმნა, ისეთი საზოგადოებისა, რომელშიც თითოეული ინდივიდი საკუთარი უფლებებითა და მოვალეობებით აქტიურ როლს თამაშობს. სოციალური ინტეგრაცია წარმოადგენს არა მხოლოდ მიზანს, არამედ საზოგადოების სოციალური განვითარების საშუალებასაც. ის გულისხმობს საზოგადოების უნარს, განვითარდეს „მიმღებლობის, განსხვავების პატივისცემის, თანაბარი შესაძლებლობების, სოლიდარობის, უსაფრთხოების პრინციპებზე მთელი მოსახლეობის, მათ შორის არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი პირებისა და ჯგუფების თანამონაწილეობის გზით“.

სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, დაუცველი ჯგუფებისა და ცალკეული პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ხდება პოლიტიკა,

რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების და მათ შორის, განვითარებისა და სწავლის პრობლემების მქონე ბავშვების კეთილდღეობას ეხება.

საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინტეგრაციის საფუძველს წარმოადგენს ე.წ. ჰოლისტიური მიდგომა, რომლის არსია ყველა ადამიანის (და არა მხოლოდ უნარშეზღუდულის) უფლებათა გაფართოება. ეს მიდგომა *მისაწვდომობის* პრინციპს ეფუძნება.

*მისაწვდომობა* ცალკეულ სოციალურ ჯგუფზე ზრუნვა კი არ არის, არამედ მნიშვნელოვანი წინაპირობა თითოეული ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მისაწვდომობა არ არის აქტი ან მდგომარეობა. ეს არის არჩევანის თავისუფლება და იძლევა გარემოსთან სრულფასოვანი ურთიერთობისა და გარემოში შეუზღუდავი გადაადგილების საშუალებას.

*მისაწვდომობის* ცნება გულისხმობს ყურადღების გადატანას უნარშეზღუდულობის ბიო-სამედიცინო მიდგომიდან (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე ზრუნვის, მოვლის, დაცვისა და ადაპტაციის ხელშეწყობიდან) **თანამონაწილეობაზე**.

*თანამონაწილეობა* გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და მოვალეობების გაფართოებას, მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ფიზიკური და სოციალური გარემოს შეცვლას ამ თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

გარემოს მისაწვდომობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებია:

☞ ორიენტაცია – აქვს თუ არა პიროვნებას მისთვის აუცილებელი ინფორმაცია;

☞ დამოუკიდებლობა – ირჩევს თუ არა პიროვნება იმას, რისი გაკეთებაც სურს;

☞ მობილურობა – შეუძლია თუ არა წავიდეს იქ, სადაც სურს;

☞ შრომა და დასვენება – შეუძლია თუ არა დაკავდეს მისთვის საჭირო საქმიანობით, როდესაც ამას მოინდომებს;

☞ სოციალური ინტეგრაცია – იღებენ თუ არა პიროვნებას სხვები;

☞ ფინანსური დამოუკიდებლობა – აქვს თუ არა პიროვნებას აუცილებელი სახსრები;

☞ ცვლილებებისადმი მზაობა – მზად არის თუ არა პიროვნება ცვლილებებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს *განათლების მისაწვდომობა*. ეს დებულება მიიღეს დაკარის დეკლარაციასა (2000წ. „განათლება ყველასათვის“...) და ინკლუზიური განათლების ძირითად კონცეფციაში, რომელიც მოცემული საზოგადოებისათვის ჩვეულ საგანმანათლებლო ჩარჩოებში შეზღუდული უნარების მქონე პირების განათლების მიღების შესაძლებლობას გულისხმობს.

კონცეფციის „განათლება ყველასათვის“ ფუნდამენტური პრინციპია: **თითოეულ ადამიანს** უნდა ჰქონდეს სწავლის უფლება. ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია – **თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, ისწავლოს სხვა ადამიანებთან ერთად**, მიუხედავად სწავლის უნარში განსხვავებისა და სწავლის სირთულეებისა.

1994 წლის 7-10 ივნისს სალამანკაში (ესპანეთი) 92 ქვეყნის მთავრობისა და 25 საერთაშორისო ორგანიზაციის 300 წარმომადგენელმა მიიღო *განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების სწავლების პრინციპების, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ განცხადება* და ე.წ. მოქმედების გეგმა.

*სალამანკის განცხადებაში ნათქვამია:*

☞ ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება;

☞ ყველა ბავშვს აქვს უნიკალური თვისებები, ინტერესები, უნარები და სწავლის საჭიროებები;

☞ საგანმანათლებლო სისტემამ მხედველობაში უნდა მიიღოს ეს მრავალფეროვანი თვისებები და საჭიროებები;

☞ სპეციალური განათლების საჭიროების მქონე ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განათლების მიღების საშუალება;

☞ ინკლუზიური კულტურის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დისკრიმინაციულ განწყობებთან და ბავშვ-



ვების სეგრეგაციასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

*სალამანკის განცხადება მიმართავს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს:*

☞ პრიორიტეტულად აღიარონ განათლების სისტემის ინკლუზიურობის პრინციპი;

☞ მიიღონ ინკლუზიური განათლების პრინციპების შესატყვისი კანონმდებლობა და საგანმანათლებლო პოლიტიკა;

☞ განახორციელონ სადემონსტრაციო პროექტები;

☞ ხელი შეუწყონ იმ ქვეყნებთან თანამშრომლობას, რომელთაც აქვთ ინკლუზიური განათლების გამოცდილება;

☞ შეიმუშავონ ბავშვებისა და მოზრდილების ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის გეგმა, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა;

☞ ხელი შეუწყონ და გააადვილონ მშობლებისა და ინვალიდთა ორგანიზაციების მონაწილეობა განათლებაში;

☞ გამოყონ თანხები ადრეული იდენტიფიკაციისა და ინტერვენციის სტრატეგიის შესამუშავებლად;

☞ გამოყონ თანხები ინკლუზიური პროფესიული განათლებისათვის;

☞ ხელი შეუწყონ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათი მომზადების ადეკვატური სასწავლო პროგრამების შემუშავებას.

სალამანკის კონფერენციაზე შემუშავებული პრინციპების საფუძველზე:

*„ინკლუზიურმა სკოლებმა უნდა შეძლონ მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების იდენტიფიკაცია, გამოიყენონ სწავლების განსხვავებული სტილი და ტემპი, უზრუნველყონ ყველასათვის ხარისხიანი განათლება ადეკვატური სასწავლო პროგრამების, ორგანიზაციული ღონისძიებების, სასწავლო სტრატეგიებისა და რესურსების გამოყენებით. ყოველ სკოლაში უნდა იყოს მომსახურების სპექტრი, რომელიც შეესატყვისება სწავლაში განსაკუთრებულ მოთხოვნებსა და პრო-*

ბლემებს. ასეთი ტიპის სკოლები ხელს უწყობს მისანვდომობის პრინციპის განხორციელებას, მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის ეფექტურობასა და განათლების ხარჯთეფექტურობას“.  
(The Salamanca Statement, Unesco, 1994)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების (შემდგომში, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების) სწავლების ძირითადი პრინციპებისადმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიდგომა შემუშავებულია OECD ქვეყნების მიერ (International Standard Classification of Education). სამიზნე ჯგუფში ის ბავშვები არიან, რომელთა სწავლებისთვის აუცილებელია დამატებითი საზოგადოებრივი ან კერძო რესურსები – კვალიფიცირებული პერსონალი, მასალა და ფინანსები. ეს სამიზნე ჯგუფი მოიცავს შემდეგ 3 კატეგორიას:

➤ კატეგორია ა – გამონწვეული სწავლის სირთულეები, ინვალიდობით რომლსაც ბიოლოგიური მიზეზები გააჩნია.

➤ კატეგორია ბ – სწავლის სირთულეები რაიმე თვალსაჩინო მიზეზის გარეშე.

➤ კატეგორია გ – სწავლის სირთულეები, რომლებიც სოციალური პრობლემებით არის განპირობებული.

## როგორ ვასწავლოთ?

### სწავლების ალტერნატივები

ისტორიულად, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მთელ მსოფლიოში მიღებული იყო უნარშეზღუდული პირების სპეციალური განათლების მოდელი. მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ინკლუზიური განათლების ღირებულებებისა და პრინციპების გავრცელება.

პასუხი კითხვაზე, თუ როგორ ვასწავლოთ განაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს, არაერთმნიშვნელოვანია და დამოკიდებულია იმაზე, განათლების რომელ მოდელს ვიზიარებთ და როგორია მიდგომა უნარშეზღუდულობისადმი.

**სპეციალური განათლების მოდელი** საგანმანათლებლო სისტემაა იმ ბავშვებისთვის, ვინც ვერ თავსდება ე.წ. „ნორმის“ საზღვრებში. ამ მოდელის ამოსავალი დებულებაა ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს უნარების განვითარებისა და აკადემიური ჩვევების ასათვისებლად ესაჭიროებათ სპეციალური გარემო და სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისად, მათი სწავლების გეგმა, პროგრამა და მეთოდები განსხვავებულია და მორგებული კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე. ასეთი ბავშვების სწავლება ვერ მოხერხდება ზოგადსაგანმანათლებლო კლასში; მათი ხარისხიანი განათლებისათვის აუცილებელია სპეციალურად მომზადებული მასწავლებელი, რომელსაც აქვს სხვადასხვა ტიპის პრობლემების მქონე ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება.

სპეციალური განათლების მოდელის ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ სწავლების რამდენიმე ალტერნატივა.

☞ **სპეციალური სკოლა:** სპეციალურად ორგანიზებული, იზოლირებული სასწავლო გარემო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მასწავლებლებს შესაბამისი წვრთნა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ. სასწავლო გეგმა, პროგრამა და სწავლების მეთოდები სპეციალურად არის მორგებული ბავშვის ინდივი-

დედალურ შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე; შესაბამისად, მნიშვნელოვნად განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმისა და სწავლების მეთოდებისგან.

*სპეციალური სკოლის დადებითი მხარეები:*

☛ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობს თავს;

☛ მასწავლებლებს აქვთ ასეთი ბავშვების სწავლების გამოცდილება და მათდამი ადეკვატური მიდგომა ;

☛ სასწავლო გეგმა ბავშვის შესაძლებლობებსაა მორგებული;

☛ ბავშვებს აქვთ თავის მსგავსებთან და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან ურთიერთობის საშუალება.

*სპეციალური სკოლის უარყოფითი მხარეები:*

☛ ბავშვებს არა აქვთ სოციალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობა;

☛ ბავშვები სათბურის პირობებში იმყოფებიან და მონყვეტილი არიან რეალურ ცხოვრებას;

☛ ბავშვებს არა აქვთ მათი თანატოლების ქცევის, მოქმედებისა და კომუნიკაციის მიზანძვის საშუალება;

☛ იგულისხმება, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს არ შეუძლიათ ჩვეულ გარემოში რაიმეს ათვისება და ტოლებთან ურთიერთობა.

☛ **სპეციალური კლასი:** განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილი მცირერიცხოვანი კლასი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ბავშვებს ასწავლის სპეციალური განათლების პედაგოგი, მისალწვევი მიზნებიდან გამომდინარე, მათზე მორგებული სასწავლო გეგმითა და სპეციალური პროგრამით; ბავშვები ნაკლებად ურთიერთობენ სხვა კლასების თანატოლებთან. ამოსავალი წერტილია ის, რომ **დეფიციტური** უნარების მქონე ბავშვები ერთობლივად უნდა სწავლობდნენ ჩვეულებრივი ბავშვებისგან გამოცალკევებით, რადგან ისინი უფრო ეფექტიანად ისწავლიან მათთვის სპეციალურად მოწყობილ სასწავლო სიტუაციაში.

➤ **რემედიაცია (დამხმარე სწავლება):** ჩვევებზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ბავშვის უნარების შეფასებას და ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო კლასს მიღმა, სპეციალურ კლასში. რემედიაციის მიზანია, ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს, **დაწიოს** თანატოლებს დეფიციტური უნარის განვითარების დახმარებით. ამ მიდგომის ამოსავალი წერტილია პრობლემის, სუსტი მხარის, დეფიციტის დაფიქსირება და ბავშვის იმ უნარების გავარჯიშება, რომელიც დეფიციტურია. მას შემდეგ, რაც ბავშვი „დაწევა ნორმას“, მას განათავსებენ ზოგადსაგანმანათლებლო კლასში.

რემედიაციის შემთხვევაში სასწავლო პროგრამის მოდიფიცირება და მორგება კი არ ხდება ბავშვის შესაძლებლობებზე, არამედ ბავშვის გავარჯიშება და მორგება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ მიზნებზე. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო კლასიდან ბავშვი დროებით იზოლირებულია მანამ, სანამ ის არ დაოსტატდება ან არ გაიუმჯობესებს „დეფიციტურ“ უნარს.

*სპეციალური კლასის უარყოფითი მხარეები:*

➤ მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვების ერთ სივრცეში მოთავსება და მათი იზოლირებული სწავლება არ ამცირებს მათ პრობლემებსა და უნარების დეფიციტს;

➤ კიდევ უფრო აღრმავებს განსხვავებულობის განცდას, ინვეს იარლიყის მიწებებასა და სტიგმატიზაციას;

➤ აქვეითებს ბავშვის მოტივაციას;

➤ ბავშვების სეგრეგაცია ხდება გარკვეული კრიტერიუმის, კერძოდ, უნარის დეფიციტის მიხედვით;

➤ ბავშვი იზოლირებულია თანატოლების გარემოში; მას უჭირს მიღებული ცოდნისა და ჩვევების გადატანა ხელოვნური გარემოდან რეალურ სიტუაციაში.

☞ **კასკადური/კონტინუუმის მოდელი:**

1960 წელს რეინოლდსი იყო პირველი, ვინც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის წარმოადგინა სპეციალური განათლების მოდელი, რომელიც გულისხმობდა

თანმიმდევრული ნაბიჯების ერთობლიობას სპეციალური და-  
ნესებულებიდან ზოგადსაგანმანათლებლო კლასამდე. ეს მიდ-  
გომა განავრცო დენომ და კასკადური მოდელი უწოდა. აღ-  
ნიშნულ მოდელში საგანმანათლებლო მომსახურება და ბავშ-  
ვების განთავსება საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით  
გარკვეული დიაპაზონის სახეს იღებს. კერძოდ, მომსახურების  
დიაპაზონის საზღვრები ზოგადსაგანმანათლებლო სწავლები-  
დან სეგრეგაციამდეა, ხოლო განთავსების – ზოგადსაგანმა-  
ნათლებლო კლასიდან სპეციალურ სკოლამდე.

აღნიშნული მოდელის მთავარი პრინციპია ის, რომ ბავშვი,  
მისი საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე, უნდა  
განთავსდეს ნაკლებად შემზღუდველ და მეტად მასტიმული-  
რებელ გარემოში. შესაბამისად, მისი განთავსება დამოკიდე-  
ბულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე და არ ატარებს პერმა-  
ნენტულ ხასიათს. ის შეიძლება შეიცვალოს ბავშვის მდგომარ-  
ეობისა და შესაძლებლობების მიხედვით.

პირველი არჩევანი ყოველთვის ზოგადსაგანმანათლებლო  
კლასია, შემდეგი – ინტეგრირებული კლასი ან სარესურსო  
ოთახი სკოლაში, შემდეგია – სპეციალური კლასი ზოგადსაგან-  
მანათლებლო სკოლაში, ხოლო შემდეგ – სპეციალური სკოლა  
და სპეციალური დაწესებულება.

კასკადური მოდელის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო  
კლასში სწავლისას დახმარების ხარისხი დამოკიდებულია ბავშ-  
ვის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. ბავშვი შეიძლება  
სწავლობდეს:

➤ ზოგადსაგანმანათლებლო კლასში, მთელ დროს ატა-  
რებდეს კლასთან და მას ასწავლიდეს საშუალო სკოლის მას-  
წავლებელი;

➤ ზოგადსაგანმანათლებლო კლასში სპეციალისტის, სპე-  
ციალური განათლების მასწავლებლის დახმარებით და მთელ  
დროს კლასში ატარებდეს;

➤ ნაწილობრივ – ზოგადსაგანმანათლებლო კლასში და  
ნაწილობრივ – სპეციალურ კლასში.

☞ **სარესურსო ოთახი:** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში  
სპეციალურად გამოყოფილი სივრცეა, სადაც შეზღუდული შე-

საძლებლობების მქონე ბავშვს სასწავლო კვირის განმავლობაში პერიოდულად ეხმარებიან სპეციალისტები. ბავშვი სწავლობს ჩვეულებრივ კლასში და აქ დროის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ატარებს. ეს დრო იცვლება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. სარესურსო ოთახი გარდამავალი, შუალედური რგოლია ზოგადსაგანმანათლებლო კლასსა და სპეციალურ კლასს შორის. სარესურსო ოთახში ბავშვებს სპეციალისტი (სპეციალური განათლების მასწავლებელი) ეხმარება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევაში დასწავლის სტრატეგიებისა და სწავლების სპეციალური მეთოდების გამოყენებით. აქ ხდება არა მხოლოდ აკადემიური ჩვევების ათვისება, არამედ სოციალური კომუნიკაციის გაუმჯობესება და უნარების განვითარება. ამ ოთახში ბავშვს იმ შემთხვევაშიც აგზავნიან, თუ მასწავლებელი გაკვეთილზე ვერ უმკლავდება პრობლემას. სარესურსო ოთახში ბავშვს ეხმარებიან ინდივიდუალურად ან მუშაობენ მცირე ჯგუფებში (3-4 ბავშვი).

*სარესურსო ოთახის ძირითადი დანიშნულებაა, დაეხმაროს ბავშვს ამა თუ იმ საგნის ათვისებასა და სწავლისათვის საჭირო უნარების განვითარებაში. სწავლის ეს ფორმა შუალედურია სპეციალური განათლებისა და ინკლუზიური განათლების მოდელებს შორის.*

**ინტეგრირებული სწავლება:** გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ნაწილობრივ ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო კლასში სპეციალური სასწავლო პროგრამითა და დამხმარე საშუალებების გამოყენებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი გარკვეულ დროს ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ატარებს. მისი განთავსება ყველა ან ზოგიერთ გაკვეთილზე მაშინ ხდება, თუ ის ტრადიციულ აკადემიურ მოლოდინს აკმაყოფილებს. ასეთი სწავლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შესაძლებლობები და მიღწევები აქვს კონკრეტულ ბავშვს; ბავშვმა უნდა დააკმაყოფილოს მინიმალური კომპეტენციის კრიტერიუმი რათა საკუთარი პროგრამით შეუერთდეს ზოგადსაგანმანათლებლო კლასს და მოერგოს მასში სწავლის პრინციპებს. ინტეგრირებულ სწავლებაში ძირითადი აქცენტი კეთდება ჩვევების დაოსტატებაზე, ბავშვის ძლიერ მხარეებსა და განსხვავებული შესაძლებლობების გათ-

ვალისწინებაზე. მთავარი მიდგომა ბავშვების განთავსება ზოგადსაგანმანათლებლო კლასში სხვადასხვა სახის სპეციალური დახმარებით, რაც განისაზღვრება ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. ტრადიციულად, ასეთი საგნებია მუსიკა, შრომა, ფიზიკური აღზრდა, სხვა გაკვეთილებს კი ესწრებიან ან სპეციალურ კლასში, ან სარესურსო ოთახში.

*ინტეგრირებული სწავლების უარყოფითი მხარეები:*

➤ მოსწავლეები ირიცხებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, მაგრამ არ არიან სასწავლო პროცესის თანამონაწილენი. ისინი სკოლაში არიან, მაგრამ არ წარმოადგენენ სკოლის ნაწილს;

➤ კლასში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პერიოდული ჩართვით მათმა თანატოლებმა შეიძლება დაასკვნან, რომ ასეთ ბავშვებთან ერთად ყოფნა შესაძლებელია მაშინ, როცა ეს მოსახერხებელია;

➤ აქცენტი კეთდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასის გარემოსთან ადაპტაციაზე და არა პირიქით – კლასის რეორგანიზაციაზე.

ზემოაღნიშნული სწავლების ყოველი მიდგომა, ძირითადად, სპეციალური განათლების მოდელს ემყარება და ერთი საერთო თვისება აქვს – ის ეფუძნება პარადიგმას:

### **მოსწავლე – უნარები – ზოგადსაგანმანათლებლო კლასი**

ამ პარადიგმის საფუძველზე სპეციალურ კლასში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების განთავსება ხდება შემდეგი მიზნით: ინდივიდუალური პროგრამითა და სწავლების სპეციალური მეთოდების დახმარებით ისინი გაიუმჯობესებენ დეფიციტურ უნარებს, ყოველდღიური ცხოვრების ჩვევებს, ისწავლიან ასაკის შესაფერის ქცევასა და სოციალურ კომუნიკაციას.

მრავალი გამოკვლევისა და სწავლების გამოცდილების მიხედვით, იზოლირებულ სიტუაციაში ბავშვები ვერ ახერხებენ ათვისებული ცოდნისა და ჩვევების გადატანასა და განზოგადებას ყოველდღიურ, ჩვეულებრივ სიტუაციაში. ისინი ხშირად



ერთმანეთის მიბაძვით სწავლობენ არაადეკვატურ ქცევას, დაბალი მოტივაცია აქვთ და აღენიშნებათ ე.წ. „დასწავლილი ჩამორჩენა“. იზოლირებულ, თუნდაც საუკეთესო გარემოში აღზრდილი ბავშვი არ არის მზად საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის და რაც ისწავლა, იმასაც ვერ იყენებს.


ალტერნატიული პარადიგმა:

### **მოსწავლე – ზოგადსაგანმანათლებლო კლასი – უნარები (დახმარებით)**

ამ პარადიგმას ქვაკუთხედია *მიკუთვნებულობის მოთხოვნილების* ცნება. ადამიანის მოთხოვნილებათა სისტემაში მიკუთვნებულობის მოთხოვნილებას – სოციალური ურთიერთობა და ჯგუფის წევრობა, ზრუნვა, თანამშრომლობა, სიყვარული – განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

**ა. მასლოუს** მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელის მიხედვით, ადამიანს აქვს ბაზისური მოთხოვნილებების ხუთი კატეგორია: 1. **ფიზიოლოგიური** (გადარჩენის), 2. **უსაფრთხოების** (ფიზიკური გარემოდან ტკივილის, ვნების აცილების), 3. **სოციალური კავშირების** (მიკუთვნებულობის, ზრუნვის, თანამშრომლობისა და სიყვარულის), 4. **ეგოს** (თვითშეფასებისა და სხვათა მიერ შეფასების) და 5. **თვითაქტუალიზაციის** – მასლოუს სიტყვებით, „ადამიანის თვითგანხორციელების სურვილი,... საკუთარი პოტენციალის განვითარების ტენდენცია“. შესაბამისად, ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ ადამიანს მიკუთვნებულობის დაკმაყოფილების მოთხოვნილება აქვს, რაც მიიღწევა ახლობლების, ოჯახის, მეგობრების გარემოში.

ა. მასლოუ თვლის, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანი თავს იგრძნობს საზოგადოების, რაიმე ერთობის სრულყოფილებიან წევრად, მას უყალიბდება თვითპატივისცემის გრძნობა და ადეკვატური თვითშეფასება; ეს მიღწევის, სხვების მხრიდან აღიარებისა და პატივისცემის შედეგია. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი პიროვნების მიერ საკუთარი პოტენციალის, ქვშმარიტი შინაგანი ბუნების განვითარება – თვითაქტუალიზაცია.



განათლების სფეროში კი პირიქით, იგულისხმება, რომ ბავშვის თვითშეფასება და თვითპატივისცემა მისი მიღწევების შედეგად ყალიბდება და დამოუკიდებელია მიკუთვნებულობის მოთხოვნილებისაგან. მიღწევა და დაოსტატება თვითშეფასების წინაპირობაა. **სინამდვილეში მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება თვითშეფასებისა და თვითპატივისცემის განვითარებისათვის წინაპირობას წარმოადგენს.**

ამრიგად, თანამედროვე განათლების სისტემაში მოთხოვნილებათა აღწერილი იერარქია **ჩანაცვლებულია** – ადამიანის უპირობო მიკუთვნებულობისა და აღიარების მოთხოვნილება და უფლება მხოლოდ საუკეთესოების ხვედრია. ეს უფლება უპირობო კი არ არის, არამედ მოპოვებული და „დამსახურებული“. ამ ლოგიკით, უნარების წარმატებით გავარჯიშება, სასწავლო გეგმის დაძლევა და სასწავლო მიღწევები ბავშვს უყალიბებს თვითშეფასებასა და თვითპატივისცემას, რაც უფლებას აძლევს მას, გახდეს საზოგადოების, კლასის წევრი, დაიმსახუროს სიყვარული და დაიკმაყოფილოს მიკუთვნებულობის მოთხოვნილება. მიკუთვნებულობის საფასურია აკადემიური მიღწევები, ფიზიკური გარეგნობა, ინტელექტი და ა.შ. საზოგადოებაში ყოფნა დამსახურებაა და არა უფლება.

შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები იზოლირებულად სწავლობენ სპეციალურ სკოლაში თუ კლასში, რათა დაიმსახურონ საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის უფლება. *იქმნება პარადოქსული სიტუაცია* – ბავშვები ვერ იკმაყოფილებენ მიკუთვნებულობის მოთხოვნილებას და შედეგად, ვერ სწავლობენ, რადგან დაქვეითებული აქვთ მოტივაცია და თვითშეფასება.

სეგრეგაციულ კლასში და სკოლაში ბავშვები ეჩვევიან აზრს, რომ ისინი ისეთი კარგები არ არიან, რომ საზოგადოებაში ყოფნა დაიმსახურონ, უფრო მეტიც, ისინი ვერასოდეს იქნებიან კარგები, მათი უნარშეზღუდულობის გამო და ვერ დაიმსახურებენ სიყვარულსა და პატივისცემას საზოგადოების მხრიდან. ეს აქვეითებს მათ მოტივაციას, თვითშეფასებას, აფერხებს დასწავლას და რაც მთავარია, დასწავლილი ჩვევების გადატანა არ ხდება რეალურ ცხოვრებაში.

*ბავშვის უპირობო მიკუთვნებულობის უფლება ნიშნავს უფლებას – იყოს განსხვავებული.*

*სწავლების ზემოაღნიშნულ მოდელში ბავშვები განთავსდებიან მათი პრობლემებისა და საჭიროებების მიხედვით, იღებენ სპეციალურ განათლებას და ვარჯიშობენ მანამ, სანამ იმდენად “ნორმალურები” გახდებიან, რომ დაიმსახურებენ მიკუთვნებულობის უფლებას.*

*განათლების ინკლუზიური მოდელი ავსებს ამ ნაკლს!*

## რა არის ინკლუზიური განათლება?

### ინკლუზიური განათლების მსოფლმეხდველობა

ინკლუზიის ძირითადი ღირებულებებია:

- ✳ ყველას აქვს მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების უფლება – იყოს საზოგადოების წევრი;
- ✳ აუცილებელია თანამონაწილეობისა და სოციალური ურთიერთობის ხელშეწყობა და ნახალისება;
- ✳ განსხვავების აღიარება და პატივისცემა;
- ✳ განსხვავება არ არის გარიყვისა და იზოლაციის საფუძველი;
- ✳ თანამშრომლობა უფრო ღირებულია, ვიდრე შეჯიბრი;
- ✳ ყურადღების გამახვილება არა დეფიციტსა და სისუსტეებზე, არამედ ძლიერ მხარეებზე.

*ინკლუზიური განათლების მოდელი ეფუძნება რწმენას, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს განათლება და მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პოტენციური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში თავის თანატოლებთან.*

*ყველა მოსწავლე სრულად მონაწილეობს საკლასო და სასკოლო აქტივობებში, ურთიერთთანამშრომლობით, მასწავლებლისა და სპეციალისტის დახმარებით.*

ინკლუზიური განათლების მოდელის მიხედვით, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი ზოგადსაგანმანათლებლო კლასის სრულუფლებიანი წევრია. კლასის მასწავლებელი პასუხისმგებელია, იზრუნოს ბავშვისთვის სასწავლო გეგმის მოდიფიცირებასა და მორგებაზე. ამ მიზნით მასწავლებელი თანამშრომლობს სხვა სპეციალისტებთან (სპეციალური განათლების მასწავლებელთან, ფსიქოლოგთან, ლოგოპედთან), მშობლებთან. ამიტომ ამ მოდელს **კოლაბორაციულ** მოდელსაც უწოდებენ. სკოლაში იქმნება სხვადასხვა სპეციალისტებისგან შემდგარი გუნდი, რომელიც მშობლებთან ერთად მუშაობს ბავშვის მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებზე სასწავლო გეგმისა და სასწავლო გარემოს მოსარგებად.


*ინკლუზიური სკოლა მხარდამჭერი, მზრუნველი და ბავშვის განვითარების მასტიმულირებელი სასწავლო გარემოა,*

სადაც პატივს სცემენ და აღიარებენ განსხვავებას, ხოლო ბავშვები საგანმანათლებლო მომსახურებას იღებენ კლასში, სკოლასა და საზოგადოებაში მათი ინდივიდუალური საჭიროებებისდა მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, ინკლუზია ჯგუფის ცხოვრებაში აქტიურ თანამონაწილეობას გულისხმობს. თანამონაწილეობა ნიშნავს, თუ რამდენად მიიღეს ბავშვი ჯგუფში და რამდენად ჩართულია ის ჯგუფის საერთო საქმიანობაში. ბავშვი შეიძლება ჩაერთოს ჯგუფის ცხოვრებაში როგორც ორგანიზებული (წრეებში მუშაობა), ასევე თავისუფალი (სათამაშო მოედანი, სასადილო) აქტივობისას.

თანამონაწილეობა არა მხოლოდ სასწავლო პროცესში ჩართულობაა, არამედ ბავშვის ურთიერთობაც თანატოლებთან. ბავშვებს სხვადასხვა სახის დამოკიდებულების ჩამოყალიბება შეუძლიათ ნებისმიერ გარემოში. ეს შეიძლება იყოს სათამაშო, მეგობრული ურთიერთობა, დახმარების განევა, დახმარების მიღება, ჯგუფური, კონფლიქტური და სხვა.

კლასის ცხოვრებაში თანამონაწილეობისა და ბავშვებისა თუ მასწავლებლების ურთიერთდამოკიდებულების ფონზე ბავშვები ეუფლებიან აკადემიურ ჩვევებს და ივითარებენ უნარებს.



უნდა აღინიშნოს, რომ სკოლასა და საზოგადოებაში წარმატებისათვის ბავშვებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა, მაგრამ მხოლოდ ცოდნა და უნარი (მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენენ) ვერ შექმნის

მყარ საფუძველს სასურველი შედეგების მისაღწევად. სხვა პირობებში და სიტუაციაში ბავშვმა შეიძლება ვერ გამოამჟღავნოს ცოდნა და უნარი მხოლოდ იმის გამო, რომ არ იცის, როგორ მოიქცეს, ან უჭირს სიტუაციაში ჩართვა.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შეფასებისას აუცილებელია სამივე კომპონენტის – თანამონაწილეობის, დამოკიდებულებისა და ცოდნა/უნარების გათვალისწინება, რაც სკოლებს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში ეხმარება.

აშშ საგანმანათლებლო სივრცეში 90-იანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა მიდგომა „სრული ინკლუზია“. იგი გულისმობს ყველა მოსწავლის ყველა გაკვეთილზე და ყველა სასკოლო აქტივობაში ჩართვას, განურჩევლად მათი შესაძლებლობებისა. ინკლუზიის აღნიშნულ გაგებას დღეს კრიტიკულად უყურებენ, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება უგულბებელყოფილი იყოს კონკრეტული ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები (Hehir, 2006).

ამრიგად, როდესაც საუბარია ინკლუზიურ განათლებაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტერმინი „სრული ინკლუზია“ აბსტრაქტული ცნებაა. კვლევების საფუძველზე დადასტურებულია, რომ ინკლუზიური განათლების ამგვარი, პირდაპირი გაგება ხშირ შემთხვევაში უსარგებლო და საზიანოც კი შეიძლება იყოს ბავშვისთვის. აუცილებელია, შეფასდეს კონკრეტული მოსწავლის საჭიროებები და ამის საფუძველზე განისაზღვროს, რა ტიპის სასწავლო გარემო იქნება კონკრეტული ბავშვისთვის ყველაზე ადეკვატური და სწავლის ხელშემწყობი, სასწავლო დღის როგორი რეჟიმი ბავშვისთვის სასარგებლო.

მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში სწავლება თვითმიზანი არ არის და ეს არ უნდა ხდებოდეს ბავშვის ინტერესებისა და კლასის ინტერესების საზიანოდ.

## **ინკლუზიური განათლების არგუმენტები და კონტრარგუმენტები**

ინკლუზიის არსი არის არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში რამდენიმე საათით განთავსება, არამედ კლასის სივრცისა და სასწავლო პროცესის ისეთი თვისებრივი ცვლილება, რომ ბავშვი მთლიანად ჩაერთოს კლასის ცხოვრებაში. **ამიტომ, ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვა სკოლაში ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს.** ეს ცვლილებები ეხება ყველაფერს – კლასის ორგანიზაციას, სკოლის მენეჯმენტს, მასწავლებლების კომპეტენციებს, ბავშვებს, ჯანმრთელი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებს.

რამდენადაც ინკლუზიური განათლების მოდელი ეხება სკოლის ცხოვრებაში მონაწილე ყველა პირს, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. შესაბამისად უხვადაა ამ იდეის როგორც მომხრე ისე მისი საწინააღმდეგო არგუმენტებიც.

*ინკლუზიური განათლების მომხრეები თვლიან, რომ:*

\* სეგრეგაცია იარლიყის მიწებებასა და იზოლაციას უწყობს ხელს;

\* სეგრეგაციული სპეციალური განათლება ძვირი ჯდება;

\* მასწავლებელს, ვისაც მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ჰყავს, დაბალი მოლოდინი აქვს მათ მიმართ;

\* სპეციალურ სასწავლო გარემოში პროგრამები ნაკლებად ინდივიდუალიზებულია;

\* ბავშვი ვერ ახერხებს თავისი ასაკისთვის შესაფერისი ქცევებისა და მოქმედებების მოდელირებას;

\* ბავშვი არ არის მზად რეალურ სოციუმში ფუნქციონირებისათვის;

\* სეგრეგაცია ხელოვნურია, რადგან ჩვენი სოციალური გარემო არ იყოფა ჩვეულებრივ და სპეციალურ გარემოდ;

\* ბავშვებს დაბალი მოტივაცია აქვთ სეგრეგაციული სწავლების პირობებში;

\* სპეციალური განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო მასწავლებლებს არა აქვთ კომუნიკაცია და შესაბამისად, ამ ორ

გარემოში სასწავლო პროცესი კოორდინირებული არ არის;

\* ინკლუზიურ გარემოში ბავშვის სოციალური ინტეგრაცია, მეტყველება, ქცევა უმჯობესდება და მაღლდება თვითშეფასება;

\* ჯანმრთელი ბავშვები ეჩვევიან განსხვავების მიღებას და პატივისცემას;

\* ბავშვებს უყალიბდებათ ურთიერთდახმარების, თანამშრომლობის განწყობა და უფრო ემპათიურები ხდებიან.

ბავშვის შემდგომი განვითარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება მაინც „იარლიყის ეფექტია“. სპეციალური კლასი თუ სკოლა ხშირად აქვეითებს მოლოდინს ბავშვის მიმართ, მის მოტივაციასა და თვითშეფასებას. ბავშვმა ხშირად ზუსტად არ იცის, სადაა მისი ადგილი, რადგან მუდმივად მოძრაობს სპეციალურ და ზოგადსაგანმანათლებლო კლასებს შორის, რაც გავლენას ახდენს მის სოციალურ ურთიერთობებსა და სოციალურ განვითარებაზე.

სწავლასა და სწავლებაზე ნეგატიურად მოქმედებს ასეთი სტიგმატიზაცია, დაბალი თვითშეფასება და მოტივაცია.

*ინკლუზიური განათლების მონინაალმდეგენი თვლიან, რომ:*

\* განვითარების დარღვევის მქონე ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან „ჯანმრთელი“ თანატოლებისგან – „ნორმისგან“ და ამიტომ სპეციალიზებულ გარემოსა და მომსახურებას საჭიროებენ.

\* ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებლებთან შედარებით სპეციალური განათლების მასწავლებლებს უფრო მაღალი მოლოდინი აქვთ თავისი მოსწავლეების მიმართ.

\* ასეთ ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომა და სწავლება უფრო ადეკვატური და შესაძლებელია მცირერიცხოვან კლასში, რაც შეუძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

\* ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლების უმეტესობას არა აქვს სურვილი, კლასში ჰყავდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები.

\* სურვილისა და მზაობის შემთხვევაშიც, ზოგადსაგანმა-



ნათლებლო სკოლის მასწავლებლებს არა აქვთ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლების ცოდნა და ჩვევები.

✳ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას არა აქვს ადეკვატური რესურსები, არ ჰყავს გამოცდილი და განვრთნილი პერსონალი ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად; შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ვერ იღებენ მათთვის შესაფერის და ხარისხიან დახმარებას, ხოლო ჩვეულებრივი ბავშვების სწავლის პროცესი ირღვევა.

✳ ერთ კლასში შესაძლებლობებისა და უნარების დიაპაზონი იმდენად დიდია და ბავშვები იმდენად განსხვავებული, რომ ერთი მასწავლებელი ვერ შეძლებს მათ ადეკვატურ სწავლებას.

✳ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები მასწავლებლის მთელ დროსა და რესურსებს იკავებენ, კლასში უწესრიგო გარემოს ქმნიან, რაც სხვა ბავშვების სწავლის ხარისხზე მოქმედებს.

სპეციალური განათლების წარმომადგენელთა ნაწილიც თვლის, რომ ინკლუზიური განათლება ნაკლებად ეფექტურია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. მათ შემდეგი არგუმენტები მოჰყავთ:

✳ ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ადეკვატურად ვერ მოახერხებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებას; ის ვერ მიიღებს ხარისხიან განათლებასა და მომსახურებას.

✳ ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებელს არა აქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება, უჭირს მათი გაგება და შესაბამისად, მისთვის რთული იქნება მათი ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

✳ ზოგიერთი ტიპის უნარშეზღუდულების მქონე ბავშვისათვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში სწავლა სპეციალური დახმარებისა და მოსამზადებელი სამუშაოების გარეშე აბსოლუტურად შეუძლებელია. მაგ., სმენადაქვეითებული ან აუტიზმის მქონე ბავშვების შემთხვევაში. ინკლუზიის ძირითადი მიზანი – სრული თანამონაწილეობისა და მიკუთვნებულობის

მოთხოვნების დაკმაყოფილება - მიუღწეველი რჩება. სმენადაქვეითებული ბავშვი ჟესტების ენის გარეშე ვერ მიიღებს მონაწილეობას საკლასო ცხოვრებაში, რადგან გაუჭირდება კომუნიკაცია; ასევე კომუნიკაციასა და სოციალურ ურთიერთობაშია აუტიზმის მქონე ბავშვის ძირითადი პრობლემაც. მათ სპეციალური გარემოს შექმნა და მიდგომა ესაჭიროებათ კონტაქტის დასამყარებლად.

✱ სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების განწყობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში თანამონაწილეობისა და ინტეგრაციისადმი საკმაოდ ნეგატიურია მათი გამოცდილების ნაკლებობის, ცრურწმენებისა და იმ შიშის გამო, რომ ისინი ვერ დაძლევენ შექმნილ პრობლემას.

✱ სპეციალისტები და მშობლები თვლიან, რომ ბევრი იბრძოლეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის ხარისხიანი მომსახურებისა და განათლების უფლების მოსაპოვებლად. მაგ., დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვის აკადემიური მიღწევები დამოკიდებულია მათი საგანმანათლებლო მოთხოვნებისადმი ინდივიდუალურ მიდგომაზე. როგორც წესი, სპეციალური განათლების მასწავლებელი სარესურსო ოთახში მუშაობს ასეთ ბავშვებთან ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფში; ზოგადასაგანმანათლებლო კლასის მასწავლებელს კი არა აქვს ასეთი ბავშვების სწავლების არც დრო და არც შესაბამისი გამოცდილება.

მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ იმ კრიტიკული დამოკიდებულების ცოდნა, რაც გააჩნიათ ჯანმრთელი და შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების მშობლებს. როგორც წესი, მშობლების ასეთი დამოკიდებულება აბრკოლებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვას ზოგადასაგანმანათლებლო პროცესში.

*შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის მშობლები ხშირად თვლიან, რომ:*

✱ მათი შვილი ჩვეულებრივ კლასში თავს ვერ იგრძნობს უსაფრთხოდ და დაცულად, ვერ მოხერხდება მისი განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

✳ მათ შვილს დასცინებენ და ვერ გაუგებენ ჯანმრთელი ბავშვები.

*ჯანმრთელი ბავშვების მშობლები ხშირად თვლიან, რომ:*

✳ მათ შვილს ხელი შეეშლება ცოდნის ათვისებაში, რადგან მასწავლებლის ყურადღება, ძირითადად, პრობლემების მქონე ბავშვებზე იქნება მიმართული.

✳ მათი შვილი ვერ შეძლებს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას და მისი განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად დაინევის, რადგან კლასში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სწავლება არ მისცემს მას სასწავლო პროგრამის სრულად ათვისების საშუალებას.

## **ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული შიშები**

ქვემოთ განვიხილავთ იმ შიშებსა და ილუზიებს, რაც ინკლუზიური განათლების არსს ამახინჯებს და შედეგად, იწვევს მასწავლებლებისა და მშობლების არცთუ უსაფუძვლო წინააღმდეგობას.

1. *ინკლუზიური განათლება ისეთი სისტემაა, რომელიც ყველა მოსწავლეს ერთ "ქვაბში" აქცევს.*

ინკლუზია არ ნიშნავს ყველა ბავშვის ერთ "ქვაბში" მოქცევას, პირიქით, ის ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის უნარებისა და მოთხოვნების სათანადოდ შეფასებასა და გათვალისწინებას. ინკლუზია აღიარებს მოსწავლეთა მრავალსახეობას. სასწავლო გეგმა მათ უნარებსა და მოთხოვნებზეა მორგებული. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მასწავლებლებისა და სპეციალური პედაგოგების როლი, ვინც საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას იყენებს იმისათვის, რომ თითოეულმა ბავშვმა შეძლოს პოტენციური შესაძლებლობების განვითარება.

2. *ინკლუზიური განათლება ნიშნავს, რომ მოსწავლე, რომელსაც სჭირდება სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, ვერ მიიღებს მას სრულყოფილად.*

ეს ასე არ არის. ინკლუზიური მიდგომა ნიშნავს, რომ მას-

ნავლებლები ინდივიდუალურად მუშაობენ ყველა მოსწავლესთან კლასში მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. ბავშვები იღებენ ცოდნას სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით. ინკლუზიური სკოლები ამ კუთხით ძალიან მოქნილი არიან – მოქნილი ცხრილი, მუშაობა მშობლებთან, თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, საერთო კლასგარეშე მუშაობა – ეს არის აქტივობათა ის მცირე ჩამონათვალი, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი ცდილობს ბავშვის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას.

*3. ინკლუზია ნიშნავს იმას, რომ თითოეულმა მოსწავლემ მთელი სასწავლო დრო კლასში უნდა გაატაროს.*

ეს ასე არ არის. ინკლუზიური განათლების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქმე ადგილში კი არა, თვით მონაწილეობის პროცესსა და თანამშრომლობაშია. თითოეული იღებს ცოდნას განსხვავებულ ადგილზე; ტრადიციული კლასი მხოლოდ ერთ-ერთი ასეთი ადგილია. არსებობს კიდევ ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, მუზეუმი, კომპიუტერული კლასი, სარესურსო ოთახი, სათამაშო მოედანი, სპორტული დარბაზი, ეზო და სხვა. ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ სად იმყოფებიან მოსწავლეები, მთავარია, რომ ისინი თანატოლების გვერდით არიან. ადეკვატური სწავლებისთვის შესაძლებელია საჭირო იყოს მოსწავლის მთელ კლასთან ერთად ყოფნა, ზოგჯერ – პატარა ჯგუფში, ზოგჯერ კი – მხოლოდ მასწავლებელთან. ინკლუზიური სკოლის დღის რეჟიმი მრავალფეროვანია და ყველა ბავშვისთვის მსგავსი.

*4. უნარშეზღუდული ბავშვები კლასში გარიყულები არიან. თანაკლასელები მათ დასცინიან.*

გამოკვლევები ადასტურებს, რომ ხდება პირიქით – ინკლუზიურ კლასებში ჯანმრთელ ბავშვებსა და შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებს შორის ყალიბდება მყარი, ხანგრძლივი, მეგობრული დამოკიდებულება. ეს მეგობრობა ზრდის მათ მიმღებლობას განსხვავების მიმართ. ბავშვებს არა აქვთ მათგან განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობის შიში. რა თქმა უნდა, ბავშვები ხშირად დასცინიან და ეჩხუბებიან ერთმანეთს, მაგრამ ინკლუზიურ კლასში ეს ყველა ბავშვს შეიძლება ხვდეს წილად, განურჩევლად უნარისა.

*5. მასწავლებლებმა არ იციან, როგორ ასწავლონ შეზ-*

ლუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. მათ აქვთ შიში, რომ ვერ გაუმკლავდებიან პრობლემას და შეცდომას დაუშვებენ.

მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიხედვით ასწავლის ბავშვებს. ზოგიერთი ბავშვი მასალას სხვებზე გვიან ითვისებს. ამიტომ მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეების ინდივიდუალური უნარების გათვალისწინებას, აფასებს მათ უნარებსა და შესაძლებლობებს, რაც ეხმარება მუშაობაში, მათ შორის – უნარშეზღუდულ ბავშვებთან. თუ პედაგოგი ეცდება, სასწავლო მასალა მიუახლოვოს მოსწავლის უნარებს და გაკვეთილზე შექმნას ყველა მოსწავლისათვის აქტიური მონაწილეობის გარემო, რისკი იმისა, რომ ის ვერ გაუმკლავდება პრობლემას, მინიმალურია. თუმცა ასეთი გარემოს შესაქმნელად, მასწავლებელს სჭირდება შესაბამისი განათლება და გამოცდილება.

6. *ჯანმრთელ მოსწავლეებს ნაკლები ყურადღება დაეთმობათ მასწავლებლების მხრიდან.*

ნებისმიერი მასწავლებელი იტყვის, რომ კლასში თითოეული მოსწავლე განსხვავებულია. ეს განსხვავება აიძულებს მასწავლებლებს ინდივიდუალური მიდგომები მოძებნონ. ინკლუზიურ კლასში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ჯანმრთელი ბავშვის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის განხორციელება არათუ სასურველი, აუცილებელიცაა. ასეთი მიდგომა სასარგებლოა თითოეული ბავშვისათვის, მიუხედავად მათი უნარებისა და შესაძლებლობებისა.

7. *შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების არსებობა კლასში უარყოფითად მოქმედებს სხვა ბავშვების სასწავლო მიღწევებზე.*

ინკლუზიური განათლების შემთხვევაში მოგებულია ყველა მოსწავლე, რადგან ამ დროს განათლება უფრო ინდივიდუალური ხდება. როდესაც მასწავლებელი გაკვეთილს გეგმავს, მას არ სჭირდება სწავლის დონის დანევა; მან უბრალოდ უნდა გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის უნარი. მაგ., ისტორიის გაკვეთილის ამოცანები თითოეული მოსწავლისათვის განსხვავებული შეიძლება იყოს: ერთმა შეიძლება დანეროს ნაშრომი რამდენიმე აბზაცის მოცულობით, ზოგმა – სრულად, ან კვლევა განახორციელოს, ზოგიერთებმა შეიძლება შეასრუ-

ლონ ჯგუფური სამუშაო, სხვებმა კი – ზეპირი მოხსენება მოამზადონ. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გაკვეთილებზე მოსწავლე აითვისებს იმას, რაც მის შესაძლებლობებს შეესაბამება.

8. *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები უნდა ურთიერთობდნენ თავის მსგავს ბავშვებთან. ჩვეულებრივ კლასში მათ ეს შესაძლებლობა არ ექნებათ.*

არ არის სწორი ის აზრი, რომ ადამიანებმა მსგავსების პრინციპით უნდა იმეგობრონ. თითოეულ ადამიანს, როგორც ინვალიდობით, ასევე ინვალიდობის გარეშე, გააჩნია თავისი ინდივიდუალური ხასიათი, ინტერესები და მოთხოვნილებები. რა თქმა უნდა, ინვალიდობა ფაქტორია, რომელიც აერთიანებს ადამიანებს ამ ნიშნით, მაგრამ ეს არ არის მეგობრობის აუცილებელი პირობა. მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა თვითონ აირჩიონ მეგობრები.

9. *ინკლუზიური სკოლა – კარგი იდეაა, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელია. მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის ეს ძალიან რთულია.*

რა თქმა უნდა, უნარშეზღუდული ბავშვის სწავლება საკმაოდ რთული პროცესია. მაგრამ, მასწავლებლების აზრით, ყველაზე რთულია არა თვით სწავლის პროცესი ან მოსწავლეები, არამედ – დიდი კლასი, ხელშეწყობის არარსებობა და შეზღუდული რესურსები.

10. *ინკლუზიური განათლება ძალიან ძვირია, გაცილებით უფრო ძვირი, ვიდრე ტრადიციული სპეციალური განათლება.*

აშშ-ში, სადაც არსებობს სპეციალური და ინკლუზიური განათლების ინფრასტრუქტურა, არაერთხელ ჩატარდა ამ ორი სისტემის დანახარჯების ანალიზი. გამოვლინდა, რომ ინკლუზიური განათლების ხარჯები უფრო დაბალია.

ამრიგად, სერიოზული შიში არსებობს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, რაც ართულებს აღნიშნული მოდელის დანერგვისა და კონკრეტულ სიტუაციაზე მორგების პროცესს.

ეს შიში შეიძლება ინკლუზიური განათლების პრინციპების არასწორი გაგებიდან და ინტერპრეტაციიდანაც გამომდინარეობდეს. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, **თუ**

## **რა არ არის ინკლუზია!**

☞ ინკლუზია არ არის ადამიანების გათანაბრება და იმის აღიარება, რომ ყველა ერთნაირია და ერთმანეთთან თანხმობაშია. ინკლუზია სწორედაც რომ განსხვავების პატივისცემასა და აღიარებას გულისხმობს. ეს იმ ადამიანების მიმღებლობაა, ვინც სხვანაირად გამოიყურება, მოქმედებს, ფიქრობს, ლაპარაკობს.

☞ ინკლუზია არ არის მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის განთავსება ზოგადსაგანმანათლებლო კლასში. ინკლუზია ნიშნავს თანაცხოვრებისა და თანამონაწილეობის სწავლას, განსხვავებასა და მრავალფეროვნებასთან გამკლავებას. ინკლუზია ნიშნავს „-თან“, „ერთობლივად“, ანუ სასწავლო პროცესში ყველა ბავშვის მაქსიმალურ ჩართვას, მათ უნარ-შესაძლებლობებს შორის განსხვავებისდა მიუხედავად.

☞ ინკლუზია არ არის ახალი პროგრამა და კიდევ ერთი იარლიყის მიწებების საშუალება. „**ინკლუზიური ბავშვი**“, მიუღებელი ტერმინია. ინკლუზია პროცესია – მიკუთვნებულობის მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესი, როდესაც ადამიანი თავს ჯგუფის სრულყოფილებიან წევრად გრძნობს.

☞ ინკლუზია არ არის მხოლოდ სასწავლო გეგმის ადაპტაცია და მოდიფიკაცია. როდესაც ინკლუზიის საჭიროებაზე ვსაუბრობთ, გავიხსენოთ, რომ სიცოცხლისათვის სუნთქვაა აუცილებელი. იგულისხმება, რომ სუნთქვის გარეშე ვერ იცოცხლებ. ინკლუზიური განათლების მოდელის კრიტერიუმი სუნთქვის საჭიროების ანალოგიურია. ადამიანი პიროვნებად და მოქალაქედ რომ ჩამოყალიბდეს, მისი თვითშეფასებისა და თვითპატივისცემის ფორმირებისათვის აუცილებელია, თავი საზოგადოების წევრად, მიკუთვნებულად და აღიარებულად იგრძნოს (Forest, 2005).

ინკლუზიის არასწორ გაგებას ხელს უწყობს რამდენიმე ილუზია, რომელთა დროული დაძლევა აუცილებელია ინკლუზიური განათლების ღირებულებებისა და მიდგომების დანერგვისათვის.

**ილუზია 1 – „ჩვენ ერთი დიდი ბედნიერი ოჯახი უნდა ვიყოთ“.** ასეთი წარმოდგენა აიძულებს ადამიანებს, თავი მოიტყუონ, რომ პიროვნებებსა და მათ შესაძლებლობებს შორის

რეალური განსხვავება არ არის, ან განსხვავება არ არის მნიშვნელოვანი. ეს ინკლუზიის გაგების სანინაალმდეგოა, რადგანაც ადამიანები ცდილობენ განსხვავებისა და მისი მნიშვნელობის, ან თუნდაც მისი არსებობის უგულვებელყოფას, რათა შექმნან მოჩვენებითი ერთობა. ერთობა არ ნიშნავს ერთნაირობას.

**ილუზია 2 – „ინკლუზია ყველაფრის ნამალია. ყველა ბედნიერი და კმაყოფილი უნდა იყოს“.** ასეთ შეხედულებას ისეთ ფსევდოსაზოგადოებამდე მივყავართ, სადაც იმ ადამიანების ადგილი არ არის, ვინც შენუხებული ან უკმაყოფილოა, სანამ არ მოვძებნით მათი „გაბედნიერების ნამალს“. ინკლუზია არ არის პანაცეა! ინკლუზიური განათლების პროცესი ძლიერ შფოთვასა და იმედგაცრუებებთან არის დაკავშირებული, რადგან ის მხოლოდ ერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე კი არ არის მორგებული, არამედ სწავლების მთლიან პროცესზე და სკოლაში ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს. ეს ცვლილებები, პირველ რიგში, მსოფლმხედველობასა და მართვას ეხება. შესაბამისად, ცუდად დაგეგმილი და განხორციელებული ინკლუზიური სწავლება არათუ უკმაყოფილებასა და სერიოზულ პრობლემებს იწვევს, არამედ დანაშაულიცაა.

**ილუზია 3 – ინკლუზია აუცილებლად მეგობრობას გულისხმობს და აღიარებს, რომ „ჩვენ ერთნაირები ვართ“.** ინკლუზიის შემთხვევაში საკითხი ასე კი არ დგას... „შეგვიძლია მეგობრები გავხდეთ?“, არამედ ასე: „შეგვიძლია თანაცხოვრება ვისწავლოთ?“ სირთულეებსა და კონფლიქტებში ვლინდება ჩვენი განსხვავებები და ვსწავლობთ მათი ერთობლივი გადაჭრის გზებს, ერთმანეთის გაგებას, თანამშრომლობასა და მოთმინებას. ინკლუზიის ილუზიაა სწორედ ყველას ერთნაირობა და აუცილებლად მეგობრობა. ინკლუზია ზღაპარში ცხოვრებას არ ნიშნავს, იგი ბევრად უფრო რთული რამაა: ჩვენ უნდა გვსურდეს თანაცხოვრება და თანამშრომლობა ჩვენი განსხვავებების, სისუსტეებისა და უარყოფითი მხარეების გაცნობიერების ფონზე. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი სხვისი განსხვავების მიღება, პატივისცემა და მხარდაჭერა. *ამიტომ, საქმე იმაში კი არ არის, მოგვწონს თუ არა ერთმანეთი და ვიმეგობრებდით თუ არა, არამედ – შეგვიძლია თუ არა ერთად ცხოვრება და ერთობლივი ქმედება (Forest, 2005)*



## **ინკლუზიური განათლების შპირატისმოზა და სარბეპელი**

☞ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს:

✱ ჩვეულებრივ კლასში შესაფერისი განათლებით უზრუნველყოფა აძლევს საშუალებას, თავი არ იგრძნოს სხვებისგან გამორჩეულად;

✱ კლასის ცხოვრებაში მონაწილეობითა და კლასელებთან ურთიერთობით ბავშვს უჩნდება მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ეზრდება მოტივაცია და თვითშეფასება;

✱ თითოეულ ბავშვს აქვს თავისუფალი გადაადგილების საშუალება სკოლაში მაშინ, როდესაც მხოლოდ სპეციალიზებულ კლასში ყოფნა ხშირად იწვევს ბავშვის იზოლაციას;

✱ თანატოლებთან ურთიერთობით ბავშვი სწავლობს თავისი ასაკისათვის სოციალურად შესაფერის ქცევას რეალურ სიტუაციაში.

☞ ჯანმრთელი ბავშვი:

✱ კარგად ორგანიზებულ ინკლუზიურ გარემოში იღებს უფრო მრავალმხრივ, ინდივიდუალიზებულ განათლებას, ვიდრე ჰომოგენურ საკლასო ოთახში;

✱ ბავშვებს უყალიბდებათ ცხოვრებაში არსებული განსხვავებების მიმღებლობა, გაგება და მცირდება ამ განსხვავებების აღქმის შიში.

✱ იზრდება მათი სოციალური შეგნება;

✱ ღრმავდება თვითშემეცნება და ყალიბდება ადეკვატური თვითშეფასება;

✱ ერთი მხრივ, ვითარდება ზრუნვის, სხვისი დახმარებისა და თანამშრომლობის სურვილი, ხოლო მეორე მხრივ, სხვებისგან დახმარების მიღების ადეკვატური აღქმა.

## **ინკლუზიური სწავლების მოდელები**

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინკლუზია არ გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების

მექანიკურ გადაყვანას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ის რომ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ავტომატურად არ ნიშნავს მის თანამონაწილეობას და სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესსა და სკოლის ცხოვრებაში.

ინკლუზიური განათლების ძირითადი აზრია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალობის მიღება და სწავლების პროცესში მისი გათვალისწინება. სწავლების პროცესი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ხელი შეუწყოს თითოეული ბავშვის უნარების განვითარებას.

*ინკლუზია ნიშნავს უნარშეზღუდული ბავშვის სრულ ჩართულობას კლასის ცხოვრებაში.*

შესაბამისად, ინკლუზიური სწავლება:

✳ ბავშვზე ორიენტირებული – გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური საჭიროებები, ძლიერი მხარეები, დასწავლის სტილი;

✳ სწავლების ძირითადი მეთოდია პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება;

✳ მასწავლებელი უფრო სწავლის მედიატორია, ვიდრე ცოდნის გადამცემი;

✳ თანამშრომლობაზეა ფოკუსირებული:

1. პროფესიონალებს შორის – ზოგადსაგანმანათლებლო კლასისა და სპეციალური განათლების მასწავლებლებს შორის;

2. მასწავლებელსა და მშობელს შორის;

3. ბავშვებს შორის – კლასელებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ჩვეულებრივ ბავშვებს შორის.

ინკლუზიური განათლება ყურადღებას ამახვილებს სასწავლო პროცესის პერსონალიზაციაზე. ამ დროს უნდა ავირიდოთ:

✳ დავალებების ახსნა გაკვეთილის დროს ლექციების სახით;

✳ მოსწავლეების პასიურობა;

✳ დიდი მოცულობის ახალი მასალის ახსნა ერთ ჯერზე;

✳ ფაქტებზე და დეტალებზე ყურადღების ზედმეტი კონცენტრაცია;

✳ შეფასებასთან დაკავშირებული სტრესი;

✳ მოსწავლეების დაყოფა ჯგუფებში „უნარების“ მიხედვით.

სწავლების პროცესში აუცილებელია:

- \* სწავლის მასტიმულირებელი მეთოდების გამოყენება;
- \* სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება, მათ შორის – დისკუსიებისა და კამათის;
- \* ახალი მასალის ეტაპობრივი დასწავლის მეთოდის გამოყენება;
- \* დავალებების შესრულებაზე მოსწავლეთა პასუხისმგებლობის შემუშავება;
- \* მოსწავლეების არჩევანის თავისუფლება;
- \* ყურადღების გამახვილება მოსწავლეების ემოციურ და ქცევით ცვლილებებზე;
- \* სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ კლასის ერთიანობას;
- \* მოსწავლეთა თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის ჯგუფური მუშაობის დანერგვა;
- \* ურთიერთდახმარების მეთოდის გამოყენება – თანატოლები ეხმარებიან კლასელს დავალების მომზადებაში, ახალი მასალის გაგებაში;
- \* მოსწავლეების ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით სწავლების ინდივიდუალიზებული მეთოდების გამოყენება ერთ კლასში;
- \* თანამშრომლობა სხვა მასწავლებლებთან, სპეციალური განათლების მასწავლებლებთან, მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან.

იმისათვის, რომ მოხდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სპეციალური განათლების მასწავლებელთა გამოცდილების ინტეგრაცია, აუცილებელია მათი ეფექტური თანამშრომლობა. სპეციალური განათლების მასწავლებლის ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებელთან თანამშრომლობის ხარისხზეა დამოკიდებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის თანამონაწილეობა საკლასო აქტივობებში. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა ინკლუზიური სწავლების რამდენიმე მოდელი, რომელთა გამოყენება შესაძლებელია კონკრეტული სიტუაციიდან და კონკრეტული მოთხოვნებიდან გამომდინარე. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე მათგანს.

**კონსულტირების მოდელი** – ეს მოდელი გულისხმობს სპეციალური განათლების მასწავლებლის აქტიურ მონაწილეობას ბავშვის სწავლების პროცესში. სპეციალური განათლების მასწავლებელი მოსწავლეს ახალი ჩვევების დასწავლაში ეხმარება, რაც ითვალისწინებს ბავშვის შესაძლებლობებზე სასწავლო გეგმის ეფექტიან მორგებასა და სწავლების შესაფერისი მეთოდების გამოყენებას ზოგადსაგანმანათლებლო მასწავლებლის თანმიმდევრული კონსულტირების საფუძველზე. ამ მიდგომამ შეიძლება უზრუნველყოს მოსწავლე ორი მასწავლებლით, რომლებიც დაეხმარებიან მას სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.

ამ შემთხვევაში რეკომენდებულია რეგულარული შეხვედრები, ბავშვის განვითარებისა და წინსვლის პერიოდული მონიტორინგი.

**ჯგუფური მოდელი** – სპეციალური განათლების მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო მასწავლებელთან ერთად განსაზღვრავს ორი კვირის გეგმას. ის უზრუნველყოფს მასწავლებელს ინფორმაციით, სწავლების სტრატეგიებით, აწვდის შეფასებისა და ქცევითი სტრატეგიების შესახებ ინფორმაციას. ჯგუფი (სპეციალური მასწავლებელი და ზოგადსაგანმანათლებლო პროფილის მასწავლებელი ან მასწავლებლები) რეგულარულად იკრიბება ახალი გეგმის შესამუშავებლად და პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად. გეგმას იმუშავებს რამდენიმე ადამიანი, თუმცა ახორციელებს ერთი – ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებელი რომელიც ატარებს გაკვეთილს.

**თანამშრომლობითი მოდელი** – ამ მოდელის გამოყენებისას ზოგადი განათლებისა და სპეციალური განათლების მასწავლებლები მუშაობენ ერთად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ჯანმრთელ მოსწავლეებთან ერთ საკლასო ოთახში. ყველანი პასუხისმგებელი არიან სასწავლო გეგმაზე, მოსწავლის მიღწევაზე, შეფასებასა და დისციპლინაზე. მოსწავლეები იღებენ ასაკის შესაბამის აკადემიურ ცოდნას, მხარდაჭერას და აუცილებლობის შემთხვევაში, სწავლების შეცვლილი

სტრატეგიებითა და მეთოდებით არიან უზრუნველყოფილნი. თანამშრომლობითი სწავლება სხვადასხვაგვარად არის ორგანიზირებული. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ნაწილდება წინასწარ როლები მასწავლებლებს შორის. მოსწავლეებს ჰყავთ მინიმუმ ორი მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიან და ეხმარებიან მათ სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის.

როგორ უნდა მოიქცეს სკოლის ადმინისტრაცია?  
რა არჩევანი უნდა გააკეთოს სკოლამ?

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩასართავად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სკოლამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი 5 ფაქტორი:

☞ აკადემიური სარგებელი – აკადემიური მიღწევისთვის რამდენად ეფექტურია ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში სწავლება;

☞ არააკადემიური სარგებელი – რამდენად ეფექტურია ბავშვის მეტყველების განვითარებისთვის, კომუნიკაციისა და სოციალური განვითარებისთვის, ასაკისთვის შესაფერისი ქცევების ათვისებისთვის მისი ზოგადსაგანმანათლებლო კლასში სწავლება;

☞ კლასის ორგანიზება და მართვა – გასათვალისწინებელია, რა დრო მიაქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის კლასში მართვას;

☞ ხარჯები – რა არის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართვის ან მისი სპეციალურ კლასში სწავლების ხარჯი;

☞ ბავშვის სპეციალურ კლასში ან სკოლაში განთავსებამდე რა ღონისძიებები/მოდიფიკაცია და დახმარება იქნა განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო კლასში.

სკოლის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ინკლუზიური განათლების მოდელის დასანერგად **ძირეული ცვლილებებია** საჭირო სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში,

სწავლებისადმი მიდგომაში, სასწავლო სივრცის მონყობაში, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის დამოკიდებულებაში. ეს არ არის ერთფეროვანი აქტი (მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში შეყვანა), არამედ რთული და განვითარებადი პროცესი. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ეფექტური სწავლებისა და მათი ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურებისათვის აუცილებელია ყურადღების გამახვილება და მუშაობა შემდეგ საკითხებზე:

☞ ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებლის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ეფექტიანი სწავლებისთვის;

☞ ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებლის დახმარება და მხარდაჭერა სპეცილისტის მიერ (სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების მასწავლებელი);


☞ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის განწყობა და დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ;

☞ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ჯანმრთელი ბავშვების მშობლებთან მჭიდრო ურთიერთობა და მათი გათვითცნობიერება ინკლუზიური განათლების სფეროში;

☞ სასწავლო მასალების, სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და ადამიანური რესურსების ადეკვატურობა, რაც აუცილებელია ეფექტიანი ინკლუზიური სწავლებისათვის.

*სხვადასხვა კვლევის საფუძველზე დადასტურებულია, რომ თუ შემოადინიშნული საკითხები არ არის გათვალისწინებული, ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებელს არა აქვს სათანადო მხარდაჭერა და დახმარება (იქნება ეს მისი კვალიფიკაციის ამაღლება, სპეციალისტის დახმარება თუ სპეციალური განათლების მასწავლებელთან მჭიდრო თანამშრომლობა), ინკლუზიური განათლების დანერგვა განწირულია და მხოლოდ უკუეფექტს მოგვცემს (Hehir, 2006).*

**ინკლუზიურ განათლებაში ჩართული მხარეები, სამიზნე ჯგუფები, რომელთა მომზადების გარეშე შეუძლებელია ინკლუზიური განათლების პროგრამების წარმატებით განხორციელება**



რადგანაც სასწავლო პროცესის ძირითადი წარმმართველი მასწავლებელია, მისი როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინკლუზიური სწავლების პროცესში. ბავშვის სასწავლო პროცესში ჩასართავად მასწავლებელს უნდა შეეძლოს ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრა და დახმარებისთვის გზების მოძიება როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა სპეციალისტებთან ერთად.

ბავშვის სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა არ არის ადვილი და დამოკიდებულია მასწავლებლის ბავშვზე დაკვირვების ჩვევებზე, ბავშვის ნორმალური განვითარების კანონზომიერების ცოდნაზე, განვითარებიდან გადახრის გამოვლინებების ცოდნაზე ბავშვის შემეცნებით თუ ემოციურ სფეროში, ქცევასა და აკადემიური ჩვევების ათვისებაში.

მასწავლებლის მიერ მოსწავლის ქცევების სწორ ინტერპრეტაციაზე დამოკიდებული, რამდენად დროულად მოხდება მისი საჭიროებების განსაზღვრა და დახმარების აღმოჩენა.

## არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობა

ინკლუზიურ განათლებასა თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე საუბრისას, პირველ რიგში, გამოხატული მოტორული თუ გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების დახმარების საკითხი დგება. ამ ბავშვების პრობლემები თვალსაჩინოა და დახმარების აუცილებლობა ყველასათვის ნათელია, თუ, რა თქმა უნდა, სკოლა (სახელმწიფო) უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას, ანუ იღებს პასუხისმგებლობას, ასწავლოს ყველა ბავშვს მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, სკოლა იღებს ვალდებულებას ყოველ კონკრეტულ ბავშვს, შეუქმნას სწავლისათვის ადეკვატური გარემო (სასწავლო პროგრამა, სწავლების მეთოდიკა, შეფასების სისტემა და ა.შ.).

თუ განვითარების პრობლემების მრავალსახეობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ყველა პრობლემა არ არის თვალსაჩინო. ამ საკითხს სპეციალური დახმარების საჭიროებების მხრიდან რომ შევხედოთ, დახმარება მხოლოდ თვალსაჩინო უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვებს არ სჭირდებათ. სხვადასხვა გამოკვლევების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სკოლაში თითქმის ყოველ მეორე ბავშვს სხვადასხვა ტიპის დახმარება ესაჭიროება, თვალსაჩინო უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვი კი, სკოლაში სულ რამდენიმეა.

პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ბავშვის სასწავლო გარემოში სრულფასოვან ფუნქციობას, აკადემიური ჩვევების ათვისებასა და მისი შესაძლებლობების რეალიზებას, მრავალფეროვანია და ხშირად არათვალსაჩინო. სწავლისა და ქცევის პრობლემები იშვიათად არის მხოლოდ ბავშვის დაბალი მოტივაციით, სიზარმაცითა და სიჯიუტით განპირობებული. სიზარმაცე, სიჯიუტე და დაბალი მოტივაცია, როგორც წესი, სკოლაში ქრონიკული ნარუმატებლობის შედეგია და არა მიზეზი. „ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი ბავშვები“ ხშირ შემთხვევაში არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვები არიან. ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას.

თუკი პრობლემას განვითარების კუთხით შევხედავთ, იგი



შეიძლება განვიხილოთ როგორც ნორმალური განვითარებიდან გადახრა. რადგან ნორმასა და პათოლოგიას შორის ზღვარი არასოდეს არის ერთმნიშვნელოვნად მკაფიო, ამიტომ რთულია „მინიმალური“ დეფიციტის იდენტიფიკაცია, განსაკუთრებით, თუ ის სპეციფიკური ხასიათისაა (ანუ ვლინდება ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ სფეროში, არ არის გლობალური და არ მოიცავს განვითარების ყველა სფეროს).

„მინიმალური“ დეფიციტის ამოსაცნობად მნიშვნელოვანია განვითარების ზოგადი კანონზომიერებისა და განვითარების ინდიკატორების ცოდნა. დღეს, როდესაც ბავშვის განვითარებაზე მრავალი მავნე ფაქტორი მოქმედებს (მაგ. გარემოს დაბინძურება, საკვებში ხელოვნური დანამატები, ტელევიზიასა და კომპიუტერში ძალადობა და აგრესია) „ნორმისა“ და „გადახრის“ ცნება და მათ შორის დიფერენციაცია კიდევ უფრო რთული და აქტუალური ხდება. დღევანდელი გამოკვლევების მიხედვით, ნორმალური განვითარებიდან გადახრა ბავშვთა პოპულაციის საკმაოდ დიდ რაოდენობას მოიცავს (მაგ. აშშ-ში სკოლის მოსწავლეთა 25%-ს, ინგლისში სკოლის მოსწავლეთა 20%-ს, რუსეთში ბავშვთა პოპულაციის 40%-ს).

ბავშვის განვითარება გარკვეულ ასაკში შესაბამისი ასაკობრივი საფეხურისათვის დამახასიათებელი უნარებისა და ჩვევების განვითარებით ფასდება. განვითარების ინდიკატორებზე დაკვირვება და მათ საფუძველზე ბავშვის განვითარებაზე მსჯელობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია ფსიქოლოგებისთვის, პედაგოგებისა და ჯანდაცვის სხვა წარმომადგენლებისთვის. მასწავლებლისთვის კი ბევრად უფრო მოსახერხებელია **განსხვავებულ ქცევაზე დაკვირვება**; ქცევა, რომელიც არ არის დამახასიათებელი შესაბამისი ასაკის ბავშვებისთვის, **თვალსაჩინოა და არ მოითხოვს განვითარების საკითხების საფუძვლიან ცოდნას**. თუმცა აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ განსხვავებული ქცევა ყოველთვის განვითარების შეფერხებისა და პრობლემური ქცევის ინდიკატორი არ არის. *მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, ქცევაში ბავშვის პიროვნული, ინდივიდუური თავისებურება ვლინდება, თუ ის რაიმე პრობლემის ასახვაა.*

ბავშვის ქცევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული –

მის ტემპერამენტსა და ხასიათზე, ოჯახური ურთიერთობის სტილზე, უფროსების ქცევაზე და ა.შ. **როდესაც ბავშვი განსხვავებულად და მისთვის “უცნაურად” იქცევა, ეს შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს მის პრობლემურობას.** განსხვავებული ქცევის ინტერპრეტაციისათვის საჭიროა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- **ბავშვის ასაკი:** ბავშვის ქცევის ინტერპრეტაცია, მისი ასაკის შესაბამისი თავისებურებების ჭრილში უნდა მოხდეს; ერთი და იგივე ქცევა შესაძლოა ნორმალური იყოს სკოლამდელ ასაკში, მაგრამ პათოლოგიური გარდატეხის ასაკისთვის. მაგ. სკოლამდელ და ადრეული სასკოლო ასაკში ბავშვის დაუინება, რომ შეუძლია გადაიქცეს რაიმე ზღაპრულ გმირად, სავსებით ნორმალურია, თუმცა იგივე მსჯელობა 8-9 წლის ასაკში აზროვნების სერიოზულ პრობლემაზე მიუთითებს.

გარდა ამისა, ბავშვები, ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, განსხვავებულად რეაგირებენ სტრესულ სიტუაციაზე, რაც ჯანმრთელი ბავშვის რეაქციაა და არა პრობლემური ქცევა. 2-3 წლამდე ბავშვები სომატურად რეაგირებენ მათთვის სტრესულ ვითარებაზე – უწევთ სიცხე, ტკივდებათ მუცელი და ა.შ., მაშინ, როდესაც ამის რეალური (სომატური) მიზეზი არ აქვთ. 4-9 წლის ბავშვებისათვის სტრესზე მოტორული რეაგირებაა დამახასიათებელი. ეს შეიძლება გამოიხატოს უნებლიე მოძრაობებში (ტიკი), ენაბორძიკობაში და ენურეზში. თუმცა აღნიშნული ვითარება რეაქტიულ ხასიათს ატარებს და სტრესული სიტუაციის გაქრობასთან ერთად დავინწყებას ეძლევა. თუმცა, არიან ბავშვები, ვისთვისაც ტიკი, ენაბორძიკობა და ენურეზი მნიშვნელოვან პრობლემად რჩება და მათ დასაძლევად სერიოზული დახმარება სჭირდებათ.

- **განვითარების კრიტიკული პერიოდი:** ბავშვს „განსხვავებული“ ქცევა შეიძლება ჰქონდეს განვითარების კრიტიკულ პერიოდში. ეს ის პერიოდია, როდესაც მნიფდება ახალი უნარი, ბავშვი ახალი ჩვევების დაუფლების პროცესშია; ამისათვის მისი წარსული გამოცდილება საკმარისი არ არის, ახალი უნარები კი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ასეთი პერიოდებია მაგ. 3 წელი, სკოლაში შესვლის პერიოდი - 6 წელი, და პუბერტატის პერიოდი -11-12 წლიდან.

- **ბავშვის გარემო:** გარდა იმისა, რომ სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული ნორმები არსებობს, ბავშვები სხვადასხვა ოჯახებში იზრდებიან და მათი გარემო მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ბავშვის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახში ურთიერთობის სტილი, აღზრდის სტილი, მშობლების ჩართულობის ხარისხი და ა.შ.

## **სად შეიძლება იყოს პრობლემა?**

თეორიების უმრავლესობა განვითარებას განიხილავს ეტაპობრივ პროცესად, რომელიც წინასწარ განსაზღვრული საფეხურების მიხედვით მიმდინარეობს. ყოველ მომდევნო საფეხურზე გადასვლა დამოკიდებულია მისი წინმსწრები საფეხურის შესაბამისი უნარების ათვისებაზე. მაგ: სანამ ბავშვი სირბილს ისწავლიდეს, იგი ჯერ ხოხვას, ხოლო შემდგომ სიარულს სწავლობს; მხოლოდ ამ ორი უნარის ათვისების შემდეგ ხდება შესაძლებელი სირბილის სწავლა.

კონკრეტული ჩვევისა და უნარების ათვისების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ბავშვის განვითარების შესახებ. იმის მიხედვით, თუ როდის ჩნდება გარკვეული უნარები, მაგალითად, როდის იწყებს ბავშვი სიარულს, ლაპარაკს და ა.შ., ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას ბავშვის განვითარების შესახებ. ანუ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია განვითარების ინდიკატორებისა და შესაბამისი ასაკობრივი პერიოდის ცოდნა, როდესაც მოსალოდნელია მოცემული უნარის მომწიფება ან ჩვევის ათვისება.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამა თუ იმ ჩვევისა თუ უნარის ათვისება ერთი და იმავე ბავშვის მიერ ერთი და იმავე დროს არ ხდება. მაგ.: ზოგიერთი ბავშვი ერთი წლის ასაკში უკვე წინადადებებით ლაპარაკობს, ზოგიერთი კი მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ამბობს, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ბავშვის განვითარება ნორმას არ შეესაბამება. ბავშვთა პოპულაცია განვითარების ინდივიდუალური ვარიანტებით ხასიათდება, თუმცა თითოეული ინდიკატორისათვის (ჩვევისათვის, უნარისთვის) არსებობს დროითი საზღვრები,

რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია მოცემული უნარის განვითარება.

სირბილის მაგალითზე ჩვენ დავინახეთ, რომ ნებისმიერი უნარისა თუ ჩვევის ათვისება დამოკიდებულია მისთვის აუცილებელი სხვა უნარების განვითარებაზე, მზაობაზე.

სხვადასხვა უნარების განვითარების შეფერხება შესაძლოა თვალსაჩინო მხოლოდ მაშინ გახდეს, როცა იგი საჭირო გახდება რაიმე რთული ჩვევის ასათვისებლად. მაგ., ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს წონასწორობის დაცვის პრობლემა, რომელიც შესამჩნევი ხდება მაშინ, როცა ბავშვი ვერ სწავლობს ველოსიპედის ტარებას. პრობლემურ ქცევათა უმრავლესობა, რომელსაც ბავშვი სკოლაში ავლენს, სხვადასხვა არათვალსაჩინო პრობლემების შედეგია. აქედან გამომდინარე, მასწავლებლისთვის აუცილებელია, ერთი მხრივ, იმ ფუნდამენტური უნარების ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს აკადემიური ჩვევების ათვისებას და მეორე მხრივ, იმ ქცევითი ინდიკატორების იდენტიფიცირება, რომელშიც ამა თუ იმ უნარის მოუმწიფებლობა ვლინდება.

## **ყურადღება და იმპულსის კონტროლი**

რელევანტურ სტიმულებზე ყურადღების კონცენტრაციისა და ირელევანტური სტიმულების იგნორირების უნარი ინფორმაციის ნებისმიერ დონეზე მიღებისა და დასწავლის აუცილებელი პირობაა. ყურადღების დეფიციტი დაბალი აკადემიური მიღწევის ყველაზე ხშირი მიზეზია. ყურადღების დეფიციტი შესაძლოა მხოლოდ ერთ კონკრეტულ, მაგალითად, სასკოლო გარემოში ვლინდებოდეს, რის გამოც მასწავლებლებისა და მშობლების მიერ ბავშვის უყურადღებობა ხშირად ინტერესისა და მოტივაციის ნაკლებობით აიხსნება.

ყურადღების დეფიციტის მქონე ბავშვს:

- \* ადვილად ეფანტება ყურადღება;
- \* უჭირს კონცენტრაცია;
- \* უჭირს ყურადღების გადანაცვლება;
- \* ადვილად იღლება და იფიტება.

☞ ამის გამო ბავშვი შესაძლებელია:

- \* არ ამთავრებდეს დაწყებულ საქმეს;
- \* ხტებოდეს ერთი ამოცანიდან მეორეზე;
- \* ტოვებდეს შთაბეჭდილებას, რომ არ უსმენს;
- \* ხშირად კარგავდეს ნივთებს;
- \* ავინწყებოდეს დავალება.

## **მეხსიერება**

ინფორმაციის შენახვა და საჭიროების შემთხვევაში მისი გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია, რომელზეც დამოკიდებულია ბავშვის აკადემიური მიღწევა. ბავშვების გარკვეულ ნაწილს აქვს მეხსიერების სხვადასხვა ტიპის პრობლემა, რომელიც სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, ანუ ვლინდება მხოლოდ ერთ სფეროში; მაგალითად, ბავშვი შესაძლოა კარგად იმახსოვრებდეს მხოლოდ ვიზუალურ ინფორმაციას, მაგრამ უჭირდეს სმენით აღქმული ინფორმაციის დამახსოვრება.

შესაძლოა პრობლემა იყოს არა დამახსოვრება, არამედ უკვე დამახსოვრებული მასალის გამოყენება/გახსენება. ასეთ შემთხვევაში დაგვრჩება შთაბეჭდილება, რომ ბავშვი ვერ იმახსოვრებს, თუმცა გარკვეულ სიტუაციაში, რაიმე ტიპის მინიშნებისას, შეიძლება ადვილად გაიხსენოს დამახსოვრებული მასალა. მაგ: ბავშვმა ვერ გაიხსენა ერთხელ ან რამდენიმეჯერ ნანახი ადამიანი, მოყოლილი ამბავი ან ნაკითხული ტექსტი, ნანახი ან დახატული ნახატი, მაგრამ თუ მიანიშნებთ, სად ნახა ეს ადამიანი, რას ეხებოდა ეს მოთხრობა და ა.შ., შესაძლოა დეტალურად გაიხსენოს ყველაფერი.

ყველაზე ხშირად ბავშვებში ვხვდებით ხანმოკლე მეხსიერების მოცულობის შევიწროებას. თუ ჩვეულებრივ, ბავშვი უშუალოდ (დროითი ინტერვალის გარეშე) იმახსოვრებს 4-5 ელემენტს, მაგალითად, 5 სიტყვას ან 5 ნახატს, მოცულობის შევიწროების შემთხვევაში მხოლოდ 1 ან 2 ელემენტის დამახსოვრებას ახერხებს. თუ სხვა ბავშვისთვის 5 სიტყვის

დასამახსოვრებლად საკმარისია ერთხელ ან ორჯერ წაკითხვა, ასეთი ბავშვებისთვის აუცილებელია მასალის მრავალჯერადი გამეორება.

☞ *ბავშვი შესაძლებელია:*

✱ ერთი და იმავე კითხვაზე ერთ დღეს სწორად პასუხობდეს, მეორე დღეს კი საერთოდ ვერ გასცეს პასუხი;

✱ იმახსოვრებდეს შერჩევითად: მაგ., იმახსოვრებს მოთხრობას, მაგრამ უჭირს ცალკეული ფაქტების, თარიღების დამახსოვრება;

✱ მოყოლისას ურევდეს ფაქტების თანმიმდევრობას, მაგრამ შეეძლოს კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა;

✱ ვერ იხსენებს, მაგრამ ცნობდეს: მაგალითად, ბავშვი ვერ იხსენებს (ვერ ჩამოთვლის) ევროპის სახელმწიფოთა დედაქალაქებს, მაგრამ თუ მისცემთ საშუალებას, დედაქალაქების ქაოტურად ჩამოთვლილი სახელები დააკავშიროს შესაბამისი სახელმწიფოების სახელებთან, იგი თითქმის უშეცდომოდ შეძლებს დავალების შესრულებას;

✱ ვერ იგებდეს რთულ და გრძელ მითითებებს.

## **მეტყველება**

მეტყველების, როგორც კომუნიკაციის ძირითადი საშუალების, ასაკის შესაბამისად განვითარება სასკოლო გარემოში წარმატებული ფუნქციონის აუცილებელი პირობაა და უზრუნველყოფს აკადემიური ჩვევების ათვისებასა და სოციალური უნარების განვითარებას. ისევე, როგორც მეხსიერების, მეტყველების დარღვევაც შესაძლოა არ მოიცავდეს მთლიან ფუნქციას და მის მხოლოდ რომელიმე მხარეს ეხებოდეს. განასხვავებენ მეტყველების ექსპრესიულ, იმპრესიულ და შერეულ დარღვევებს.

❖ ექსპრესიული მეტყველების დარღვევა ან მისი დროული მომწიფების დაგვიანება გულისხმობს აზრის ჩამოყალიბებისა და გადმოცემის გაძნელებას;

❖ იმპრესიული მეტყველების დარღვევა მიმართული მე-

ტყველების გაგების პრობლემაში ვლინდება;

❖ მეტყველების შერეული დარღვევა აერთიანებს როგორც ექსპრესიული, ისე იმპრესიული მეტყველების პრობლემებს.

*ექსპრესიული მეტყველების პრობლემა შესაძლოა განპირობებული იყოს:*

\* **ფონოლოგიური სიძნელებით:** ფონოლოგია გულისხმობს ბგერების წარმოთქმას და მათი სიტყვებად კომბინირების წესებს. ფონოლოგიური სირთულეები ვლინდება არტიკულაციის გაძნელებაში, მსგავსი ბგერების გამოთქმის სიძნელებში; მეტყველების ფონოლოგიური დარღვევისას დამახასიათებელია სიტყვებში ბგერების გამოტოვება, ჩანაცვლება ან დამახინჯება.

\* **სინტაქსური პრობლემებით:** სინტაქსი გულისხმობს სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირების წესებს, გრამატიკულად სწორი კონსტრუქციის გამოყენებას: კითხვითი ფორმის, დროების, რთული წინადადებებისა და სხვ. ფორმულირებას.

\* **მორფოლოგიური სიძნელებით:** მორფემა ენის უმცირესი ნაწილაკია, რომელიც ცვლის სიტყვის მნიშვნელობას. მორფოლოგია გულისხმობს სიტყვების ჩამოყალიბებას მორფემების საშუალებით. მორფოლოგიური სირთულეები ვლინდება სუფიქსების, პრეფიქსებისა და სხვადასხვა ნაწილაკების სწორად გამოყენებაში. მორფოლოგიური ცოდნა მოიცავს რიცხვის, დროების, ზმნის ფორმების, ბრუნვების წარმოებასა და გამოყენებას.

\* **სემანტიკური პრობლემებით:** სემანტიკა გულისხმობს მნიშვნელობას, რომელიც სიტყვებსა და წინადადებებშია კოდირებული. სემანტიკური პრობლემები ვლინდება მწირ ლექსიკურ მარაგში, ომონიმების, სინონიმების, ფრაზეოლოგიზმების, სიტყვის მნიშვნელობებისა და მათ შორის მიმართებების წვდომის უნარებში.

\* **პრაგმატული სირთულეებით:** პრაგმატიკა გულისხმობს

ენის გამოყენებას სოციალურ კონტექსტში, პიროვნებათაშორისი ურთიერთობისას გარკვეული მიზნების მისაღწევად. რეალურ საუბარში წინადადების გამოთქმა გრამატიკის, მორფოლოგიისა თუ სემანტიკის სწორი გამოყენების გამო კი არ ხდება, არამედ საკუთარი აზრის გამოსახატავად. პრაგმატული დარღვევების დროს ბავშვის მეტყველება შესაძლოა გრამატიკულად გამართული იყოს, მაგრამ არ შეესაბამებოდეს მოცემულ სოციალურ კონტექსტს. პრაგმატული სირთულეები ვლინდება მეტყველების ადეკვატურ გამოყენებაში, მაგ: ზრდილობიანი ფორმების ხმარება, სასაუბრო თემის ან შეტყობინების აქტუალობის განსაზღვრა კონკრეტულ სიტუაციაში და ა.შ. მეტყველების პრაგმატული მხარის დარღვევისას პრობლემურია, აგრეთვე, ჟესტების ადეკვატური გამოყენება.

✳ **მოქნილობის პრობლემებით:** ენაბორძიკობა, უნესრიგო მეტყველება.

*იმპრესიული მეტყველების დარღვევა ან მისი დროული მომნიშვნის დაგვიანება გულისხმობს მიმართული მეტყველების გაგების პრობლემას, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა დარღვევებით:*

✳ **ფონემატური სმენა:** ჟღერადობით მსგავსი ფონემების (ბ-პ-ფ) გარჩევა (ფონემა ისეთი სამეტყველო ბგერაა, რომელსაც მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია გააჩნია);

✳ **ხანმოკლე სმენითი მესხიერება:** გრძელი გამონათქვამის გაგების პრობლემა;

✳ **სემანტიკური პრობლემა:** რაც ვლინდება სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობის, გადატანითი მნიშვნელობის, სარკაზმის, ხუმრობისა თუ ფრაზული გამონათქვამების გაგების სირთულეში;

✳ **პრაგმატული დარღვევები:** გამოიხატება სიტუაციის შესაბამისად სხვისი გამონათქვამის, ხუმრობისა თუ მინიშნების გაგებაში. პრობლემურია ჟესტებისა და მიმიკის, მეტყველების თანმხლები არავერბალური მიმანიშნებლების ინტერპრეტაცია.



## მეტყველების განვითარებასთან დაკავშირებული თავისებურებანი

- ☞ ბავშვი შესაძლებელია:
  - \* თავს არიდებდეს საუბარს, ან ჰქონდეს ურთიერთობა, ძირითადად, უფროსებთან;
  - \* კომუნიკაციისათვის იყენებდეს სტანდარტულ ფრაზებს;
  - \* ჰქონდეს სიტყვათა კარგი მარაგი, მაგრამ ღარიბი პროდუქცია;
  - \* საუბრისას ყოყმანობდეს;
  - \* ჰქონდეს უცნაური ან არაადეკვატური კომენტარები; ინევდეს ხელს, მაგრამ ვერ პასუხობდეს;
  - \* უნდოდეს რალაცის თქმა, მაგრამ უჭირდეს სიტყვების მოძებნა;
  - \* ჰყვებოდეს ამბავს არათანმიმდევრულად;
  - \* ესმოდეს შეცდომით, უჭირდეს მიმართული მეტყველების გაგება;
  - \* ჰქონდეს ცუდი არტიკულაცია, ტოვებდეს ბგერებს;
  - \* იყენებდეს დაუმთავრებელ წინადადებებს, ბურღლუნებდეს, ლაპარაკობდეს გაუგებრად ან ჩუმად;
  - \* კონტექსტის შეუსაბამოდ ლაპარაკობდეს მხოლოდ იმაზე, რაც თვითონ აინტერესებს და არ უნევდეს ანგარიშს მოსაუბრეს, უჭირდეს თვალებით კონტაქტი;
  - \* გაფაცვიცებით ადევნებდეს თვალს სხვებს, რათა დაინახოს, როგორ აკეთებენ ისინი;
  - \* ურევდეს წინადადებაში სიტყვებს, სიტყვაში მარცვლების თანმიმდევრობას;
  - \* არ შეეძლოს გართიმვა;
  - \* არ შეეძლოს სიტყვის დამარცვლა ან მარცვლებისაგან სიტყვის შედგენა;
  - \* არ შეეძლოს სიტყვის ცალკეულ ბგერებად დაშლა ან/და ცალკეული ბგერებისაგან სიტყვის შედგენა.

## **ვიზუალურ-სივრცითი უნარები**

აღნიშნულ სფეროში პრობლემის გასაგებად აუცილებელია, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მხედველობის დაქვეითება (ნაწილობრივი ან სრული სიბრმავე) მხედველობით მიღებული ინფორმაციის აღქმის განვითარების დეფიციტისგან. აღქმა გულისხმობს დანახულის გააზრებას, მნიშვნელობის მინიჭებას, მის ინტერპრეტაციას.

აღქმის დეფიციტი განსხვავდება მხედველობის დაქვეითებისაგან: ასეთ შემთხვევაში ადამიანს მხედველობა შესაძლოა ნესრიგში ჰქონდეს, მაგრამ ვერ ახერხებდეს მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციას.

☞ *ბავშვს შეიძლება უჭირდეს:*

**ვიზუალური გარჩევა:**

ვიზუალური გარჩევის უნარი გულისხმობს საგნების, ობიექტების გარჩევას მათი დამახასიათებელი ნიშნებისა და დეტალების მიხედვით. ვიზუალური გარჩევის დეფიციტის შემთხვევაში, ბავშვს უჭირს:

✱ ფერის, ფორმის, ზომის მიხედვით ობიექტებსა და საგნებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების შემჩნევა;

✱ მსგავსი მოხაზულობის სიმბოლოების (ასოების, მაგ: დ-ლ; ო-რ; ს-ხ; გ-ვ-კ) გარჩევა;

✱ ფონიდან ფიგურის გამოორჩევა: უჭირს წიგნის გვერდზე საჭირო მასალის მოძებნა;

✱ დეტალის მიხედვით მთლიანი ფიგურის გამოცნობა.

**სივრცითი მიმართებების აღქმა:**

სივრცითი მიმართებების აღქმა უზრუნველყოფს საგნების სივრცეში განლაგების, ერთმანეთის მიმართ პოზიციისა და მათ შორის დისტანციის აღქმას.

*აღნიშნული პრობლემის შემთხვევაში ბავშვებს უჭირთ:*

- \* ერთმანეთის მსგავსი სიმბოლოების გარჩევა (d-b; მ-ნ; შ-წ; 6-9);
- \* მარჯვენა-მარცხენას გარჩევა;
- \* წერის დროს უშვებენ სარკისებურ შეცდომებს (2-5);
- \* წერისას ასოებსა და ცალკეულ სიტყვებს შორის მანძილის განსაზღვრა;
- \* გზის გაკვლევა (მაგ: საკლასო ოთახის მიგნება);
- \* ცხრილებით, სქემებით, რუქით ხელმძღვანელობა: ერევათ ჩრდილოეთი-სამხრეთი, აღმოსავლეთი-დასავლეთი;
- \* დროის აღმნიშვნელი ცნებების გაგება: გუშინწინ-ზეგ.

### **თანმიმდევრობის აღქმა:**

საგნებს შორის თანმიმდევრობის აღქმის დეფიციტის შემთხვევაში ბავშვებს უჭირთ:

- \* სიმბოლოების თანმიმდევრობით აღქმა, მაგ: ბავშვმა შეიძლება 13 ნაიკითხოს, როგორც 31;
- \* რომაული ციფრების წაკითხვა IV-VI; IX-XI;
- \* კითხვისას ხაზის გამოტოვება ან უკვე წაკითხულთან დაბრუნება;
- \* არითმეტიკული გამოსახულების შესრულებისას ოპერაციების თანმიმდევრობის აღრევა;
- \* კითხვისას მარცვლების ან ასოების შენაცვლება.

## **ორგანიზაციული უნარები**

გარდა შემეცნებითი უნარებისა, სწავლაში წარმატებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია ორგანიზაციული უნარების განვითარება, რაც გულისხმობს საკუთარი ქცევის მიზნის შესაბამისად დაგეგმვას, გეგმის განხორციელებასა და მასზე კონტროლს. ესაა უნარები ქცევის რეგულაციისა და ქცევის შედეგების წინასწარი განჭვრეტისათვის. შესაძლოა ბავშვმა იცის, რა უნდა გააკეთოს, მაგრამ უჭირს, განსაზღვროს - სად, როგორ და რა თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს აქტივობები.

ბავშვს შესაძლებელია უჭირდეს:

- \* დროის განაწილება: ვერ ასწრებდეს ვერაფრის გაკეთებას;
- \* ცხრილის მიხედვით მოქმედება;
- \* დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა;
- \* მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციის შესრულება;
- \* მოქმედების შედეგის წინასწარ განჭვრეტა და შეცდომების კონტროლი.

## **პიროვნულ-ემოციური სფერო**

ადეკვატური თვითშეფასება, საკუთარი კომპეტენტურობის განცდა, სხვისი ემოციის გაგება, საკუთარი ემოციების გამოხატვა და გაზიარება, სწავლის მოტივაცია და შემეცნებითი ინტერესის არსებობა მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური ჩვევების, ასევე მეგობრული ურთიერთობების დამყარებისა და რაც მთავარია, სოციალურ გარემოსთან ადაპტაციისთვის.

☞ ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელი ნიშნები:

- \* იქცევა ასაკისთვის შეუფერებლად (ტირის, ჭიჭყინებს, ეტირება მშობელს),
- \* ემოციურად მერყევია, ხასიათდება კატასტროფული რეაქციებით, გაბრაზებულია,
- \* მორცხვია,
- \* იცის გადაბრალება,
- \* ჯგუფიდან გარიყულია,
- \* უჭირს სხვისი ემოციის გაგება,
- \* ადვილად უცრუვდება იმედი, არ უყვარს გარისკვა,
- \* არ იღებს შექებას,
- \* უჭირს არჩევანის გაკეთება,
- \* ძნელად ეგუება ცვლილებებს,
- \* მგრძნობიარეა.

## მოტორული განვითარება

მოტორული განვითარების მნიშვნელობა, ერთი შეხედვით, არ არის დაკავშირებული ბავშვის აკადემიური ჩვევების ათვისებასთან, თუმცა სწავლაში პრობლემების მქონე ბავშვების უმრავლესობას აღენიშნება მოტორული განვითარების შეფერხება. თუ სწავლაში პრობლემების მქონე ბავშვების თავისებურებებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში ასეთი ბავშვები გამოირჩევიან თანატოლებისგან: მათ არ უყვართ მოძრავი თამაშები, უჭირთ ველოსიპედის ტარება, ხშირად ეცემიან, ეჯახებიან ბავშვებს, უჭირთ წონასწორობის დაცვა და ა.შ.

მოტორული განვითარება სხვა ფსიქიკური ფუნქციების განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. მაგ. სიარულთან ერთად ბავშვი იწყებს გარემოს სამ განზომილებაში აღქმას, საგნებს შორის სივრცითი მიმართებების დამყარებას, გარემოს აქტიურ შესწავლას. მოტორული განვითარების შეფერხება იწვევს სხვა ფუნქციების განვითარების მეორეულ შეფერხებას.

აქედან გამომდინარე, მოტორულ განვითარებაზე დაკვირვება და პრობლემის გამოვლენა ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკშია შესაძლებელი.

☞ *მოტორულ განვითარებაში პრობლემების მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელი ნიშნები:*

- \* არ უყვარს მოძრავი თამაშები,
- \* მოუხერხებელი და მოუქნელია,
- \* იშვიათად დგას გამართული: ეყუდება კედელს ან რაიმე საყრდენს,
- \* უჭირს თავისუფალ სივრცეში ორიენტაცია,
- \* ხშირად ეჯახება ადამიანებსა და საგნებს,
- \* თავს არიდებს, ან არაკომფორტულად გრძნობს თავს სათამაშო მოედანზე (სასრიאלო, საქანელა და ა.შ.),
- \* ხშირად და ადვილად ეცემა, ცურდება სკამიდან.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნატიფი მოტორიკის განვითარების მნიშვნელობა, რომელიც წერის ათვისების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. ხელის მტევნისა და თითების მო-

ქნილ, ზუსტ მოძრაობაზეა დამოკიდებული, როგორ უჭირავს ბავშვს კალმისტარი, რამდენად სწრაფად წერს, როგორია ასოების მოხაზულობა.

☞ ნატიფი მოტორიკის პრობლემების მქონე ბავშვებს:

✱ არ უყვართ ხატვა, გაფერადება,

✱ ჩივიან, რომ კალამი არ წერს კარგად და ითხოვენ მის გამოცვლას,

✱ წერენ მხოლოდ რბილი ან გარკვეული ფორმის პასტით,

✱ მოუხერხებლად უჭირავთ ფანქარი,

✱ ნელა წერენ და მალე იღლებიან,

✱ მათი ნაწერი ძნელი გასარჩევია,

✱ უჭირთ თასმების, ღილების შეკვრა,

✱ უჭირთ მაკრატლის, სათლელის, თხილის სატეხისა და სხვა ხელსაწყოების გამოყენება.

\*\*\*

გარდა იმისა, რომ ბავშვის პრობლემა ჩამოთვლილი სფეროებიდან მხოლოდ ერთ-ერთში შეიძლება ვლინდებოდეს, როგორც წესი, ის არ მოიცავს მთელ ფუნქციას: მაგ: ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ვიზუალური მეხსიერების პრობლემა, მაგრამ სხვებზე გაცილებით კარგად იმახსოვრებდეს ვერბალურ მასალას; მეტყველებდეს გრამატიკულად სწორი, გამართული წინადადებებით, ჰქონდეს სიტყვათა დიდი მარაგი, მაგრამ უჭირდეს მიმართული მეტყველების გაგება და ა.შ. *ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ პრობლემა შეიძლება ძალიან სპეციფიკური იყოს და დიდხანს დარჩეს ყურადღების მიღმა, ან მოხდეს მისი არასწორი ინტერპრეტაცია.*

აკადემიური ჩვევების ათვისებასთან დაკავშირებული სირთულეები ხშირად მნიშვნელოვან ემოციურ და ქცევით პრობლემებს იწვევენ, რომლებიც შეიძლება მხოლოდ „ფასადი“ იყოს, მისი მიზეზი კი სხვა უნარების დეფიციტში მდგომარეობდეს.

სხვა უნარების ნორმალური განვითარების გამო, ბავშვებს დიდი კომპენსატორული მექანიზმები აქვთ, ამიტომ პრობლემა მხოლოდ სკოლაში შესვლის შემდეგ იჩენს თავს; ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა მაღალ კლასებამდეც კი არ გამოვლინ-

დეს. პრობლემის გამოვლენის ალბათობა სასწავლო მასალის გართულებასთან ერთად იზრდება. პრობლემის მოულოდნელი გამოვლინების გამო, მისი არასწორი ინტერპრეტაცია ხდება და დაბალი მოტივაციითა და სიზარმაცით აიხსნება. არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად ასეთი ბავშვები ვერ იღებენ დროულ და საჭირო დახმარებას.

*სპეციფიკური პრობლემის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგები ბევრად უფრო დამლუპველია, ვიდრე თავად პრობლემა.* მშობლებისა და მასწავლებლებისთვის ამ ტიპის ბავშვების ქცევა გაუგებარია: როგორ შეიძლება ბავშვი შესანიშნავად ხსნიდეს ურთულეს არითმეტიკულ მაგალითებს და ვერ წერდეს კარნახს, ან როგორაა შესაძლებელი, რომ ბავშვი ვერ წერდეს და მშვენივრად ახერხებდეს მოთხრობის აზრის გაგებასა და შინაარსის მოყოლას. ასეთი განსხვავება ბავშვის დაბალი მოტივიციით, სიზარმაცით, სიჯიუტითა და ინტერესების ნაკლებობით აიხსნება. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ აკადემიური ჩვევების ათვისების სირთულეს თან ქცევითი პრობლემებიც ახლავს; ამ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ ბავშვს უჭირს სწავლა, იგი სხვებსაც უშლის ხელს.

ასეთი ბავშვების მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან გადაჭარბებული მოლოდინი: ეს ბავშვები ნორმალურად ვითარდებიან და ხშირ შემთხვევაში განსაკუთრებულ უნარებსაც ამჟღავნებენ ერთ რომელიმე სფეროში. მაგ: ძალიან ადრე იწყებენ მეტყველებას, რის გამოც მოლოდინი იზრდება; მშობლებისა და მასწავლებლების მოლოდინის გამართლების სურვილი ბავშვს ზედმეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. როცა ბავშვი მშობლის მოლოდინს ვერ ამართლებს, უჩნდება თვითშეფასების პრობლემები და შფოთვა. თვითშეფასებაზე უარყოფითად მოქმედებს, აგრეთვე, მუდმივი შენიშვნები და კრიტიკა. ასეთი ბავშვები ადვილად ღიზიანდებიან და ემოციურად გაუნონასწორებლები არიან.

შფოთვისა და იმედგაცრუების შესანიშნავად ისინი აგრესიულად იქცევიან. ერთი სიტყვით, მათთვის უფრო მოსახერხებელია, იყვნენ ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები, უყურადღებონი და თუნდაც - უზრდელნი, ვიდრე გაუმკლავდნენ სკოლაში შექმნილ სირთულეებს, რადგან მიიჩნევენ, რომ მაინც არაფერი

გამოუვათ და „სულელის“ როლში ყოფნა არ სურთ; მითუმეტეს, თუ ისინი მხარდაჭერასა და შესაბამის დახმარებას ვერ პოულობენ.

ემოციური პრობლემები, რომლებიც კიდევ უფრო ართულებენ ბავშვის მდგომარეობას, როგორც წესი, ნიღბავს დაბალი აკადემიური მოსწრების რეალურ მიზეზებს და ბავშვის პიროვნულ მახასიათებლად აღიქმება. პრობლემის არათვალსაჩინო ბუნებიდან გამომდინარე, მისი იდენტიფიკაცია სხვა უნარშემზღვევით მდგომარეობებისგან (მაგ: ცერებრალური დამბლა, გონებრივი ჩამორჩენილობა და ა.შ.) განსხვავებით, გართულებულია. ამიტომ ხშირად ხდება მისი იგნორირება ან არასწორი ინტერპრეტაცია.

ბავშვები, რომლებიც ვერ უმკლავდებიან სკოლაში წაყენებულ აკადემიურ მოთხოვნებს, ყველაზე ხშირად განიცდიან სირცხვილის გრძნობას. დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებაში, სადაც მსგავსი საკითხების დიაგნოსტიკა პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენს, აჩვენა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა პრობლემის სწორი ფორმულირება ხდება, ბავშვი დიაგნოსტიკური იარაღისა და მასთან დაკავშირებული სირცხვილის გრძნობის მსხვერპლი ხდება. პრობლემის იგნორირებისა და არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში კი, ბავშვების წარუმატებლობა მათი სიზარმაცით, სიცელქით, მოუწესრიგებლობით, დაბალი მოტივაციით, ანდა დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობებით აიხსნება.

ემოციურ და ქცევით თავისებურებს შორის, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ნიღბავს ბავშვის აკადემიურ წარუმატებლობას, აღსანიშნავია შიში. მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან გამუდმებული შენიშვნებისა და უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, ბავშვები პოულობენ პრობლემასთან გამკლავების სხვადასხვა გზას, რომელიც ხელს უწყობს პრობლემის შენარჩუნებას. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვები, როგორც წესი, უკიდურესად ცელქები, ზარმაცები, ხშირად აგრესიულები ან გარიყულები და უინიციატივონი არიან. ამ ერთმანეთისაგან განსხვავებული ქცევების უკან ხშირად უარყოფითი შეფასების, დაცინვისა და წარუმატებლობის შიში იმალება, რომელიც არა მხოლოდ სასკოლო



გარემოში განსაზღვრავს ბავშვის ქცევას. ბავშვები პრობლემის შენიღბვის სხვადასხვა გზას მიმართავენ. მაგ: ბავშვმა, რომელსაც უჭირს აკადემიური ჩვევების ათვისება, შესაძლოა გამოაცხადოს, რომ ძალიან უყვარს ფეხბურთი, უკეთესად გამოსდის და უარი თქვას სკოლაში სიარულზე ან სწავლაზე. ასეთი ქცევის რეალური მიზეზი და მოტივი ხშირად გაუგებარია. მასწავლებლები და მშობლები ასეთ ბავშვს აფასებენ როგორც ჯიუტს, უზრდელს ან დაუმორჩილებელს. ასეთი შეფასება კიდევ უფრო ართულებს ვითარებას: დროთა განმავლობაში ბავშვი ნელ-ნელა ირგებს უარყოფით იარლიყებს და შესაბამის ქცევას ახორციელებს. ასეთი ბავშვი იშვიათად უბრუნდება საკლასო ოთახს ან სწავლას საკუთარი ინიციატივით, სხვისი დახმარების გარეშე. *მრავალჯერადი ნარუმატებელი გამოცდილების მქონე ბავშვები უარს ამბობენ და გაურბიან ახალი გამოცდილების მიღებას, რაიმე მცდელობას, ნებისმიერ ახალ აქტივობას.* პრობლემების დაძლევის არაადეკვატური მექანიზმების შემუშავების საფუძველზე შიში სკოლის დამთავრების შემდეგაც რჩება და ზრდასრული ადამიანის გარემოსთან ურთიერთობის ყველა ასპექტზე ახდენს გავლენას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრობლემის არათვალსაჩინო ხასიათიდან გამომდინარე, აკადემიური ჩვევების ათვისების პრობლემის მქონე ბავშვებისადმი მოლოდინი გაცილებით მაღალია, ვიდრე მათი შესაძლებლობები. სიტუაციას განსაკუთრებით ართულებს პრობლემის სპეციფიკური ხასიათი და უნარების არათანაბარი განვითარება, რის გამოც ბავშვის ნარუმატებლობა გაუგებარია, როგორც გარშემომყოფებისათვის, ისე თავად ბავშვისათვის. აქედან გამომდინარე, ბავშვი თითქმის უკრიტიკოდ იღებს მშობლებისა და მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ „ახსნას“, ანუ კრიტიკასა და უარყოფით შეფასებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ბავშვის მიერ საკუთარი თავის შეფასებაში. *ერთი მხრივ - მუდმივი ნარუმატებლობა და მეორე მხრივ - უარყოფითი შეფასება განაპირობებს ბავშვის დაბალ თვითშეფასებას.*

პრობლემის დროული იდენტიფიკაცია, პრობლემის დაძლევის, ადეკვატური გამკლავების სტრატეგიების შემუშავების

აუცილებელი პირობაა. მხოლოდ მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან შესატყვისი მიდგომისა და მხარდაჭერის შემთხვევაშია შესაძლებელი აკადემიური ჩვევების ათვისებისა და მასთან დაკავშირებული ემოციური პრობლემების დაძლევა.

## **შემთხვევის გარჩევა**

7 წლის ელენე მეორე კლასელია. კლასში პირველმა ათვისა კითხვა. კითხულობს უშეცდომოდ და ძალიან სწრაფად; ადვილად ითვისებს და იმახსოვრებს ახალ მასალას. აქვს სიტყვათა ძალიან დიდი მარაგი, ადვილად ერთვება დისკუსიაში მასწავლებელთან. ყველა გაკვეთილზე აქტიურია, ძალიან მოტივირებულია და მიღწევაზე ორიენტირებული. ერთადერთი, რაც შედარებით უჭირს, არის წერა, თუმცა პირველკლასელი ბავშვისათვის უჩვეულო არაფერია.

მეორე კლასში მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ელენე ყველა საგანს ისე არ სწავლობს, როგორც ქართულს, უცხო ენას, ბუნებას. მათემატიკის გაკვეთილზე იგი ნაკლებად აქტიურია, ვიდრე ქართულზე, მის მიერ ამოხსნილი მაგალითი სწორი არ არის, მისი ნაწერი მოუწესრიგებელია, ასოები სხვადასხვა ზომისაა, ურევს ერთმანეთის მსგავს ასოებს (d-ხ, შ-წ).

მოგვიანებით მასწავლებელმა შრომის გაკვეთილზე ყურადღება მიაქცია, რომ ელენეს მიერ გამოჭრილი აპლიკაციები ბევრად უარესი იყო, ვიდრე თანაკლასელების. მისი კლასელი გოგონებისგან განსხვავებით, მას ჯერ კიდევ დახმარება სჭირდება ფეხსაცმელზე თასმის შესაკრავად.

გარდა ამისა, თვალში საცემი გახდა კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც მას თანაკლასელებისაგან გამოარჩევდა: ელენეს არ უყვარდა ეზოში თამაში, დასვენებაზე ერჩივნა, კლასში მჯდარიყო და რამე წაეკითხა; მოგვიანებით მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ელენეს მეგობრები თითქმის არ ჰყავდა და დასვენებაზე მარტო რჩებოდა საკლასო ოთახში.

**განხილვა:** ელენეს აკადემიური მიღწევები პირველ კლასში სხვა ბავშვების მიღწევებს ბევრად აღემატება, მიუხედავად პრო-

ბლემებისა წერაში, რომლებიც პირველ კლასშივე გამოჩნდა, მან თავი გაართვა თავისი ასაკისთვის შესაბამის მოთხოვნებს.

მეორე კლასში პრობლემათა რაოდენობა მატულობს და განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება, რომ ელენე ყველა საგანს ერთნაირად არ სწავლობს. მას პრობლემები აქვს ბავშვებთან ურთიერთობაში, თვითმომსახურების ჩვევების ათვისებაში: უჭირს ზონრის შეკვრა.

ელენეს წარმატება პირველ კლასში გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ მოლოდინი მის მიმართ იზრდება. ელენე, რომელიც მიღწევაზეა ორიენტირებული, ცდილობს აკადემიურ მოთხოვნებთან გამკლავებას. მოთხოვნები სულ უფრო და უფრო მატულობს. შესაბამისად, ელენეს მეტი ძალისხმევა და დრო სჭირდება დავალების შესასრულებლად. მიუხედავად იმისა, რომ მას კარგი მეხსიერება და ასაკთან შედარებით უკეთესად განვითარებული ვერბალური უნარები აქვს, უჭირს წერა და არითმეტიკა. მაკრატელის ხმარებისა და ზონრის შეკვრის სირთულე მოტორული უნარების პრობლემებითაა განპირობებული. აღწერილი სუსტი და ძლიერი მხარეების საფუძველზე რთულია არითმეტიკის პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე საუბარი, თუმცა შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იგი ვიზუალურ-სივრცითი პრობლემებითაა გამოწვეული, რადგან თვალშისაცემია განსხვავება ვერბალურ და არავერბალურ უნარებს შორის. ვიზუალურ-სივრცითი უნარების მოუმწიფებლობაზე მეტყველებს წერაში დაშვებული შეცდომებიც: ვიზუალურად მსგავსი ასოების (d-b; შ-წ) გარჩევის პრობლემა.

გარდა აკადემიური პრობლემებისა, ელენეს პრობლემები აქვს ბავშვებთან ურთიერთობაშიც. ტოლებთან ურთიერთობის სირთულეები სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს ახსნილი, მაგრამ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე რთულია რაიმე ვარაუდის გამოთქმა, თუმცა თავისთავად მათი არსებობა გვაძლევს პროგნოზის გაკეთების საშუალებას: ერთი მხრივ – აკადემიური და მეორე მხრივ – ბავშვებთან ურთიერთობის დამყარების დეფიციტი საკმარისი პირობაა მნიშვნელოვანი ემოციური პრობლემების წარმოსაშობად. სავარაუდოა, რომ ადეკვატური დახმარების გარეშე ელენე ვერ შეძლებს აღწერილი პრობლემების დაძლევას.

# არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობის ნიშნები

(განაპირობებენ ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფასების აუცილებლობას)

## ყურადღების დეფიციტი

- უჭირს ყურადღების ერთ რამეზე კონცენტრირება, დავალების ბოლომდე შესრულება;
- ვერ ამჩნევს დეტალებს;
- ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ ისმენს;
- ხტება ერთი აქტივობიდან მეორეზე;
- რეაგირებს უმნიშვნელო სტიმულებზე (მაგ: ქუჩაში სიგნალზე);
- უჭირს ყურადღების მიზანმიმართული გადანაცვლება ერთი აქტივობიდან მეორეზე;
- უჭირს ინსტრუქციის შესრულება;
- უჭირს სამუშაოს ორგანიზება.

## ჰიპერაქტივობა

- ბევრს მოძრაობს;
- შფოთავს, წუხს;
- უმიზეზოდ ამოძრავებს ხელებსა და ფეხებს;
- დაუკითხავად ტოვებს მერხს.

## იმპულსურობა

- მოქმედებს დაუფიქრებლად;
- არ შეუძლია მოცდა, ჯერის დალოდება;
- ეჩრება სხვის საუბარში;
- პასუხს იძლევა კითხვის დამთავრებამდე.

## მოტორული პრობლემები

- არ უყვარს სპორტული თამაშები;
- მოუხერხებელია;
- ხშირად ეჯახება ბავშვებსა და საგნებს;
- იშვიათად დგას გამართული: ეყუდება კედელს ან რაიმე საყრდენს;
- არ ზის მერხთან გამართული, ხშირად წვება მერხზე ან ცურდება სკამიდან;

- არ უყვარს ხატვა;
- მოუხერხებლად უჭირავს ფანქარი;
- ხშირად ჩივის, რომ პასტა არ წერს;
- უჭირს ღილების, თასმის შეკვრა.

### **ემოციური პრობლემები**

- ადვილად ბრაზდება, ხშირად გაღიზიანებულია;
- აგრესიული და უხეშია თანატოლების მიმართ;
- ხშირად ეცვლება გუნება-განწყობა;
- ძირითადად მონყენილია;
- ხშირად იბუტება.

### **სწავლის პრობლემები**

- ამორჩევით სწავლობს საგნებს;
- ამჟღავნებს არათანაბრად განვითარებულ უნარებს;

### **კომუნიკაცია**

- თავს არიდებს ბავშვებთან ურთიერთობას;
- გარიყულია;
- უპირატესობას ანიჭებს მასზე პატარა ან უფროსი ასაკის ბავშვებთან თამაშს;
- კონფლიქტურია;
- მისი რეპლიკები ხშირად არაადეკვატურია, არ შეესაბამება სიტუაციას.

### **მეტყველება**

- თავს არიდებს საუბარს;
- კითხვებზე იძლევა მოკლე პასუხებს;
- მისი მეტყველება ძირითადად გაუგებარია;
- უშვებს გრამატიკულ შეცდომებს;
- ლაპარაკობს სტერეოტიპული ფრაზებით;
- აღენიშნება ექოლალიები: იმეორებს სხვის ნათქვამს;
- უჭირს ორაზროვანი ფრაზების, ხუმრობის, გადატანითი მნიშვნელობის სიტყვების გაგება;
- უჭირს მოყოლა, ამბის თანმიმდევრული გადმოცემა;
- ლაპარაკობს ძალიან სწრაფად ან ძალიან ნელა;
- ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ გისმენთ;
- უჭირს ინსტრუქციის, განსაკუთრებით მრავალსაფეხურიანი მითითებების შესრულება.

### **ქცევის პრობლემები**

- უჭირს წესებს დაცვა, ინსტრუქციის შესრულება;
- აგრესიულია, ჩხუბობს ბავშვებთან;
- იწვევს ბავშვებს საჩხუბრად;
- ხშირად ჩივის, რომ ჩაგრავენ;
- იტყუება;
- მიზანმიმართულად აფუჭებს რაღაცეებს (ხევეს წიგნს);
- უხეშობს უფროსებთან.

### **ფიზიკური პრობლემები**

- ხშირად იტკივებს მუცელს, თავს;
- მალე იღლებს;
- ხშირად ავადმყოფობს.

## კლასის მართვა

ინკლუზიური კლასის ფორმირებისას, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნაში დიდ როლს ასრულებს მასწავლებელი სკოლის პერსონალის დახმარებით. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი აუცილებლად უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის ქცევასა და სწავლაზე. ეფექტური ინკლუზიური სწავლება გულისხმობს გაკვეთილზე ყველა ბავშვის ჩართულობას. მასწავლებლის ამოცანაა, არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ყურადღების ცენტრში მოქცევა, არამედ გაკვეთილის ისე დაგეგმვა და კლასის ისე ორგანიზება, რომ ყველა ბავშვს შეეძლოს მიიღოს მისთვის საჭირო ცოდნა.

სკოლასა და საკლასო ოთახთან დაკავშირებული ფაქტორების განსაზღვრა და მათ შესაბამისი მოდიფიცირება მასწავლებელს მისცემს საშუალებას, ეფექტურად მართოს ინკლუზიური კლასი და ყოველი ბავშვი ადეკვატური სასწავლო გარემოთი უზრუნველყოს.

ინკლუზიური კლასის ორგანიზებისას პირობითად შეიძლება გამოიყოს 3 ძირითადი სფერო, რომელსაც მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება:

1. ინკლუზიური კლასის ორგანიზაცია:
  - ა. ფიზიკური გარემო;
  - ბ. კლასის რუტინა და პროცედურები.
2. ქცევის მართვის სტრატეგიები;
3. სწავლების სტრატეგიები დამხმარე საშუალებების გამოყენება და მოდიფიკაცია.

დანვრილებით განვიხილოთ თითოეული ეს სფერო, რომლის სწორი ორგანიზება და განხორციელება უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ინკლუზიური კლასის ეფექტიანი მუშაობისთვის.

## **ინკლუზიური კლასის ორგანიზაცია**

### **ა) ფიზიკური გარემო**

კლასის ფიზიკური გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მოსწავლის სწავლასა და სასკოლო აქტივობებში თანამონაწილეობაზე.

კლასის ფიზიკურმა გარემომ შესაძლებელია ხელი შეუწყოს ან პირიქით, შეაფერხოს მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობა და სხვა ნაკლებად ფორმალური აქტივობების განხორციელება კლასსა და საკლასო ოთახის გარეთ.

**ინკლუზიურ კლასში ადეკვატური ფიზიკური გარემოს შექმნისას უნდა გვახსოვდეს:**

➤ **საკლასო გარემოს ადაპტირება სასარგებლოა ყველა მოსწავლისთვის, მათი უნარებისა და შესაძლებლობების მიუხედავად.**

განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთა მოთხოვნების გათვალისწინებით მორგებული გარემო (აკუსტიკური ცვლილებები, დამატებითი ვიზუალური მაჩვენებლები/ნიშნულები, მერხების განლაგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ა.შ.) მოსწავლეთა უმრავლესობაზე დადებითად მოქმედებს.

➤ **სტანდარტული ინკლუზიური გარემო კერძო შემთხვევაში დამატებით ცვლილებებს საჭიროებს.**

ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისას თავდაპირველად ფიზიკური გარემოს გარკვეული სტანდარტული ფაქტორების გათვალისწინებაა აუცილებელი. დამატებითი ცვლილებები კი, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებითაა რეკომენდებული.

➤ **აუცილებელია ყველა იმ პირთან თანამშრომლობა, რომელსაც სასწავლო სივრცის გაზიარება უნევს.**

ინკლუზიური გარემოს შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია თანამშრომლობა მასწავლებლებს, სკოლის სხვა პერსონალს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის. სასურველია, ამ პროცესში თვითონ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეე-



ბი იყვნენ ჩართული. მათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ მშობლებთან ერთად საჭირო ცვლილებების განსაზღვრასა და წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში.

**ინკლუზიური კლასის ფორმირებისას**, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საკლასო ოთახის ადაპტირება – მოდიფიკაცია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მოთხოვნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო ადვილად უნდა იცვლებოდეს. მოქნილი სივრცე იოლად ერგება ცალკეული აქტივობების სპეციფიკას; ამავე დროს, გასათვალისწინებელია იმ მოსწავლეთა თავისებურებებიც, რომლებიც მგრძობიარენი არიან ყოველგვარი მოულოდნელი და დაუგეგმავი ცვლილების მიმართ. საკლასო ოთახში ქაოტური ცვლილებები მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ.

#### **\* სივრცე**

საკლასო სივრცეში გამოყოფილი უნდა იყოს არე პრაქტიკული ან ჯგუფური აქტივობისთვის და მშვიდი კუთხე, სადაც მოსწავლეს შეეძლება განმარტოება დასასვენებლად ან დამოუკიდებელი სამუშაოსთვის, თუ საერთო საკლასო სივრცეში თავს არაკომფორტულად იგრძნობს.

მნიშვნელოვანია, საკლასო ოთახის სივრცის ორგანიზებისას გათვალისწინებული იყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეების მოთხოვნები. მაგალითად, მერხებს შორის უნდა იყოს საკმარისი მანძილი, რათა მოსწავლემ შეძლოს ეტლით გადაადგილება.

#### **\* დაბრკოლებები ფიზიკური შეზღუდვების მქონე მოსწავლეებისთვის**

უნდა გავითვალისწინოთ, რომ გადაადგილების სირთულის მქონე მოსწავლე ხშირად აწყდება ფიზიკურ ბარიერებს კიბეებზე, ვინრო და გრძელ დერეფნებში, საკლასო ოთახში. მათთვის, ერთი შეხედვით, დაბალი ზღურბლიც კი, შეიძლება გადაუღალახავი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ იატაკის ზედაპირის შესაბამისობა, კარების სიმაღლე და საკეტების განლაგების სიმაღლე.

#### **\* დამატებითი საინფორმაციო ნიშნები**

სასწავლო გარემოში დამატებითი ნიშნულები მნიშვნელო-

ვან დახმარებას გაგვიწევს გზის გაკვლევისას. მაგალითად, ვიზუალური ნიშნების – სურათების საშუალებით სკოლაში გადაადგილება გაუადვილებოდა როგორც უმცროსი კლასების მოსწავლეს, რომელმაც ჯერ სათანადო დონეზე არ იცის კითხვა, ასევე დისლექსიის მქონე ბავშვსაც.

ნიშნულები შეიძლება იყოს ვიზუალური (ფოტოები შესაბამისი აქტივობების გამოსახულებით, წარწერებით, ისრებით), ტაქტილური (იატაკზე და/ან კედელზე სხვა ფაქტურით გაფლებული ზოლი, რომლითაც ხელმძღვანელობს ბავშვი დერეფანში გადაადგილებისას) და აკუსტიკური (ხმოვანი ნიშნებით აღჭურვილი კედლები და იატაკი).

სხვადასხვა სივრცისთვის დამახასიათებელი ხმაურის დონე, სუნი და სხვა არავერბალური ნიშნები დაეხმარება განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეს გზის გაკვლევაში (მაგალითად, საჭმლის სუნი კარგი ორიენტირია ბუფეტის მოსაძებნად).

*სასკოლო სივრცის ნიშნულებით აღჭურვისას გასათვალისწინებელია ცარიელი სივრცის ეფექტი, ნიშნულების დიზაინი და ნიშნულების განლაგება.*

➤ **ცარიელ სივრცეში** ორიენტაცია უფრო რთულია, ამიტომ გზის გაკვლევისას და მის დასწავლაში მოსწავლეებს ეხმარებათ გზაზე განლაგებული დამატებითი საგნები ან აქსესუარები.

➤ **ნიშნულების დიზაინი:** ნიშნები კარგად უნდა ასახავდეს ურთიერთსაპირისპირო შინაარსს. მაგალითად, გზის დასაწყისი – დასასრული, შესასვლელი – გამოსასვლელი; გასათვალისწინებელია ნაწერის შრიფტის ან ნახატის სიმარტივე და უცვლელობა. ზედმეტად მკვეთრმა გამოსახულებებმა კედელსა და იატაკზე შესაძლებელია დააფრთხოს და დააბნიოს ბავშვი.

➤ **ნიშნულების განლაგება:** ნიშნები ოპტიმალურად უნდა იყოს განათებული და მოთავსებული გზაჯვარედინებსა და გრძელ მანძილებზე; გასათვალისწინებელია ნიშნების განთავსების სიმაღლე, რომ ყველას შეეძლოს მათი საშუალებით ორიენტირება, თუმცა ნიშნულების განთავსებისთვის იდეალური სიმაღლე არ არსებობს, რამდენადაც ბავშვები მნიშვნელოვნად

განსხვავდებიან ამ მახასიათებლის მიხედვით. უკეთესია ნიშნის მაღლა დაკიდება, ვიდრე დაბლა.

### **\* განათება და ფერები**

კარგი განათება და ფერთა შეთანხმება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასკოლო აქტივობების განხორციელებისას.

მიზანშეწონილია, კლასში გარკვეული ადგილები სხვადასხვა ელფერით იყოს გამოყოფილი და გადაჭარბებული გარემო გამლიზიანებლები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. მაგალითად, უნდა მოიხსნას კედლებზე ზედმეტი პლაკატები, სურათები და ა.შ.

ფერები და ფერთა კონტრასტი მოსწავლეებს ეხმარება, გაარჩიონ და ყურადღება მიაქციონ გარემოს დეტალებს - კარების სახელურებს, მიმართულების ცვლილებებს, იატაკის ზედაპირს. გასათვალისწინებელია განათების ფერიც. მაგალითად, მწვანე განათება სხვა ატმოსფეროს ქმნის, ვიდრე წითელი. ზოგიერთი ფერი ამშვიდებს, ზოგი კი ალაგზნებს ბავშვებს.

განათება მნიშვნელოვანია სმენადაქვეითებული ბავშვებისთვისაც. მაგ., მასწავლებლის სახე კარგად უნდა ჩანდეს იმისათვის, რომ მოსწავლემ ტუჩების მოძრაობით შეძლოს ინფორმაციის აღქმა.

### **სასურველია:**

- ოპტიმალური ბუნებრივი განათების უზრუნველყოფა;
- განათება არ ინვევდეს ანარეკლს, თვალისმომჭრელ შუქს, ჩრდილებს (რამაც შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს მოსწავლეები);
- განათება (ბუნებრივი თუ ხელოვნური) კონტროლდებოდეს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით (სინათლის ხარისხის მარეგულირებელი ჩამრთველები);
- ოპტიმალური განათების უზრუნველყოფა საფრთხის შემცველ ადგილებში, მაგალითად - კიბეზე;
- სკოლის გარემოში სხვადასხვა ფერის გამოყენება განსხვავებული ადგილების მისანიშნებლად;
- თავიდან იქნეს აცილებული ძლიერი სიჭრელე. რეკომენდებულია შედარებით მცირე სივრცის მკვეთრად შეფერვა,

დიდი სივრცისა - ღია ტონალობაში. იატაკის ორნამენტები არ უნდა ქმნიდეს არათანაბარი სიმაღლის ილუზიას, მაგალითად, არარსებული საფეხურების.

➔ კონტრასტული ფერების გამოყენება დეტალებზე ყურადღების გასამახვილებლად, რაც აიოლებს კარების, ჩამრთველების იდენტიფიცირებას.

### **\* ფიზიკური გარემოს აკუსტიკური მახასიათებლები**

ხმაურის ფაქტორის გათვალისწინება მნიშვნელოვანია არა მარტო სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის, არამედ მხედველობის პრობლემების, ყურადღების დეფიციტისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისთვისაც. მათთვის ხმაური, ერთი მხრივ, შეიძლება დამხმარე საშუალება იყოს გარემოში ორიენტაციისათვის, მეორე მხრივ კი - სწავლის პროცესის ძლიერი შემაფერხებელი.

რასაკვირველია, საზოგადოდ, მოსწავლეებს სჭირდებათ კარგი აკუსტიკური გარემო. ბავშვებისთვის ხშირად აუცილებელია სიჩუმე დასამშვიდებლად, კონცენტრაციისა და უსაფრთხოების განცდისთვის. ამავე დროს, ხმაური კი არ უნდა აღიკვეთოს, საჭიროა მისი კონტროლი.

იმას, თუ როგორ აღვიქვამთ ხმასა და ხმაურს, დამოკიდებულია ჩვენს სმენაზე და სივრცეში ბგერის გავრცელების თავისებურებებზე.

სმენის პრობლემები მრავალფეროვანია. იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად შეძლონ ინფორმაციის მიღება სმენის პრობლემების მიუხედავად, გასათვალისწინებელია:

➔ სივრცის ფიზიკური დიზაინის ასპექტები, როგორცაა სივრცის ზომები და ფორმა, ასევე მასში არსებული საგნების ზომა და რაოდენობა. მაგალითად, გაშლილ სივრცეში, ვრცელ დერეფნებში, მაღალჭერიან ოთახებში ხმა და ხმაური მკვეთრად აღიქმება, L -ის ფორმის ოთახში კი, ხმის გავრცელება შეფერხებით ხდება.

➔ სივრცეში აკუსტიკური შთანთქვა ანუ ხმის ასახვის ხანგრძლიობა, „ექოს“ ფენომენი, რომლის კონტროლიც შესაძლებელია „შთანთქმელი“ ზედაპირების გამოყენებით. ცნობილია, რომ „ექოს“ ფენომენი ცარიელ სივრცეში ვლინდება,

შესაბამისად, სივრცის საგნებით აღჭურვა - ავეჯი, ნახატები, ფარდები და სხვა დეტალები ამცირებს არეკლილ ხმას და მის ხანგრძლივობას.

### **სასურველია:**

- ხმაურის წყაროების მინიმუმამდე დაყვანა;
- ფონური ხმაურის დონის შემცირება ან მასკირება დამამშვიდებელი საშუალებებით, მაგალითად, მუსიკა, ან წყლის ხმა;
- წინასწარ იმის გათვალისწინება, თუ სად და როდის იქნება ხმაური;
- „ექოს“ ფენომენის შემცირება აკუსტიკური „მშთანთქმელის“ გამოყენებით – ქსოვილები, ფარდები, ხალიჩები, ნახატები შთანთქავს ხმაურს და ამცირებს ექოს;
- ხმის იზოლაციის უზრუნველყოფა სივრცეებს შორის გამყოფებითა და ფიზიკური ბარიერებით – კედლები და ფანჯრები.

### **\* ავეჯი და დამხმარე საშუალებები**

კომფორტული და ფუნქციური ავეჯი მოსწავლეების საგანმანათლებლო და სოციალურ აქტივობებში ჩართულობას შეუწყობს ხელს. ამდენად, აუცილებელია მათი ინდივიდუალური შერჩევა და მორგება მოსწავლის საჭიროებებისა და აქტივობების გათვალისწინებით. მეტად მნიშვნელოვანია, სასკოლო მაგიდა და სკამი სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა ზომებს ისე შეესაბამებოდეს, რომ მოსწავლისათვის კომფორტული იყოს და შეამციროს ხერხემლის გამრუდების ალბათობა.

*ავეჯის შერჩევისას გასათვალისწინებელია:*

- დიზაინის დეტალები ინდივიდუალური საჭიროებებისთვის;
- ავეჯის ვიზუალური მხარე;
- ხარისხი და გამძლეობა;
- განლაგება;
- ავეჯის კიდეების მაქსიმალური უსაფრთხოება.

როგორც ვხედავთ, ინკლუზიური კლასის ფორმირებისას

საჭიროა ფიზიკური გარემოს სხვადასხვა მახასიათებლების გათვალისწინება. იმ შემთხვევაში შეძლებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის სწავლისა და სოციალური განვითარებისათვის ადეკვატური, მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნას, როცა მინიმუმამდე დაიყვანს ფიზიკური დისკომფორტით გამოწვეულ ქცევისა და სწავლის პრობლემებს.

## **ბ) საკლასო რუტინა**

სტანდარტული საკლასო რუტინა და პროცედურები საუკეთესო საშუალებებია საკლასო დისციპლინის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად. საკლასო რუტინა ის ფაქტორია, რომელიც ეფექტურად ზემოქმედებს როგორც მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, ასევე მის ქცევაზე.

რამდენადაც რუტინა და პროცედურები კარგად ორგანიზებული კლასის წინაპირობაა, გამართლებული იქნება, თუ მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისშივე გარკვეულ დროს სასკოლო და საკლასო რუტინის სწავლებას დაუთმობს.

**რუტინა ესაა პროცედურათა თანმიმდევრობა, რომელიც ასახავს დღის განმავლობაში მოსალოდნელ აქტივობებს.** საკლასო რუტინის გაცნობისა და ათვისების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი განხორციელება მასწავლებლისგან დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით.

განსაზღვრული და თანმიმდევრული რუტინის ჩამოყალიბება ემსახურება შემდეგ საკლასო ფუნქციებს:

☞ ამარტივებს რთულ გარემოს, ანუ აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას, თუ რა არის დაგეგმილი, რას მოელიან მისგან და რა არის მისაღები ქცევა;

☞ ეხმარება მოსწავლეს და მასწავლებელს, სწრაფად შესრულდეს ყოველდღიური დავალებები, მოხდეს დავალებიდან დავალებაზე მოქნილად გადასვლა და გაკვეთილზე მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი არასტრუქტურირებული დრო, რაც ხშირად პრობლემური ქცევის მიზეზი ხდება;

☞ რუტინის დამოუკიდებლად განხორციელება უვითარებს

მოსწავლეს პასუხისმგებლობისა და თვითკონტროლის უნარს და ამცირებს იმპულსური ქცევის გამოვლინების ალბათობას;

☞ კარგად განსაზღვრული რუტინა ზოგავს მასწავლებლის ენერგიას;

☞ კარგად განსაზღვრული რუტინა მეტ დროს ტოვებს დავალებებისთვის;

☞ კარგად განსაზღვრული რუტინა ამცირებს არასასურველი ქცევის ალბათობას.

საკლასო რუტინის შემუშავებამდე, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს ის აქტივობები, რაც კლასში ხშირად ხორციელდება. ეს შეიძლება იყოს: ადმინისტრაციული პროცედურები, მითითებები, ურთიერთობის განსაზღვრული ფორმა და თანმიმდევრობა და ა.შ.

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი განსაზღვრავს საკლასო გარემოში მოსალოდნელ აქტივობებს, მან უნდა შეიმუშავოს მარტივი და მოკლე პროცედურები მათი შეუფერხებელი განხორციელებისთვის. რასაკვირველია, რუტინა განსხვავებულია მასწავლებლის მიზნების, სასწავლო წლისა და მოსწავლეთა უნარების გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ საკლასო რუტინა ეფექტური იყოს, აუცილებელია:

☞ მოსწავლემ იცოდეს, რა აქტივობებია მასწავლებლის მხრიდან მოსალოდნელი;

☞ მოსწავლემ დაისწავლოს ყოველი პროცედურა და სისტემატურად მონაწილეობდეს მათ განხორციელებაში;

☞ პროცედურები სისტემატურად გადამოწმდეს და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს;

☞ მუდმივად ნახალისდეს რუტინის შესრულება;

☞ მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განსაზღვროს რუტინის დაცვისა და დარღვევის შესაბამისი შედეგები.

მოსწავლეები უკეთ იქცევიან, თუ მასწავლებლის მოლოდინი და მისი უკუკავშირი მუდმივი, ნაკლებად ცვალებადი და სისტემატურია.

ამრიგად, რუტინა გულისხმობს:

☞ საკლასო გარემოში განსაზღვრული აქტივობების განხორციელების თანმიმდევრობას;

☞ გაკვეთილზე ყოველი კონკრეტული აქტივობის შესასრულებლად გარკვეული დროის გამოყოფას.

მაგალითად, მასწავლებელი განსაზღვრავს გაკვეთილზე აქტივობების თანმიმდევრობას - მისალმება, სიის ამოკითხვა, რვეულების შეგროვება დავალების შესამოწმებლად, ზეპირი გამოკითხვა, ახალი გაკვეთილის ახსნა, კითხვებზე პასუხი, დავალების მიცემა, განცხადებების გაკეთება, დამშვიდობება.

ცხადია, საკლასო რუტინა განსხვავებული იქნება გაკვეთილისა და კლასის თავისებურებებიდან გამომდინარე.

რუტინის ფარგლებში განისაზღვრება, თუ რა სახით შესრულდება ესა თუ ის აქტივობა და რა დრო დაეთმობა მას – მაგალითად, როგორ ჩააბარებენ მოსწავლეები საშინაო დავალებას - მასწავლებელი თვითონ შეაგროვებს რვეულებს, თუ მოსწავლეები გააკეთებენ ამას? როგორ მოხდება მოსწავლეების არჩევა – სურვილის მიხედვით, რიგის დაცვით, შემთხვევით თუ რაიმე აქტივობისათვის ჯილდოს სახით?

შესაძლებელია განისაზღვროს რუტინა და პროცედურები შემდეგი აქტივობებისთვის:

- ☞ კლასში შემოსვლა,
- ☞ გაკვეთილისთვის მომზადება,
- ☞ კლასში დაგვიანება,
- ☞ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება,
- ☞ კითხვების დასმა და პასუხის გაცემა,
- ☞ დავალების მიცემა,
- ☞ სიის ამოკითხვა,
- ☞ სამუშაოს ადრე დასრულება,
- ☞ უცხო პირის კლასში შემოსვლა,
- ☞ წყლისა და ტუალეტის მოთხოვნა,
- ☞ საკლასო ოთახის დასუფთავება დღის ბოლოს,
- ☞ მასალის ორგანიზება,
- ☞ კლასის შეცვლა,
- ☞ ავად გახდომა,
- ☞ დახმარების თხოვნა,



☞ განცხადების გაკეთება.

რუტინის განსაზღვრისას დგება საკლასო წესების შემუშავების საკითხიც, რომელიც ფაქტობრივად, წარმოადგენს მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად განსაზღვრული ქცევის მისაღებ და მიუღებელ ფორმებს.

## საკლასო წესები

რუტინის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია საკლასო წესები, რომელთა შემუშავებაც *ბავშვებთან ერთად* ხდება სასწავლო წლის დასაწყისში.

**ნათლად ჩამოყალიბებული წესები ხელს უწყობს მოსწავლეთა დისციპლინას.** საკლასო წესები და დადგენილი პროცედურები კლასის დღიური აქტივობების თანმიმდევრობასა და სტრუქტურას უზრუნველყოფს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასწავლებლის ქცევის წინასწარ განჭვრეტასა და შესაბამისად, საკუთარი ქცევის მართვაში.

*მცდარია თვალსაზრისი, რომ კლასისა და სკოლის დისციპლინის სტანდარტები მოსწავლეებისთვის სკოლაში შესვლისას უკვე ცნობილია და მათ იციან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში.* სტანდარტების „გახმოვანება“ ხშირად ირიბად და არაპირდაპირი გზით ხდება, რის გამოც მოსწავლე მისაღები ქცევის ფორმას „ცდისა და შეცდომის“ მეთოდით სწავლობს. არცოდნა ან ბუნდოვანი წარმოდგენა მისაღები და მიუღებელი ქცევების შესახებ ბავშვში შეუსაბამობასა და პრობლემურ ქცევას იწვევს, მასწავლებლის მხრიდან კი – დამსჯელი სანქციებისა და აკრძალვების ხშირ გამოყენებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, *შეთანხმების საფუძველზე* კლასში ქცევის წესების **ნათლად ჩამოყალიბება.**

*ქცევის წესების ჩამოყალიბება და მათი სწავლება სასწავლო წლის დასაწყისშივეა რეკომენდებული კლასში წესრიგის მისაღწევად და შესანარჩუნებლად.*

აუცილებელია მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი ქმედება წესებთან დაკავშირებით და არა მათი მზა ვარიან-

ტის უბრალო გაცნობა. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებაც. პირველ კლასში, ბუნებრივია, მასწავლებელი ბავშვებს აცნობს რამდენიმე ძირითად წესს. ის ბავშვებთან ერთად ახორციელებს წესის შესრულების მოდელირებას, თვალსაჩინო ჩვენებასა და სწავლებას სასურველი ქცევის დემონსტრირების გზით. მაგალითად, თუ მასწავლებელს უნდა, რომ მოსწავლეები პასუხის გასაცემად ჯერ ხელს იწვედნენ, ის ამბობს: „მასწავლებლის კითხვაზე პასუხის გასაცემად ვინეგ ხელს“ და შემდეგ სვამს კითხვას: „რა უნდა გავაკეთოთ, თუ გვინდა პასუხი გავცეთ მასწავლებელს?“ მასწავლებელი პასუხს იღებს მხოლოდ იმ ბავშვებისგან, ვინც წესი გაითვალისწინა და ხელი ასწია.

*კლასის წესების შემუშავებისას:*

➤ გააცანით მოსწავლეებს სასკოლო წესები და დისციპლინის პროცედურები – ზოგადად, რა ქცევებია მისაღები სკოლაში;

➤ ჩართეთ მოსწავლეები კლასის წესების შემუშავების პროცესში;

➤ შეარჩიეთ წესების ჩამონათვალი და განსაზღვრეთ რაოდენობა (კვლევის შედეგად დადგენილია, რომ შესრულებადი წესების მაქსიმალურ რაოდენობას წარმოადგეს 6 ძირითადი წესი);

➤ მაქსიმალურად გაამარტივეთ წესები;

➤ წესები უნდა იყოს კონკრეტული და სპეციფიკური;

➤ ყოველი წესი პოზიტიურად უნდა იყოს ფორმულირებული. წესში მოცემული უნდა იყოს ბავშვისგან მისაღები ქცევა და არა პრობლემური ქცევის აკრძალვა;

➤ თავი აარიდეთ წესების დუბლირებას;

➤ გააცანით კლასის წესები მშობლებს.

წესების ფორმულირებისას აუცილებელია ხანგრძლივი დისკუსია, რომ განისაზღვროს, რა პრობლემური ქცევის აღსაკვეთად ჩამოყალიბდა ის.

ზოგადად, სკოლაში მიღებული ქცევის ნორმების გაცნობით თავიდან აიცილებთ იმ წესების დუბლირებას, რომლე-

ბიც სკოლის მიერ ისედაც გათვალისწინებულია. დარწმუნდით, რომ მოსწავლეებმა იციან მათ შესახებ და გამოიყენებენ სხვა წესებთან ერთად.

თუ მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ კლასის წესების შემუშავების პროცესში, მათ მეტად ესმით წესების მნიშვნელობა, უკეთ იცავენ მათ და აფიქსირებენ დარღვევებს. წესების რაოდენობა სასურველია, არ აღემატებოდეს 5- 6-ს, რაც აადვილებს მათ გახსენებასა და დაცვას.

*მაქსიმალურად გამარტივებული, კონკრეტული და სპეციფიკური წესი გამორიცხავს სუბიექტურ ინტერპრეტაციასა და უზრუნველყოფს სამართლიანობას.*

წესების **პოზიტიურად ფორმულირება** მოსწავლეებისთვის პირდაპირი მინიშნებაა, **როგორ უნდა მოიქცნენ**, ნაცვლად იმისა, **როგორ არ უნდა მოიქცნენ**. **ნეგატიურად ფორმულირებული წესი** ან თუნდაც ნეგატიური თვალსაჩინოება (ნახატი გადახაზული წითელი ხაზით), ხშირად არაცნობიერად უბიძგებს მოსწავლეს, განახორციელოს ის ქცევა, რაც ამოიკითხა, ან დაინახა. მაგალითად, ნაცვლად დებულებისა – „არ დაგიგვიანოთ კლასში“, ან „არ დაგინყოთ ლაპარაკი ხელის აწევის გარეშე“, განსაზღვრეთ - „ვისხდეთ ადგილებზე ზარის დარეკვისას“, ან – „ავწიოთ ხელი კითხვის დასმის წინ“. დებულება – „არ დაგიგვიანოთ კლასში“ - მიუთითებს მოსწავლეებს, რა არ უნდა გააკეთონ, მაგრამ არ განსაზღვრავს, თუ რა არის მათგან მოსალოდნელი.

თუ კლასს, როგორც ვიზუალურად, ისე ვერბალურად მიეწოდება წესების ჩამონათვალი, შემცირდება ორაზროვნება და განმტკიცდება მათი გამოყენება. წესები უნდა განთავსდეს თვალსაჩინოდ, პლაკატზე და ჩაიკრას მოსწავლეთა დღიურებში. გაამახვილეთ მოსწავლეების ყურადღება წესზე, მაგალითად – „რას უნდა აკეთებდეთ ახლა?“ და კითხვის დასმისას მიუთითეთ პლაკატზე. გარდა იმისა, რომ შემცირდება მასწავლებლის მიერ წესების გახმოვანებაზე დახარჯული დრო, საკმარისი იქნება შესაბამის წესზე მითითება.

## წესების დაცვის უზრუნველყოფა

მოსწავლეები წესებს დაიცავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შესრულებასა და დარღვევას მასწავლებლის მხრიდან განსხვავებული შედეგები და რეაგირება მოჰყვება.

წესების არსებობა და მათი თვალსაჩინო ადგილას გამოფენა თავისთავად არ უზრუნველყოფს შესაბამის ქცევას. კლასის წესები გულისხმობს მათი დაცვა/დარღვევის მონიტორინგს მასწავლებლის მხრიდან და განსაზღვრული რეაგირების მოდელს დაცვისა და დარღვევის შემთხვევაში.

### **მნიშვნელოვანია, განისაზღვროს:**

1. რომელი ქცევა ჩაითვლება წესების შესაბამისად და რომელი - შეუსაბამოდ;

2. რა შედეგები მოჰყვება წესების შესრულებას და რა - დარღვევას.

## რჩევები წესების დაცვის უზრუნველსაყოფად

**\* გამოიყენეთ წახალისების სტრატეგიები დადებითი ქცევის გასამყარებლად!**

წესების დაცვა მოხდება, თუ დადებით ქცევას მოჰყვება პოზიტიური აღიარება, წახალისება. თუ წესების დაცვა კლასში წახალისდება, მაშინ გარემო ყველა მოსწავლეს უბიძგებს, მოიქცეს წესების შესაბამისად. თუ წესების დაცვა არ წახალისდება ბავშვისათვის სასურველი რაიმე ქმედებით (ჯილდო), მაშინ მათი დაცვის ალბათობა შემცირდება.

უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა ასაკში ბავშვებისთვის ჯილდოს სხვადასხვა ტიპის ქმედება წარმოადგენს. უმცროს კლასებში ჯილდო უფრო მატერიალური ხასიათისაა (მაგალითად, ჯილდოს სახით ბავშვისთვის ბუფეტში წასვლის ნებართვის მიცემა, ეზოში რაიმე სასურველი თამაშის შესაძლებლობა, ფერადი „ნაკლეიკა“), ხოლო ასაკთან ერთად ის უფრო სოციალური ხდება – კლასის წინაშე ბავშვის მიღწევის აღიარება ტაშის დაკვრით, შექება, მასწავლებლის როლის შესრულება გარკვეული დროის მანძილზე და ა.შ.

**\* გამოიყენეთ ნახალისების სტრატეგიები მსუბუქი დარღვევის შესამცირებლად!**

ნახალისების სტრატეგიები ანუ დასჯის კონსტრუქციული ალტერნატივა შესაძლებელია გამოვიყენოთ დარღვევის მსუბუქი ფორმის არსებობის შესამცირებლადაც. (წინასწარ განსაზღვრეთ, რა შეიძლება ჩაითვალოს თქვენი კლასისთვის მსუბუქ დარღვევად). მსუბუქი დარღვევის მაგალითები შეიძლება იყოს: შეუსაბამო წამოძახილები, ადგილის დაგვიანებით დაკავება, უყურადღებობა და მითითებების შეუსრულებლობა.

ეს სტრატეგიები გულისხმობს:

➔ მოსწავლის ნახალისებას, თუ არასასურველ ქცევას შეწყვეტს და შეცვლის სასურველი ალტერნატივით;

➔ მოსწავლის ნახალისებას, თუ ის სასურველ ქცევას ახორციელებს შემონმების მომენტში ან დადგენილი დროის განმავლობაში.

იოლი დარღვევის შესამცირებლად ნახალისების სტრატეგიები გულისხმობს, ნაცვლად მოსწავლის დასჯისა, იმ მოსწავლეების ნახალისებას, რომელთა ქცევაც მისაბაძია. მისი მიზანია, მოსწავლემ დაინახვლოს სასურველი ქცევა სხვისი მაგალითითა და მიბაძვით.

**\* განსაზღვრეთ და გამოიყენეთ დასჯა არასასურველი ქცევის შესამცირებლად!**

აუცილებელია, განისაზღვროს წესების დარღვევაზე რეაგირების ფორმები, ანუ შედეგები, მაგალითად, სამიდან შვიდ შედეგამდე, სადაც პირველი ნაკლებად ინტენსიური იქნება სასჯელის სიმძიმის თვალსაზრისით, მეშვიდე კი ყველაზე დამსჯელობითი.

თუ განისაზღვრება რეაგირების მხოლოდ ერთი ან ორი შედეგი, მაშინ შესაძლებელია აღინიშნოს გაფრთხილებებისა და შენიშვნების დაუსრულებლად გაგრძელების ტენდენცია, რაც ნაკლებად ეფექტურია არასასურველი ქცევის შეჩერებისთვის. გარდა ამისა, ქცევა, რომელიც ხშირად მეორდება და მეტად დესტრუქციულია, განსხვავებულ ჩარევასა და რეაგირებას მოითხოვს, ვიდრე ერთჯერადად აღმოცენებული და ნაკლებად ინტენსიური არასასურველი ქცევები.

**მასწავლებლის რეაგირება წესების დარღვევაზე მოსწავლეთა უმრავლესობის მიერ აღქმული უნდა იყოს როგორც დამსჯელი მექანიზმი, მაგრამ - სამართლიანი და ადეკვატური.** ის აუცილებლად უნდა განაპირობებდეს, ერთი მხრივ, არასასურველი ქცევის შემცირებასა და დათრგუნვას, ხოლო, მეორე მხრივ, მისაღები ქცევის სტიმულირებას.

წესების დარღვევაზე რეაგირება შემდეგნაირად განისაზღვრება:

I ეტაპი: წესის შეხსენება;

II ეტაპი: მკაცრი გაფრთხილება;

III ეტაპი: კლასისგან იზოლაცია (კლასის დატოვება);

IV ეტაპი: დასვენებაზე კლასში დარჩენა;

V ეტაპი: მშობლის დაბარება.

**\* შემოინახეთ დასჯა მხოლოდ სერიოზული დარღვევებისთვის!**

დასჯის მაგალითებია: ხანმოკლე იზოლაცია – კლასის დატოვება, ჯარიმა, გაკიცხვა, დირექტორთან დაბარება, გარკვეული პერიოდის მანძილზე სკოლიდან დათხოვნა. გამოიყენეთ ისინი მხოლოდ სერიოზული დარღვევებისას – ქცევისას, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსწავლეებსა და სხვებს. აირჩიეთ ერთი ან მეტი დასჯის მეთოდი მძიმე დარღვევისას; მაგალითად, ხანმოკლე იზოლაცია, ჯარიმა, მშობლების ინფორმირება. დარღვევის შემთხვევაში აუცილებელია მოქნილობა, ქცევის კონტექსტისა და თავისებურების გაანალიზება. ყოველთვის დაუკავშირეთ სასჯელი კონსტრუქციულ ალტერნატივას, ანუ მისაღებ ქცევას, რათა მოსწავლემ დაისწავლოს ქცევის მისაღები ფორმა.

მაგალითად, თუ ბავშვი იკითხავს, თუ რატომ დატოვებთ დასვენებაზე კლასში გაკვეთილზე ბურთის სროლისთვის მაშინ, როცა სხვას მხოლოდ შენიშვნა მიეცით, იყავით გულახდილი და აუხსენით: „ჩვენ ყველამ ერთად ავარჩიეთ წესები და წინასწარ შევთანხმდით, რომ მე ერთი და იმავე სასჯელს ყველა მოსწავლესთან არ გამოვიყენებდი, ვინაიდან მას ერთი შედეგი არ ექნება. მე შენ შენიშვნა არ მოგეცი, რადგან შენ მას ყურადღებას არ აქცევ. გაიხსენე, კარგი ქცევისათვის დაგაჯილ-

დოვე და ბუფეტში წახვედი; ეს შენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეზოში ჩასვლა. თქვენ, ყველანი განსხვავებულები ხართ და შეუძლებელია ყველას ერთნაირად მოგექცეთ“.

**\* ქცევაზე რეაგირებისას იყავით თანმიმდევრულნი!**

აღამიანი ერთი და იმავე ქცევას განსხვავებულ სიტუაციებში არ მიმართავს, როცა მას განსხვავებული რეაგირება მოჰყვება. მაგალითად, მოსწავლემ ისწავლა ხელის აწევა მათემატიკის გაკვეთილზე, იმიტომ, რომ მასწავლებელი მხოლოდ ამ ქცევის შედეგად იძახებს ბავშვებს. შეიძლება იმავე მოსწავლემ წამოიძახოს ისტორიის გაკვეთილზე, რადგან ეს პედაგოგი წამოიძახილს შემთხვევაშიც იძახებს ბავშვებს, მიუხედავად იმისა, რომ კლასის წესი ამას არ ითვალსწინებს. მასწავლებლების რეაგირების განსხვავებული სტილი განაპირობებს ბავშვების განსხვავებული ქცევის სტილს.

**\* გაითვალისწინეთ მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებები!**

მოსწავლეებს ერთმანეთისგან განსხვავებული გამოცდილება აქვთ. შესაბამისად, ერთი მოსწავლისთვის გარკვეული ტიპის რეაგირება წესის დარღვევაზე შეიძლება იყოს სასჯელი, მეორესთვის კი - წამახალისებელი, რაც მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლესთან ურთიერთობაში.

**არავითარ შემთხვევაში არ ჩათვალოთ, რომ განსხვავებული მიდგომა და შესაბამისად, განსხვავებული სასჯელი ერთი და იმავე დარღვევაზე უსამართლოა!**

პირიქით, არაპროფესიული მიდგომაა მსგავსი სტრატეგიების გამოყენება სხვადასხვა მოსწავლესთან. მსგავსი მოპყრობა უარყოფს ბავშვებს შორის სხვაობას და მათ ინდივიდუალობას. ერთი და იმავე დასჯისა და წახალისების სტრატეგია მათზე განსხვავებულად მოქმედებს. თავდაპირველად აუცილებელია, იმის გარკვევა, თუ რა ტიპის რეაგირება მუშაობს ეფექტიანად თითოეულ მოსწავლეზე.

## **ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგია ინკლუზიურ კლასში**

ყოველი მასწავლებელი სხვადასხვა სახის აქტივობებს მიმართავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. „კარგი სწავლება“ აუცილებლად გულისხმობს ქცევის მართვის პოზიტიურ სტრატეგიას, რაც შეამცირებს პრობლემური ქცევის ალბათობას კლასში და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას.

კლასის პოზიტიური მართვის სტრატეგიები გამოცდილი და ეფექტურად აღიარებული მეთოდია სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებში და რაც მთავარია, მათი განხორციელება მცირე დროსა და ძალისხმევას მოითხოვს.

*პოზიტიური დისციპლინა სტრუქტურული და სისტემური მიდგომაა, რომელიც ეხმარება მასწავლებელს საკლასო აქტივობების ორგანიზებულ განხორციელებაში.*

**მიდგომის უმთავრესი სტრატეგიაა, მასწავლებელმა შეძლოს აგრესიულ და მიუღებელ ქცევაზე მშვიდი და თანმიმდევრული წინააღმდეგობის განწევა. ეს არის ასერტიული ქმედება - საკუთარი პოზიციის მშვიდი, მაგრამ თანმიმდევრული დაცვის უნარი.**

### **ასერტიული ტექნიკა ხელს უწყობს:**

- პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის;
- ეხმარება მოსწავლეს, შეცვალოს ქცევის მიუღებელი სტრატეგიები და სტილი;
- ჩართოს მოსწავლე საკუთარი ქცევის ცვლილების პროცესში.

### **\* ასერტიული მასწავლებლის მახასიათებლებია:**

- თავდაჯერებული და სწრაფი რეაგირება ქცევაზე, რომელიც საჭიროებს მართვას;
- წინასწარ შემუშავებული წესების მიხედვით მტკიცე, ნათელი მითითებების მიცემა იმ მოსწავლეების საყურადღებოდ, რომელთა ქცევაც მართვას საჭიროებს;



☞ მოსწავლე არ აღიქმება მონინალმდეგედ; ნაცვლად უხეში ქმედებისა, მასწავლებელი თანმიმდევრული, გაბედული და მიზანმიმართულია;

☞ აქვს მოსწავლეებთან დადებითი და ნდობით აღსავსე დამოკიდებულების ჩამოყალიბების უნარი;

☞ მომთხოვნია, მაგრამ, ამავე დროს, ურთიერთობაში თბილია და მხარდამჭერი;

☞ ეპყრობა ყველას სამართლიანად, მაგრამ არა ერთ-ნაირად.

**\* როგორ გახდეთ ასერტიული მასწავლებელი და როგორ გამოიყენოთ პოზიტიური დისციპლინა:**

☞ განსაზღვრეთ ის წესები, რომელთა დაცვასაც მიზანშეწონილად თვლით თქვენი კლასისთვის (წესების მიღებისა და დასწავლის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით);

☞ განსაზღვრეთ სასურველი (მისაღები) და მიუღებელი ქცევები;

☞ განსაზღვრეთ წესების დარღვევის შემთხვევაში ნეგატიური შედეგები, ანუ სასჯელი (გახსოვდეთ მათი დაცვის აუცილებლობა *ყოველ ჯერზე*); აირჩიეთ სამიდან ექვსამდე ნეგატიური შედეგი იერარქიული მახასიათებლით, როდესაც ყოველი მომდევნო უფრო მკაცრია წინასთან შედარებით და რომლებსაც თანმიმდევრულად მიმართავთ, თუ მოსწავლე გააგრძელებს პრობლემურ ქცევას. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ დასჯით ბავშვს, თუ გაფრთხილებამ გამოიწვია ქცევის ცვლილება;

☞ დახელოვნდით ასერტიული რეაგირების ტექნიკაში.

**კონკრეტული რჩევები და მაგალითები ასერტიული რეაგირების ტექნიკის გამოსაყენებლად**

ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსწავლეების ქცევაზე (იქნება ის სასურველი თუ მიუღებელი), ასერტიული რეაგირება. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ იმ კონკრეტულ წესებს, რომელთა

შესრულებაც ხელს უწყობს ინკლუზიურ და არა მხოლოდ ინკლუზიურ კლასში სწავლისთვის სასურველი, ადეკვატური და კომფორტული გარემოს ჩამოყალიბებას.

ასერტიული რეაგირება პრობლემური ქცევის გამოვლენისას გულისხმობს არა მხოლოდ ქცევის შეწყვეტის აუცილებლობაზე მითითებას, არამედ მისი ალტერნატივის შეთავაზებასაც. ამრიგად, მოსწავლეს უნდა **მიუთითოთ არა მხოლოდ ქცევის შეწყვეტის საჭიროებაზე, არამედ იმაზეც, თუ რა ქცევით შეიძლება ჩაანაცვლოს.**

მაგალითად, მასწავლებელმა მოსწავლეს უთხრა: „გიო, დაამთვარე წერა და მომეცი რვეული“; მიაქციეთ ყურადღება, მასწავლებელმა მოსწავლეს არა მხოლოდ იმაზე მიანიშნა, თუ რა არ უნდა გაეკეთებინა მას, არამედ ისიც დაუკონკრეტა, თუ რა სახის ქცევით უნდა შეეცვალა არსებული ქცევა. ბევრი მოსწავლე აგრძელებს არასასურველი ქცევის შესრულებას მას შემდეგაც, რაც მისი შეწყვეტა მოითხოვს მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ იცის, რით უნდა ჩაანაცვლოს ის.

შესაბამისად, მხოლოდ კონკრეტული შესასრულებელი ქცევის მითითების შემდეგ იქნება სამართლიანი მოსწავლის დასჯა ან ნახალისება.

*გახსოვდეთ, მითითების მიცემისას აუცილებლად შეხედეთ ბავშვს თვალებში, გამოიყენეთ შესტები და მიმართეთ ბავშვს სახელით, რათა დარწმუნებული იყოთ, რომ ბავშვმა თქვენი მითითება მოისმინა და გაიგო.*

**პრობლემური ქცევის განხორციელებისას აქცენტი უნდა გადავიტანოთ პოზიტიურ ქცევაზე ნახალისების გამოყენებით.** მაგალითად, ლევანი – 7 წლის მოსწავლე, პროტესტს გამოთქვამს ქურთუკის ჩაცმასთან და სასკოლო ღონისძიებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რასაც ჯერ მისი დარწმუნების მცდელობა მოჰყვება (თოვლია და გაცივდება), შემდეგ – მკაცრი მოთხოვნა (ჩაიცვი), ბოლოს კი მის მიმართ უხეში შენიშვნები და დაცინვა ბავშვების მხრიდან. ასერტიული რეაგირების ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელია ბავშვის ქცევის თანმიმდევრული შეცვლა:

1. ვუსმენთ ბავშვს ყურადღებით და მშვიდად, ვაფასებთ მის განცდებს და ვარქმევთ მათ სახელს;

2. ყურადღება გადაგვაქვს *ნეგატიური ქცევიდან* (პროტესტი ქურთუკის ჩაცმაზე), მის *მიერ წარმატებით შესრულებულ* სხვა *ქცევაზე* (გაკვეთილზე კარგად დაწერილი საკლასო სამუშაო) და ირიბად ვახდენთ სასურველი ქცევის ნახალისებას. შესაბამისად, შეიძლება შემდეგი რეპლიკის გამოყენება: „მე ვიცი, რომ შენ დაღლილი ხარ და სულაც არ გსიამოვნებს ქურთუკის ჩაცმის პროცესი, მაგრამ ამას შენ ხომ ძალიან სწრაფად შეასრულებ (ჩემი დახმარებით) და შემდეგ შეძლებ ბავშვებთან ერთად გარეთ სირბილს. შენ ეს დაიმსახურე, იმდენად კარგად შეასრულე საკლასო წერა. მე შენით ვამაყო.“

ნაცვლად იმისა, რომ ***მიუთითოთ ნეგატიურ ქცევაზე, უნდა ნახალისოთ მისაღები ქცევა.***

შეიძლება თქვენს მოსწავლეს მათემატიკაში ბოლო დავალება შესრულებელი არ აქვს. იმისათვის, რომ მან მომდევნოს შესრულებაზეც არ თქვას უარი, გაიხსენეთ მოსწავლის მიერ უკანასკნელ დროს წარმატებით შესრულებული აქტივობა და შეაქეთ. სცადეთ: „ლიკა, მომილოცავს, წინა დავალებაში მაგალითები უშეცდომოდ შეასრულე. ვხედავ, რომ ცდილობდი და მომწონს, რომ ყურადღებით იყავი მათემატიკის გაკვეთილზე. მოდი, ხვალაც მაჩვენე შენი რვეული და მე დღევანდელ დავალებებს შეგიმონებ.“

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე მუდმივად გრძნობდეს მასწავლებლის მხრიდან ყურადღებას. ***აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს და ნახალისდეს ბავშვის მიერ სასურველი ქცევის განხორციელების მცირე მცდელობაც კი.***

ქცევის ცვლილებაზე სწრაფი რეაგირება ნახალისებს მოსწავლეს, კიდევ უფრო მეტი სიხშირითა და მონდომებით განახორციელოს ის.

ნახალისეთ ბავშვის მიერ სასურველი და თქვენთვის მისაღები ქცევის განხორციელების ყოველი მცდელობა. მნიშვნელობა მიანიჭეთ ბავშვის ძალისხმევას და არა ქცევის სიზუსტეს, თუნდაც ქცევა ჯერ ისევ შორს იყოს სასურველი შედეგისაგან.

როდესაც სასურველი ქცევა პირველად აღმოცენდება, შეძლებისდაგვარად სწრაფად დააჯილდოვეთ ბავშვი. მას შემდეგ, რაც ბავშვს გამოუმუშავდება სასურველი ქცევის გან-

ხორციელების ჩვევა, თანდათანობით შეამცირეთ (ან შეცვა-  
ლეთ) დაჯილდოება.

ასერტიული რეაგირების ერთ-ერთ ტექნიკას წარმოადგენს  
ე.წ. **„გაფუჭებული ფირფიტის“ ტექნიკა**. ამ ტექნიკის თანახმად,  
მასწავლებელმა მანამდე უნდა იმეოროს თავისი მოთხოვნა,  
სანამ მოსწავლე არ შეასრულებს მას. მაგალითად, მასწავლე-  
ბელი (შემდგომში **მასწ.**): „ნინო, შენ მუშაობა უნდა გააგრძე-  
ლო. მოშორდი ფანჯარას და დაჯექი ადგილზე!“

მოსწავლე (შემდგომში **მოსწ.**): „მე ძაღლების თამაშს მინდა  
ვუყურო“.

მასწ.: „მესმის, მაგრამ მე მინდა, რომ დაჯდე“.

მოსწ.: „ერთი წუთით, კარგი?“

მასწ.: „არა, ნინო, მე მინდა, რომ ახლავე დაჯდე“.

მოსწ.: „კარგი.“

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ ასრულებს მასწავლე-  
ლის მოთხოვნას, სასურველია მისთვის არჩევანის შეთავაზება.  
ეს შეიძლება, გაკეთდეს პირველი, მეორე ან მესამე მოთხოვნის  
შემდეგ, რაც დამოკიდებულია ბავშვის ინდივიდუალურ მახა-  
სიათებლებზე. მოსწავლემ არჩევანი უნდა გააკეთოს მითითე-  
ბის შესრულებასა და შეუსრულებლობისათვის განსაზღვრულ  
შედეგს შორის.

მაგალითად, „ნინო, რა გირჩევნია, ახლა დაიკავო ადგილი,  
თუ დასვენებაზე კლასში დარჩე ჩემთან ერთად?“. თუ დასჯის  
გამოყენება მაინც აუცილებელი გახდა, მასწავლებელმა უნდა  
შეახსენოს მოსწავლეს, რომ ეს მისი არჩევანი იყო. სასჯელის  
გადადება არ შეიძლება.

ასერტიული რეაგირებისას შესაძლებელია **„ირიბი გამეორე-  
ბის“ ტექნიკის** გამოყენებაც. ამ დროს ბავშვის არასასურველი  
ქცევიდან ყურადღების გადატანა ხდება სხვა ბავშვების მიერ  
განხორციელებულ სასურველ ქცევაზე. *ირიბი ნახალისების მე-*  
*თოდი* შენიშვნის მიცემისა და წესების შესენების შენიღბული  
საშუალებაა. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებელმა  
გიოს მისცეს შენიშვნა (მან ხელის აწევის გარეშე დაიწყო ლაპა-  
რაკი), სხვა მოსწავლეების მიერ ეფექტურად განხორციელებულ  
ქცევაზე მიანიშნებს: „ქეთი და ეკა ხელს ინევენ, როდესაც პა-  
სუხი იციან, ასე გააკეთე შენც, გიო!“

მოსწავლეს, რომელიც კლასში პრობლემურ ქცევას ახორციელებს, უნდა მივუთითოთ არა მის მიუღებელ ქცევაზე (ქაღალდების სროლა), არამედ სხვა ბავშვების სასურველ საქციელზე (მერხთან მშვიდად ჯდომა), დაფაზე კი დაწვროთ არა იმ ბავშვის სახელი, რომელიც მიუღებლად იქცევა, არამედ მათი, ვინც საკლასო აქტივობაში იყო ჩართული. სავარაუდოდ, მოსწავლე მიაქცევს ყურადღებას სასურველ ქცევას და მოახდენს ქცევის მოდელირებას, ანუ სხვების მაგალითს მიბაძავს.

ასერტიული ტექნიკის გამოყენებისას აუცილებელია კომენტარებისა და შეფასებების მკაცრი კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში, მათი რედაქტირება. ის, თუ რა სახით მივანოღებთ სხვას ჩვენს კომენტარს, განსაზღვრავს შედეგს. შეტყობინებას მნიშვნელოვანი ზეგალენა აქვს შედეგის ეფექტიანობაზე, მოსწავლის თვითშეფასებასა და წარმატებული მასწავლებლის ხატის ჩამოყალიბებაზე.

მუდმივი აკრძალვები, შენიშვნები, უხეშობა და დადანაშაულება გარკვეული დროით ეხმარება მასწავლებელს სასურველი მიზნის მიღწევაში, მაგრამ იწვევს გაცილებით ძლიერ ნეგატიურ შედეგს ე.წ. „რთულ ბავშვებში“. გახსოვდეთ, დათრგუნული ადამიანი ყოველთვის ჯანყდება ტირანის წინააღმდეგ.

პრობლემური ქცევის მართვის, კომენტარებისა და რეპლიკების დროს არ არის გამართლებული გამოვიყენოთ:

- შეკითხვა „რატომ“,
- სიტყვა, მიმართვა „შენ“,
- სიტყვა და უარყოფა „არა“,
- ლექციის ნაკითხვა, დიდაქტიკა, ბუზღუნის, ლანძღვა.

#### ☞ შეკითხვა „რატომ“

შეკითხვა „რატომ“ სავსებით დასაშვებია, თუ ის მართლაც ინფორმაციის მისაღებად არის დასმული და თანაც თავაზიანად.

„რატომ ყრია ნაგავი საკლასო ოთახში?“ - მასწავლებლის მიერ მკაცრი ტონით დასმული ეს შეკითხვა სულაც არ ისახავს მიზნად მიზეზის გამოძიებას, არამედ, ის შესავალია უკმაყოფილებისა და შენიშვნებისთვის. მეტიც, მასწავლებლის გალიზიანება კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ ის შეკითხვაზე პასუხს მიიღებს.

## ☞ „შენ“

პრობლემური ქცევის მართვისას მინიმუმამდე დაიყვანეთ ამ სიტყვის გამოყენება. ის ზედმეტად მკაცრი და უხეშია. მიმართვის ამ ფორმის ჩანაცვლება მოსახერხებელია „მე“ -შეტყობინების გამოყენებით. „მე“ - შეტყობინებით გამოიხატება თქვენი დამოკიდებულება, რას განიცდით და რა გჭირდებათ.

მაგალითად, – „მე მჭირდება სინყნარე კლასში“. – ნაცვლად: „რატომ საუბრობთ?“

„მე იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, რაც ეზოში მოხდა; არ ველოდი, რომ მსგავსი რამ მესამე კლასშიც განმეორდებოდა“ – ნაცვლად: „თქვენ სულელებივით იქცევოდით“.

შესაძლებელია ხაზი გაუსვათ მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთიან პოზიციას მრავლობითი რიცხვის გამოყენებით – „ჩვენ“ - შეტყობინებით ან მესამე პირის დამატებით – „ყველა ჩვენგანი, ჩემი მოსწავლეები“, ნაცვლად „შენ“ ან „თქვენ“ ნაცვალსახელების გამოყენებისა. მაგალითად, ნაცვლად – „თქვენ ზედმეტად ხმაურობთ“, სცადეთ – „ჩვენ ყველამ სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, ყველაფერი კარგად რომ გავიგოთ“.

გამონათქვამები ამ შემთხვევაში ნაკლებად კონფრონტაციულია. იზრდება თანამშრომლობისა და შეთანხმების მიღწევის ალბათობა. დროთა განმავლობაში გამონათქვამები უფრო მოქნილი და ბუნებრივი გახდება.

რეპლიკები „მე“ - შეტყობინებით კარგი საშუალებაა ემოციური მდგომარეობისა და დამოკიდებულების გამოსახატად. ამ სახის რეპლიკების გამოყენება მასწავლებელს ეხმარება:

- ☞ გამოხატოს ემოციები შესაბამისად და ზომიერად;
- ☞ გაუმკლავდეს დაძაბულობას;
- ☞ გამოათავისუფლოს დაგროვილი უარყოფითი ენერჯია;
- ☞ შეძლოს ბავშვებისთვის შესაბამისი ქცევის მოდელი-

რება.

მაგალითად:

– თქვენ არ მისმენთ, ასე შორს ვერ წახვალთ.

– მე მინდა, რომ ჩემი მოსწავლეები ყურადღებით მისმენდნენ და მიიღონ საინტერესო ინფორმაცია.

– თუ არ მორჩები ყბედობას, ვერ ისარგებლებ დასვენებით.

– მე მჭირდება, მივიღო პასუხი ამ კითხვაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებთ დასვენებაზე თამაშს.

– შენ უზრდელი ხარ.

– მე არ მომწონს, როცა ჩემი მოსწავლეები ასე საუბრობენ. გთხოვ, სხვა ფორმით ამიხსენი, რა გინდა.

– ნუთუ ყველა გაბოროტდით? ეს სისატიკეა, როცა დასცინით მას, ვინც ნაბორძიკდება.

– მე ძალიან მწყინს, როდესაც კლასი შეუფერებელ და მტკივნეულ ხუმრობებს მიმართავს. დარწმუნებული ვარ, რომ კლასელები ერთმანეთს პატივისცემით მოეპყრობიან. ჩვენ ერთი გუნდი ვართ.

### \* „არ“ და „არა“

მასწავლებელი ვერ მიაღწევს წარმატებას მხოლოდ იმის აღნიშვნით, თუ რა არ უნდა გააკეთოს ბავშვმა. აუცილებელია, მივუთითოთ იმაზეც, თუ რა სახის ქცევა უნდა შესრულდეს სანაცვლოდ. ქცევის აკრძალვისას ბავშვისთვის არ არის ნათელი, რა ქცევას მოელიან მისგან. ბავშვები ამკრძალავ რეპლიკაში აფიქსირებენ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას. ამ მიზეზით მითითება - „არ ირბინო“, ხშირ შემთხვევაში სწორედ სირბილის გამომწვევი ხდება.

### \* „სენდვიჩის“ ტექნიკა

სენდვიჩის ტექნიკა გულისხმობს კონსტრუქციულ კრიტიკასა და შეთავაზებას პოზიტიურ რეპლიკებთან ერთად. თუ მასწავლებელი ბავშვს კრიტიკასა და შენიშვნას პოზიტიურ რეპლიკებს შორის მიაწოდებს, ბავშვის მიერ ნაკლებ მტკივნეულად აღიქმება.

მაგალითად: „ნინო, შენი ნაწერი გაუმჯობესდა, წერტილებსა და მძიმეებს სწორად სვამ (პოზიტიური რეპლიკა). მოდი, ახლა ასოების ზომას დავაკვირდეთ, ისინი თავდაპირველად შესაბამისი ზომისაა, მაგრამ შემდეგ მათი ზომა მეტისმეტად მცირდება (შენიშვნა). ამაზე კიდევ ვივარჯიშოთ. მე ვფიქრობ, შენი

ნანერი ბევრად გაუმჯობესებულია (პოზიტიური რეპლიკა).“

### ✱ **ჭკუის დარიგება**

ჭკუის დარიგება მტკივნეულია არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ უფროსებისთვისაც. მსმენელი თავს დაჩაგრულად, დამცირებულად და უსამართლოდ გრძნობს. ჩნდება განცდა, რომ პირადად მისით არიან უკმაყოფილო და არა მისი ქცევით. ჭკუის დარიგება არაეფექტური სტრატეგიაა. უმჯობესია კორექტული, მოკლე და მარტივი შეტყობინების მიწოდება.

მაგალითად, ნაცვლად: „დავით, შენ ისევ ქურთუკის გარეშე გახვედი ეზოში. რატომ არ ხარ ყურადღებით? სულ შეხსენება და კარნახი გჭირდება, რა და როგორ უნდა გააკეთო; ნეტავ სად დატოვე ქურთუკი, თუ გახსოვს? ჩქარა, რაღას უცდი, წადი და მოიტანე“. (რეალურად, დათომ ამ მონოლოგში მხოლოდ ეს გაიგო: „დავით, ბლა, ბლა, ბლა.....“), სცადეთ: „დავით, ქურთუკი დაგრჩა“.

ეს ტექნიკა თავიდან აგაცილებთ მასწავლებლის ბუზღუნს, მოსწავლის მხრიდან უხერხულობის განცდასა და ნეგატიური პიროვნული ხატის ჩამოყალიბებას, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის თვითშეფასებასა და სწავლის მოტივაციაზე. მოკლე შეტყობინებები მოსწავლეს ნაახალისებს, დაფიქრდეს მიღებულ ინფორმაციაზე, მოახდინოს პრობლემის იდენტიფიკაცია, მოძებნოს გამოსავალი და განახორციელოს შესაფერისი ქცევა.

### ✱ **ინფორმაციის რაოდენობა**

ხშირ შემთხვევაში საჭიროა, მოსწავლეს მიენოდოს ინფორმაციის შეზღუდული რაოდენობა დეტალური ახსნა-განმარტების გარეშე. მან თავად უნდა შეძლოს გაარკვიოს, რა იყო რეპლიკის მიზეზი და მოიფიქროს მოქმედების პოზიტიური გეგმა. *მიმართვა უნდა იყოს მოკლე და არა შეფასებითი*. უნდა გამოვიყენოთ რბილი მიმანიშნებლები და არა დირექტიული შეტყობინება.

მაგალითად: „გო, ფირფიტა სიცხეში ფორმას კარგავს.“ გიომ შესაბამისი დასკვნა უნდა გამოიტანოს ამ რეპლიკიდან და სწორად იმოქმედოს – გამოწიოს ფორფიტა ლუმელიდან.



„ლილი, თუ სხვებს დაარტყამ, მათ არ მოუხდებათ შენთან მეგობრობა.“

„თუ ენას ცივ მეტალს მიადებ, ის შეიძლება მიეყინოს კიდეც.“

„დათო, თიხა გაშრება, თუ მას თავსახურს არ დააფარებ.“

### **\* აღნიშნეთ პრობლემა**

ხშირად მასწავლებლის მხრიდან პრობლემაზე მინიშნება (პრობლემის არსებობის აღნიშვნა) უფრო უკეთესი და გამართლებული სტრატეგიაა, ვიდრე დეტალური ინსტრუქციების მიცემა. ამ შემთხვევაში ბავშვს არ გააჩნია წინასწარი მითითება და მან თვითონ უნდა გადაჭრას პრობლემა. დადანაშაულები-სა და გაკიცხვის გარეშე აღვნიშნავთ პრობლემას, საჭიროების შემთხვევაში ვიძლევით მიმანიშნებლებსაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს ბავშვი სწავლობს საკუთარი გამოცდილებით.

მაგალითად:

„ნინო, საღებავი დაიქცა, რა უნდა გავაკეთოთ?“ თუ გოგონას გაუჭირდა რეაგირება, უნდა მივანიშნოთ: „ხელსაწმენდი თაროზე“. (მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩვენ მას აღარ ვეუბნებით, თუ რა უნდა გააკეთოს ხელსაწმენდით. ჩვენ მხოლოდ მივანიშნებთ, რომ ხელსაწმენდი რაღაც სახით საჭიროა პრობლემის გადასაჭრელად).

## **ქცევის პოზიტიური მართვის ტექნიკასთან დაკავშირებული პრობლემები**

რამდენადაც ეს ტექნიკა დაკავშირებულია გარკვეული სახის ჯილდოს მიღებასთან, შესაძლებელია გაჩნდეს პრობლემები:

➔ დაჯილდოებამ ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს ქცევის განხორციელების ჩვევა მხოლოდ სარგებლის მიღების შემთხვევაში. – „რატომ უნდა დავწერო? მერე ამით მე რა?“

➔ გარეგანმა მოტივაციამ შეიძლება მთლიანად შეცვალოს და ჩაანაცვლოს შინაგანი მოტივაცია. შედეგად, ბავშვები ვეღარ გააცნობიერებენ სასურველ ქცევაში ჩართვის მიზეზს. ჩამოყალიბდება ქცევის მოდელი – „მაკოცე და...“.

☞ დაჯილდოების იმედგაცრუება ალაშფოთებს ბავშვებს, რადგან ჩაითვლება, რომ თქვენ უყურადღებოდ დაგრჩათ მათ მიერ განხორციელებული სასურველი ქცევა.

☞ მოსწავლის თვითშეფასება დამოკიდებული ხდება სხვის აღიარებაზე, ნაცვლად საკუთარი შეფასების კრიტერიუმისა.

☞ თუ ჯილდოები მოსწავლეებთან შეზღუდულად გამოიყენება, ერთი ჯგუფი უკმაყოფილებას გამოთქვამს მეორე ჯგუფის მიმართ. შედეგად, შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი, კონკურენცია და დაპირისპირება. თუ ბავშვები დააფიქსირებენ, რომ მიუხედავად მათი მცდელობისა, ჯილდოს მუდმივად ერთი და იგივე ჯგუფი იმსახურებს, მაშინ ისინი, სავარაუდოდ, შეამცირებენ ძალისხმევას.

**\* რატომ იქცვიან ბავშვები ცუდად, ჯილდოს მიღების მიუხედავად?**

☞ ბავშვი მოელის, რომ მიუხედავად დღევანდელი ჯილდოსი, ხვალ შეიძლება დაისაჯოს.

☞ თქვენ აფასებთ ბავშვს და არა მის ქცევას, როდესაც ამბობთ: „კარგი ბიჭი ხარ“, „ნიჭიერი გოგო ხარ“. არ მიაწვდით ბავშვს იარლიყი „კარგი“ ან „ცუდი“. **აღწერეთ და შეაფასეთ მხოლოდ ქცევა.** მიეცით ბავშვს საშუალება, თვითონ შეაფასოს საკუთარი თავი. გაუსვით ხაზი იმას, რომ **თქვენთვის მიუღებელია ბავშვის ქცევა და არა თვითონ ის.**

☞ ჯილდოს მიღების შემდეგ მოსწავლე ფიქრობს, რომ მისი და თქვენი მიზანი მიღწეული და დასრულებულია და ახლა საკუთარი სურვილისამებრ მოქცევაც დასაშვებია.

☞ დადგენილი პირობები დაჯილდოების შემდეგაც ძალაში უნდა დარჩეს და არასტრუქტურირებული სიტუაციით არ ჩანაცვლდეს.

**\* როგორ ავიცილოთ შეცდომები?**

☞ დაანწყვილეთ მატერიალური ჯილდო სოციალურ აღიარებასთან (ღიმილი, პოზიტიური შესება, სიტყვით ნახალი-

სება) და თანდათანობით შეამცირეთ მატერიალური ჯილდოს გამოყენება.

➔ მატერიალურ ჯილდოს თან უნდა ახლდეს ვერბალური აღიარება. აღნიშნეთ და აღწერეთ აქტივობა, შედეგი. ნაცვლად: „შენ ძალიან კარგი მხატვარი ხარ“, აღნიშნეთ: „შენი ნახატი ძალიან საინტერესო და ლამაზია. განსაკუთრებით მომწონს ღრუბლების ფორმა და მზე, ღრუბლებს შორის რომ მოჩანს“.

➔ ჰკითხეთ მოსწავლეს, თუ რით დაიმსახურა ჯილდო. დაეხმარეთ, თვითონ შეძლოს სასურველი ქცევის იდენტიფიკაცია, ამით გარეგანი შეფასება თვითშეფასების მცდელობით ჩანაცვლდება.

➔ ნაახალისეთ მოსწავლე და გამოთქვით იმედი, რომ ის გააუმჯობესებს შედეგს. მაგ.: „ეს სწორედ ის არის, რასაც მე შენგან მოველოდი. იმედი მაქვს, რომ შემდგომშიც იგივე განმეორდება, რადგან ვხედავ, როგორ ბეჯითად შრომობ და რა კარგად ახერხებ დავალების შესრულებას.“

ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულია ჩამონათვალი, რომელიც ასახავს ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიების ეფექტიანობას დასჯის პროცედურებთან შედარებით და ცხადყოფს დამსჯელობითი მექანიზმების შემცირების საჭიროებას (ცხრილი №1).

ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლე პრობლემის წყაროდ ვალი-ართო, კონსტრუქციული დისციპლინის მიდგომა ორიენტირებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც სკოლის გარემოსთან არის დაკავშირებული და ინვესტს ანტისოციალურ ქცევას. ეს მიდგომა აღიარებს, რომ **პრობლემური ქცევის მიზეზი არა მოსწავლესა, არამედ მოსწავლესა და სკოლას, კლასის კონტექსტს შორის შეუსაბამობაში. შედეგად, აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს სასურველი ქცევის განხორციელება და არა არასასურველის აღკვეთა.**

**ცხრილი №1: დასჯის მეთოდებისა და კლასის პიზიტიური მართვის სტრატეგიების შედარება**

<b>დასჯის პროცედურები</b>	<b>კლასის პიზიტიურად მართვის სტრატეგიები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ინვევს ქცევის სწრაფ შეწყვეტას ან ცვლილებას;</li> <li>➤ მასწავლებელს მყისიერ შვებას აძლევს;</li> <li>➤ ასწავლის მოსწავლეებს, რა არ უნდა გაკეთდეს;</li> <li>➤ ამცირებს დადებით თვითშეფასებას;</li> <li>➤ ამცირებს დადებით დამოკიდებულებას სკოლისა და სასწავლო პროცესის მიმართ;</li> <li>➤ ინვევს ნეგატივიზმს, პროტესტის გარძნობასა და თავის არიდებას;</li> <li>➤ ინვევს აგრესიას;</li> <li>➤ ასწავლის მოსწავლეებს დამსჯელობით ქმედებებს;</li> <li>➤ შესაძლოა ზიანი მოუტანოს მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ თანდათანობით ამცირებს არასასურველი ქცევის ალბათობას;</li> <li>➤ მასწავლებლისთვის არ მოაქვს მყისიერი შვება;</li> <li>➤ ასწავლის მოსწავლეებს, რა უნდა განხორციელდეს;</li> <li>➤ ზრდის დადებით თვითშეფასებას;</li> <li>➤ ზრდის დადებით დამოკიდებულებას სკოლისა და სასწავლო პროცესის მიმართ;</li> <li>➤ ზრდის თანამონაწილეობას;</li> <li>➤ ამცირებს აგრესიის ალბათობას;</li> <li>➤ ასწავლის მოსწავლეებს, ყურადღება დადებით მხარეებს მიაქციონ;</li> <li>➤ ამყარებს და აუმჯობესებს მოსწავლე – მასწავლებლის დამოკიდებულებას.</li> </ul>

**განვიხილოთ მაგალითები:**

**მაგალითი №1** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, გადაშალოს წიგნი და წაიკითხო. ის ხმაურით ამოდრავებს მერხს, გარბის საკლასო ოთახის ბოლოს და ყვირის: „მე არ გადავშლი ამ წიგნს; თქვენ რა, თვითონ არ შეგიძლიათ? თქვენ ცუდი მასწავლებელი ხართ!“ მასწავლებელი პასუხობს: „მე მესმის შენი. იქნებ ასე მოვიქცეთ; შენ დაბრუნდი მერხთან, მე კი გადავშლი წიგნს.“ მოსწავლე დაბრუნდა ადგილზე და ჩაერთო სამუშაოში.

ვინ აკონტროლებდა სიტუაციას – მოსწავლე, რომელმაც თავისი გაიტანა და არ გადაშალა წიგნი თუ მასწავლებელი, რომელიც კომპრომისზე წავიდა?

მასწავლებელს შეეძლო მიემართა მკაცრი და დაუყოვნებელი ზომებისთვის და ეთქვა:

„ასე მასწავლებლებს არ მიმართავენ“;

„აქ ასე ლაპარაკი და მოქცევა დაუშვებელია“;

„გაბრძანდი კლასიდან“.

*პასუხად შეცვლიდა მოსწავლე ქცევას, მოიხდიდა ბოდიშს, აღიარებდა, რომ მასწავლებელი სიმართლეს ამბობდა და გააგრძელებდა სამუშაოს, თუ გამოიწვევდა ქცევის ესკალაციას და საბოლოოდ დატოვებდა საკლასო ოთახს, რითიც მასწავლებლის თავდაპირველი მიზანი, ემუშავა მოსწავლესთან, არ განხორციელდებოდა. სავარაუდოა, რომ მოსწავლე მიაღწევდა განზრახვას, არ წაიკითხავდა, რაც მას განუმტკიცებდა აზრს, რომ კითხვისგან თავის ასარიდებლად საჭიროა ჭირვეულობა და უხეში ქცევა. მასწავლებლის მიერ არჩეული სტრატეგია კი გულისხმობდა: „ჩემი თავდაპირველი მიზანია, შენთან ერთად ვიმუშაო კითხვაზე და მე რაიმე საშუალებით (პოზიტიური მიდგომით) მივაღწევ ამას.“*

### **მნიშვნელოვანია:**

**არ ვიფიქროთ** „მოგება – წაგების“ ფარგლებში – მოიგო მოსწავლემ, რომელმაც წიგნი არ გადაშალა, თუ მასწავლებელმა, რომელმაც მოახერხა მოსწავლის დაყოლიება?

**ვიფიქროთ**, თუ როგორ შევცვალოთ ჩვენი ქცევა, რომ თავდაპირველი მიზნის მიღწევა შევძლოთ.

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა ინფორმატიულია სხვა მოსწავლეებისთვის.

ხშირად, როდესაც მოსწავლე არღვევს წესს და მიუღებლად იქცევა, მასწავლებლის დაუყოვნებლივი რეაქცია აჯილდოებს მას ყურადღებით და გამოჰყოფს საერთო აქტივობიდან. მასწავლებელი აგვარებს მყისიერ პრობლემას, მაგრამ ვერ აღწევს მოსწავლის ქცევის ცვლილებას. მასწავლებლის მიზანი კი სწორედ ეს უნდა იყოს. მოსწავლის ქცევის მართვისას აუცილებლად უნდა ვისახავდეთ მიზნად, ზოგადად, მისი

ქცევის სახეცვლილებას.

გვახსოვდეს, მოსწავლე უფრო სიამოვნებით მოუსმენს პირს, რომელიც მას კრიზისის დროს მხარში ამოუდგა, ვიდრე იმას, რომელმაც ის გააძევა.

**მაგალითი №2** მოსწავლე სხვებზე უფრო ადრე ასრულებს საკლასო დავალებას და იწყებს მერხზე ხელების ბრახუნს. მასწავლებელი სთხოვს, შეწყვიტოს, მოსწავლე კი აგრძელებს. მასწავლებელმა შეახსენა მას წესები და მისი შედეგები, მაგრამ არც ამან გაჭრა. მასწავლებელმა გააფრთხილა, რომ თუ ის კვლავ გააგრძელებს ხმაურს, დატოვებს მერხს და ცალკე დაჯდება. შემდეგ მასწავლებელმა მოსთხოვა კლასის დატოვება, რასაც მოსწავლე შეეწინააღმდეგა. მასწავლებელმა შეახსენა, რომ თუ ის თავად არ წამოდგებოდა, მაშინ მას ააყენებდნენ. მოსწავლემ ფეხები შემოხვია სკამს, რომ არ ამდგარიყო, თუმცა საბოლოოდ, ის მასწავლებლის ფიზიკური ჩარევით გაიყვანეს კლასიდან.

გვახსოვდეს, თუ სტრატეგია, რომელსაც მიმართავთ, არ ამართლებს, არ ეცადოთ უფრო დაჟინებით გამოყენებას, შეცვალოთ ის. მასწავლებელი მიმართავდა გაფრთხილებებისგან შემდგარ მართვის სტანდარტულ გზას. ეს სასარგებლო მეთოდი, რომელიც, როგორც წესი, მუშაობს, თუმცა ამ შემთხვევაში გამოიწვია ქცევის ესკალაცია. მასწავლებლის თავდაპირველი მიზანი – ხმაურიანი ქცევა შეწყვიტა და მოსწავლე დაბრუნებოდა დავალებას – არ შესრულდა.

თუ გავარკვევთ, რა შეიძლება ყოფილიყო მოსწავლის ქცევის მიზეზი, აღმოჩნდება, რომ მოსწავლე ასე *მოწყენილობისგან* იქცეოდა და შესაბამისად, *ყურადღების მიპყრობასა და შენარჩუნებას* ცდილობდა. მაშასადამე, თუ მოსწავლე ყურადღებას ეძებს, ჩვენ გვაქვს ალტერნატივა, დავაკმაყოფილოთ მისი მოთხოვნა დესტრუქციულ ქცევაზე ყურადღების გამახვილებით ან პოზიტიური ყურადღებით, კონსტრუქციულ აქტივობაში ჩართულობის ნახალისებით – თუნდაც ვთხოვოთ დაფის განმენდა ან სხვა რაიმე სამუშაოს შესრულება. სავარაუდოდ, სწორედ ეს არის ქცევის ცვლილების საუკეთესო

გზა ამ კონკრეტულ სიტუაციაში. სხვა დროს კი მასწავლებელს მართებს ყურადღება, რომ არ გამოეპაროს პრობლემური ქცევის აღმოცენების და სანყისი და მაშინვე აღკვეთოს ის სხვა საინტერესო აქტივობის შეთავაზებით.

**მაგალითი №3** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, დატოვოს საკლასო ოთახი; ის ასრულებს მოთხოვნას, მაგრამ გასვლისას აქრობს შუქს.

მასწავლებლის თავდაპირველი მიზანი იყო, ხელისშემშლელი ქცევა აღეკვეთა. მან ეს შეასრულა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს თავად სურდა; შუქის ჩაქრობით მოსწავლემ თავისი პროტესტი გამოხატა.

როგორი უნდა ყოფილიყო მასწავლებლის რეაქცია:

1. გაჰყოლოდა მოსწავლეს და მოეთხოვა შეცდომის გამოსწორება – მოსწავლეს თავად აენთო შუქი;

2. აენთო შუქი და გაეგრძელებინა გაკვეთილი.

პირველ შემთხვევაში, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მოსწავლე დაჰყვება მასწავლებლის სურვილს, დაბრუნდება კლასში და აანთებს შუქს, ის ამას უფრო მეტი აგრესიითა და სიბრაზით შეასრულებს, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება. შედეგად კი, სწავლის პროცესი შეფერხდება. გადანყვებილებით, მოსწავლის ეს ქცევა ამ ეტაპზე რეაგირების გარეშე დარჩეს და გაგრძელდეს გაკვეთილი, მასწავლებელი თავიდან აიცილებს პრობლემის ესკალაციას და არ მოაკლებს ყურადღებას სხვა მოსწავლეებს.

გვახსოვდეს, თუ არ შეგვიძლია ბავშვის ქცევის კონტროლი, ვაკონტროლოთ საკუთარი ქცევა, არ დაგვრჩეს უყურადღებოდ სანყისი ამოცანები და მიზნები, თუმცა მოგვიანებით საჭიროა, მივუბრუნდეთ მოსწავლის მიუღებელ ქცევასაც.

მასწავლებელს მართებს მსგავსი სტრატეგიის გამოყენება, როდესაც მოსწავლე ჩუმად, მაგრამ, სხვა მოსწავლეების გასაგონად ჩაილაპარაკებს მიუღებელ ფრაზებს – ანუ მოახდენს ფაქტის იგნორირებას. თავად მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეებს სწორად რეაგირების სტრატეგიებს. ის თვალსაჩინოს ხდის იმ ქცევის მოდელირებას, რაც სურს, რომ მისმა მოსწავლეებმა აითვისონ და გამოიყენონ. მასწავლებლის

დაბეჯითებითი მოთხოვნა – მოსწავლემ ხმამაღლა გაიმეოროს მიუღებელი ფრაზა და შემდეგ პასუხი აგოს მასზე, უფრო არაეფექტური იქნება, ვიდრე იგნორირება. თუმცა, შემდგომში, მასწავლებელი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ამ ფაქტს და *პიროვნებაზე მინიშნების გარეშე*, ზოგადად, შესთავაზოს დისკუსია კლასს კონკრეტულ პრობლემაზე.

სანამ მოსწავლის ქცევაზე მოვახდენთ რეაგირებას, აუცილებელია, დაფუსვავთ საკუთარ თავს შემდეგი შეკითხვები:

- ☞ რა იყო ჩემი თავდაპირველი მიზანი?
- ☞ რა შეიძლება იყოს მოსწავლის ქცევის მიზეზი?
- ☞ რას ვგრძნობ ახლა?

☞ ჩარევის ტრადიციული საშუალებები წარმატებული იქნება, თუ გაამწვავებს მდგომარეობას?

☞ რა სახის ქმედებას მივმართო იმისათვის, რომ შევძლო ჩემი თავდაპირველი მიზნის მიღწევა? (დახმარების შეთავაზება, იგნორირება, მოსწავლეების ჩართვა)

☞ რა შემდგომი ღონისძიებებია საჭირო, რომ მოსწავლემ მომავალში შეძლოს სოციალურად მისაღები ქცევის განხორციელება თავისი დამოკიდებულების გამოსახატად?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემით თავიდან ავირიდებთ ცხელ გულზე იმპულსურ რეაქციას, მოვახერხებთ სიტუაციის კონტროლს და კონკრეტულ სიტუაციაში ადეკვატური გამოსავლის მოძებნას. ადეკვატური, ამ შემთხვევაში გულისხმობს იმას, რომ არ განვამტკიცებთ ბავშვის მიუღებელ ქცევას, მაგრამ, ამავე დროს, არ გამოვიწვევთ ამ ქცევის ესკალაციას.

### **დამატებითი სტრატეგიები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ:**

1. ფრთხილად გამოიყენეთ უნარშეზღუდულობის, აუტიზმის თუ სხვა მსგავსი შინაარსის ტერმინები ბავშვთან დაკავშირებით, მისი ოჯახის წევრებთან საუბრისას. თავი აარიდეთ ფსიქიატრიულ ტერმინოლოგიას. მაგ., ნუ მოიხსენიებთ ბავშვს როგორც აუტისტს, ან ჰიპერაქტიურს, ვინაიდან ეს მიანიშნებს, რომ ყველა აუტისტი ან ყველა ჰიპერაქტიური ერთნაირი პიროვნებაა მაშინ, როდესაც მოცემული ცნებები დაავადების



დასახელებაა და არა ბავშვის. თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ „მერის აქვს აუტიზმი“, ან „დათოს აქვს ყურადღების დეფიციტის სინდრომი“, მაგრამ ამ ტერმინების გამოყენებაზე მეტად მშობლებთან კონტაქტის დამყარებას კონკრეტული პრობლემების განხილვა შეუწყობს ხელს, რომლებსაც ბავშვთან ურთიერთობაში აწყდებით.

## **2. არ განიხილოთ ბავშვების ქცევა მათი თანდასწრებით.**

შეიძლება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი თვალსაჩინოდ არ პასუხობდეს (რეაგირებდეს) გარშემომყოფთა საუბარზე, მაგრამ ჩვენ არასოდეს ვიცით ზუსტად, რა გაიგო ბავშვმა ამ საუბრიდან, ან რას გრძნობდა, როდესაც მის ქმედებას განიხილავდნენ. ყველა შემთხვევაში, რჩება გარკვეული ალბათობა იმისა, რომ ბავშვებმა გაიგეს, თუ სიტყვების მნიშვნელობა არა, შეფასებების ემოციური დატვირთვა მაინც და ამ დროს თავი არაკომფორტულად იგრძნეს. მაგ., აუტიზმი არის დაავადება, რომელიც ინდივიდს აიძულებს, იყოს „გამოყოფილი“. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ამ ბავშვებზე მათი თანდასწრებით, თითქოს ისინი აქ არ არიან, ხელს ვუწყობთ ამ განცდის გაღრმავებას.

თუ თქვენ აუცილებლად გაქვთ სათქმელი ბავშვის შესახებ და არ შეგიძლიათ ინდივიდუალური შეხვედრის დანიშვნა, ჩართეთ ბავშვი საუბარში, მაშინაც კი, თუ მას არ ესმის საუბარი. მაგ., თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „დათო, მოდი, მოვუყვებ დედას, დღეს რა გააკეთე მათემატიკის გაკვეთილზე.“

პოზიტიური, დადებითი შეფასება ბავშვს უნდა მისცეთ და არა ვინმე სხვას მისი თანდასწრებით. მაგ., იმის მაგივრად, რომ სხვას უთხრათ: „დათომ კარგად შეასრულა დავალება და მე ვამაყობ მისით“ – უთხარით ეს უშუალოდ დათოს, სხვისი თანდასწრებით.

## **3. მაქსიმალურად აგრძნობინეთ ბავშვს სიტბო, კეთილგანწყობა.** მოერიდეთ მხოლოდ პრობლემური ქცევის შემთხვევაში ყურადღების გამახვილებას.

მხარდაჭერა ისე გამოხატეთ, რომ ეს შეუმჩნეველი იყოს გარშემომყოფთათვის. შეინარჩუნეთ სიმშვიდე მაშინაც, როდე-

საც ბავშვი გაღიზიანებული ან აგრესიულია.

გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ მისაბაძი მაგალითი ყველა თქვენი მოსწავლისთვის. აჩვენეთ, როგორ უნდა იურთიერთონ გარემომომყოფებმა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთან. თქვენ გაქვთ საშუალება, გავლენა მოახდინოთ ასეთი ბავშვისადმი კლასელების დამოკიდებულებასა და შეფასებაზე.

**4. ეცადეთ, თავი აარიდოთ ისეთი სიტუაციების შექმნას, როდესაც ბავშვს უნევს ორ მოსაუბრეს შორის ყურადღების გაყოფა.** განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის ძნელია ყურადღების განაწილება ორი ადამიანის ერთდროული საუბრის შემთხვევაში. მას უნდა ესმოდეს **მხოლოდ ერთი ხმა დროის ერთ მონაკვეთში.**

**5. ილაპარაკეთ ცოტა.** დაელოდეთ პასუხს. დასვით კითხვა ნაკლები რაოდენობით. მიანოდეთ ბავშვს მეტი ვიზუალური მიმანიშნებელი.

**რამდენიმე მაგალითი:**

➤ დაბეჭდილი ცხრილები (შეიძლება ხელით დაწერილიც იყოს);

➤ დაბეჭდილი წესები;

➤ დაბეჭდილი სიები;

➤ ვიზუალური კარნახები, როგორიცაა მაგ., ფერადი საწინიშნები წიგნის საჭირო გვერდებზე, სხვადასხვა საგნების სახელმძღვანელოების ფერებით (ფერადი კოდები) გარჩევა;

➤ ვიზუალური, ან სმენითი ტაიმერები დროითი შეზღუდვის საჩვენებლად ან სხვა დროში შემოფარგლული სავარჯიშოებისთვის.

**6. ნუ ეკითხებით, აუხსენით.** როდესაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი რაიმეს ვერ იგებს, ვერ აკეთებს, ნუ დაუსვამთ კითხვებს, თუ რას უნდა აკეთებდეს, სხვები რას აკეთებენ და ა.შ. აჩვენეთ და მარტივი, კონკრეტული ფრაზებით აუხსენით, თუ რა უნდა გააკეთოს.

იმის მაგივრად, რომ უთხრათ: „დათო, სად უნდა იყო ახლა? შეხედე, სხვები რას აკეთებენ? ახლა რისი გაკეთების დროა?“,

შეგიძლიათ უთხრათ: „დათო, მუსიკის გაკვეთილის დროა. მოდი მაგიდასთან.“ თუ ხედავთ, რომ დათოს ხელს უშლის, ალიზიანებს ხმამალალი მუსიკა, იმის მაგივრად, რომ ჰკითხოთ: „დათო, რა-შია საქმე? რა უნდა უთხრა გიორგის? რა გიშლის ხელს?“ უთხარით დათოს, რა შეუძლია გააკეთოს: „დათო, უთხარი გიორგის, დაუწიოს ხმას“. ბავშვს შედეგის მიღწევაში კონკრეტული შეთავაზება უფრო ეხმარება, ვიდრე შეკითხვა.

**7. დაელოდეთ.** განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს ხშირად აქვთ კითხვასა და მოთხოვნაზე დაგვიანებული რეაქცია. მათ სჭირდებათ დამატებით რამდენიმე წამი ან წუთი მოქმედების დასაწყებად, პასუხის გასაცემად. დაელოდეთ კითხვის დასმის შემდეგ რამდენიმე წამს, არ მისცეთ დამატებითი ინფორმაცია ან კითხვა პასუხის მიღებამდე.

**8. დაელოდეთ პასუხს, ნუ დაამატებთ ახალ ინფორმაციას.** თავი აარიდეთ რამდენიმე კითხვის ერთდროულად დასმას, ან მეტი ინფორმაციის მიწოდებას, სანამ ბავშვისაგან რაიმე პასუხს არ მიიღებთ. თუ შეეკითხეთ, ან მოითხოვეთ, მშვიდად დაელოდეთ 10-15 წამის განმავლობაში ბავშვისგან რეაქციას და შემდეგ გაუმეორეთ კითხვა. თანდათან შეიმუშავეთ, რამდენი დრო ესაჭიროება ბავშვს პასუხის გასაცემად.

ნებისმიერ დროს, ბავშვთან საუბრისას, დაელოდეთ რაიმე სახის რეაქციას (არაა აუცილებელი ვერბალურს), სანამ კითხვას ან მოთხოვნას გაიმეორებდეთ. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს კითხვაზე რეაგირება. უნდა მივცეთ იმდენი დრო, რამდენიც სჭირდებათ პასუხისათვის დაძაბულობისა და დაჩქარების გარეშე. აუცილებელია, ბავშვმა ისწავლოს, როდესაც მას ესაუბრებიან, საჭიროა პასუხის დაბრუნება, რათა ვიცოდეთ, რომ მას ჩვენი ესმის.

**9. კითხვები და მოთხოვნები სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქვით.** ეცადეთ კითხვის დასმისას და ინსტრუქციის მიცემისას გამოიყენოთ სხვადასხვა ინტონაცია და კომუნიკაციის სტილი. ეს ბავშვისათვის დამატებითი ინფორმაციაა, მინიშნება, როგორ ქცევას მოელოდნენ მისგან.

**10. ხელი შეუწყვეთ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის კომუნიკაციას სხვა ბავშვებთან.** როდესაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვს სხვა ბავშვი ან მოზარდი ესაუბრება, არ გასცეთ მის მაგივრად პასუხი, დაეხმარეთ ბავშვს პასუხის გაცემაში. მაგ., გიორგი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვია. მასთან მივიდა ლაშა (თანაკლასელი) და ჰკითხა, აქვს სახატავი რვეული თუ არა. თქვენ არ უნდა უთხრათ გიორგის: „გიორგი, ლაშა გელაპარაკება. რატომ არ ეტყვი, გაქვს სახატავი რვეული თუ არა?“ გიორგი არ პასუხობს. ლაშა თქვენთან იწყებს საუბარს.

ფაქტობრივად, გიორგიმ ისწავლა, მასთან საუბარში ვილაც სხვა იძლევა პასუხს მის მაგივრად. ის ვერ სწავლობს, რომ მან უნდა გასცეს პასუხი მოსაუბრეს. მეორე მხრივ, ლაშამ შეიძლება დაიმახსოვროს, რომ გიორგისგან პასუხს ვერ მიიღებს, ამიტომ ის პირდაპირ თქვენ დაგელაპარაკებათ.

ვერბალური მხარდაჭერის მაგივრად თქვენ შეგეძლოთ დახმარება გაგენიათ გიორგისთვის ფიზიკური მხარდაჭერით, როგორცაა მისი მიზრუნება მოსაუბრისკენ, ჩანთის გახსნა, სახატავი რვეულის მოძებნა და ა.შ. დახმარება მიმართული უნდა იყოს ბავშვისთვის კომუნიკაციის გაადვილებისა და სწავლისაკენ. თუ ფიზიკური მიმანიშნებლებით დახმარება შეუძლებელია, შეეცადეთ ქცევის მოდელირებას. მაგ., თქვენ შეგიძლიათ ლაშას უთხრათ: „ლაშა, მე ვფიქრობ, გიორგის უნდა, იცოდეთ..“ ან რაიმე მსგავსი ფრაზა, რაც გიორგის ჩართავს კომუნიკაციაში.

**11. ფიზიკურად მიანიშნეთ პასუხზე.** როდესაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი არ პასუხობს კომუნიკაციაზე, რბილად მიაბრუნეთ მოსაუბრისკენ. თუ ბავშვები არ მიიღებენ პასუხს თავის ინიციატივაზე, ეს ინიციატივა კლებულობს და საერთოდ წყდება. *მოერიდეთ ბავშვის სახის ან თავის მიბრუნებას მოსაუბრისკენ;* განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს ხშირად არ სიამოვნებთ თავზე ან სახეზე შეხება.

თუ ბავშვს არ სიამოვნებს ფიზიკური შეხება, ნუ გამოიყენებთ ძალას. ამ შემთხვევაში მოდელირება შესაძლებელია ვერბალური ინსტრუქციის მიცემით ან კომუნიკაციური ჩვენების სწავლებით (თამაშის საშუალებით), მაგ., „სტუმარ-მასპინძლო-

ბა“, „მეგობრის შეხვედრა ქუჩაში“ და ა.შ. გამოიყენეთ ნახატები, კომიქსები, რომლებშიც ასახულია კომუნიკაციის პროცესი, გაახმოვანეთ მოსაუბრეების განცდები.

## **12. ნუ გამოიყენებთ ბავშვის სახელს ყოველი მითითების წინ.**

თუ დავალების მიცემისას ჩვენ გამოვიყენებთ მხოლოდ სახელს, ბავშვმა შეიძლება ყურადღება მიაქციოს თავის სახელს და არა ინსტრუქციის შინაარსს. მომართეთ ბავშვის ყურადღება (გამოიყენეთ ფიზიკური კონტაქტი) და შემდეგ მიეცით ინსტრუქცია. ინსტრუქციის წინ მუდმივად სახელის გამეორება ბავშვს ჯგუფური მითითების უყურადღებოდ დატოვებას შეაჩვენებს.

## **საკლასო ოთახში არასასურველი ქცევის შეფასება და მართვა**

### **ქცევის შეფასებისა და მართვის ზოგადი პრინციპები**

ქცევა არის ადამიანის დამახასიათებელი ურთიერთქმედება გარემოსთან მოთხოვნილების საფუძველზე. საკლასო ოთახში ბავშვის არასასურველი, არასწორი ქცევა მრავალმა ფაქტორმა შეიძლება განაპირობოს. უმთავრესია, გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ ქცევას გააჩნია თავისი წინაპირობა და შედეგი, რის მისაღწევად ადამიანი იქცევა ასე და არა სხვაგვარად.

ქცევათა უმეტესობა დასწავლილია და ემსახურება გარკვეულ მიზანს ან კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; იგივე შეიძლება ითქვას არასწორი ქცევის შესახებაც. ქცევაზე დაკვირვების გზით მასწავლებელი შეძლებს არასასურველი ქცევის მიზნის გამოყოფას და ეფექტური პრევენციული სტრატეგიების დაგეგმვას არასასურველი ქცევის სასურველით ჩანაცვლებისათვის. ყოველივე ეს ბავშვის ქცევაზე დადებითად მოქმედებს და ზრდის მის აკადემიურ მოსწრებას. თუ ბავშვი კონკრეტული ქცევით ვერ აღწევს დასახულ მიზანს, ის წყვეტს ამ ქცევას.

## **პრობლემური ქცევა როგორც კომუნიკაციის საშუალება**

ზოგიერთი ბავშვი საკმაოდ მალე სწავლობს, რომ მისი კონკრეტული ქცევა მიზნის მიღწევის საშუალებაა. მაგ., ბავშვი, რომელსაც საკლასო ოთახში კითხვაზე პასუხის გაცემა არ სურს, რისი ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება იყოს საშინაო დავალების არქონა, ხელისშემშლელ, გამაღიზიანებელ ქცევას მიმართავს. მსგავსი ქცევა, ბუნებრივია, გამოიწვევს მასწავლებლის გაღიზიანებას და შესაძლებელია ბავშვის საკლასო ოთახიდან გაგდება-საც. ერთი შეხედვით, ბავშვი დაისაჯა არასწორი ქცევისათვის, მაგრამ სინამდვილეში, თუ მისი ქცევის მიზეზი, წინაპირობა საშინაო დავალების შეუსრულებლობის დაფარვის სურვილია, მან საკლასო ოთახის დატოვებით ამ მიზანს მიაღწია.

უნდა ითქვას, რომ პრობლემური ქცევა უნარშეზღუდული ბავშვებისათვის ხშირად კომუნიკაციის ერთადერთ ნაცნობ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ, მნიშვნელოვანია ქცევის მიზეზებისა და მიზნების ზუსტი გამოყოფა, რათა მოხდეს პრობლემური ქცევის, როგორც კომუნიკაციის საშუალების, უფრო ადეკვატური ქცევით ჩანაცვლება.

## **ნეგატიური ქცევის მიზეზების განსაზღვრა**

მასწავლებელს შეუძლია ნეგატიური ქცევის მიზეზების შეფასება, თუ ის ყურადღებას მიაქცევს ბავშვის მოქმედების (კონკრეტული ქცევის) სამ აუცილებელ კომპონენტს: თვითონ ქცევას, წინაპირობებსა და შედეგებს. ქცევა ყოველთვის გარკვეულ კონტექსტში ხორციელდება და მხოლოდ ამ კონტექსტის საშუალებითაა შესაძლებელი მისი მიზეზებისა და შედეგების განსაზღვრა. ქცევის აღწერა არაა საკმარისი იმისათვის, რომ დავინყოთ მის შეცვლაზე მუშაობა. მაგალითად, კონკრეტული ქცევა - მარიმ საღებავები დაღვარა - სხვადასხვაგვარად იქნება გაგებული იმისდა მიხედვით, თუ სად მოხდა ეს ქცევა, მისაღებ ოთახში, ხალიჩაზე თუ სამუშაო ოთახში, მაგიდაზე გაშლილ ქაღალდზე; ე.ი. გასათვალისწინებელია კონტექსტი, რომელშიც ეს ქცევა განხორციელდა. ამის მიხედვით განისაზღვრება, ქცევა სასურველია თუ არა; ქცევაზე შემდგომი რეაგირება მოგვცემს ინფორმაციას, ქცევა გამეორდება თუ არა.

ნეგატიურ ქცევაზე დაკვირვება, მისი წინსმსწრები მოვლენების განსაზღვრა და იმ შედეგების აღმოჩენა, რომელიც მო-

ჰყვება ქცევას, მასწავლებელს დაეხმარება ქცევის მართვაში, მისაღები ქცევის ნახალისებაში. დაკვირვების განხორციელებასას სასურველია, პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- გარემოს რა ფაქტორები მოქმედებენ ქცევაზე?
- რატომ ახორციელებს ბავშვი ამ ქცევას ამ კონკრეტულ დროსა და ამ კონკრეტულ სიტუაციაში?
- რა სარგებელს იღებს ბავშვი ამ ქცევით?
- რა არის ქცევის მიზანი, ანუ ფუნქცია?

განვიხილოთ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ცალ-ცალკე.

### **ქცევები**

მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეძლოს იმ ქცევის დიფერენცირება, რომელიც, მისი აზრით, საჭიროებს შეცვლას. მან უნდა სცადოს პრობლემური ქცევის ზუსტი და არა ზოგადი აღწერა და იმ სასურველი ალტერნატიული ქცევის განსაზღვრა, რომლითაც შესაძლებელია მიუღებელი ქცევის ჩანაცვლება (იხ. ცხრილი №2). მაგ., გიორგი აგრესიული მათემატიკის გაკვეთილზე, ის ან სხვა ბავშვებს ურტყამს, ან საგნებს ესვრის. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს ქცევა, რომლის განხორციელებასაც გიორგი შეძლებს. მაგ., მათემატიკის გაკვეთილის ისე დამთავრება, რომ არ დაარტყას კლასელს, ან არ ისროლოს ქალაქი ოთახში. ჩარევის მიზანი სწორედ სასურველი ქცევის მიღწევა ხდება.

გარდა ქცევის ზუსტი აღწერისა, მის შეცვლაზე მუშაობისთვის საჭიროა ამ ქცევის გაზომვა. გაზომვის შედეგად მივიღებთ იმ ობიექტურ მაჩვენებელს, რომელიც დაგვეხმარება, განვსაზღვროთ, რამდენად ეფექტურია მიდგომა. წინასწარი გაზომვა, როგორც წესი, გრძელდება 1 ან 2 კვირა, პრობლემური ქცევის ტიპიდან გამომდინარე. არსებობს ქცევის გაზომვის 3 ხერხი:

1. **ქცევის გამოვლენის სიხშირე** – საათის, დღის, კვირის

განმავლობაში რა სიხშირით გვხვდება პრობლემური ქცევა. მაგ., მთელი კვირის განმავლობაში ლევანი ყოველ საღამოს ტირის დაძინებისას. ე.ი. დაისმება კითხვა – კვირაში საშუალოდ რამდენჯერ იძინებს ლევანი ტირილით? თუ ჩარევამდე ლევანი ტირილით იძინებდა კვირაში საშუალოდ 6-ჯერ, ხოლო ჩარევის შემდეგ პირველი კვირის განმავლობაში რაოდენობა შეიცვალა სამით – ჩარევა ეფექტური აღმოჩნდა.

**2. ქცევის გამოვლენის ხანგრძლივობა** – რამდენი წამის, წუთის განმავლობაში ვლინდება პრობლემური ქცევა. განსაზღვრულ პირობებში ქცევის გამოვლენის სიხშირის შეფასება არასაკმარისია, ან არაინფორმატიულია და საჭირო ხდება დროითი მაჩვენებლის შემოღება. მაგ., ვახშმობისას რამდენ ხანს რჩება ნიკა მაგიდასთან, სანამ ადგება? რატომ ვამახვილებთ ყურადღებას ამ პარამეტრზე და არა ქცევის სიხშირეზე? თუ ჩარევის მიზანია, რომ ნიკა მაგიდასთან ვახშმობის ბოლომდე დარჩეს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი მაგიდასთან ჯდომის თავდაპირველი ხანგრძლივობის განსაზღვრა, რათა შესაძლებელი იყოს ჩარევის შედეგების დანახვა.

**3. ინტენსივობის სკალა** – ზოგიერთი ქცევა პრობლემური ხდება მხოლოდ განსაზღვრული ინტენსივობის მიღწევისას. მაგ., ბავშვის სიმღერა სასიამოვნოა, თუ ის მისაღებ ხმაზე მღერის. თუ ბავშვი ძალიან ხმამაღლა მღერის, მაშინ ეს პრობლემას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ჩარევის მიზანი ხდება სიმღერის სასურველ ხმაზე შესრულება და შესაბამისად, წინასწარი ერთკვირიანი დაკვირვება მიზნად ისახავს, ხმის ინტენსივობის შეფასებას: 4 – ძალიან ხმამაღალი, 3 – ხმამაღალი, 2 – ოდნავ ხმამაღალი, 1 – ხმის მისაღები სიმაღლე.



ცხრილი №2 ქცევის აღწერა

ზოგადი აღწერა	ზუსტი აღწერა	ალტერნატიული ქცევა
ლევანი ინფანტილურია	დაძინებისას ლევანი ტირის	ლევანი ტირილის გარეშე იძინებს
ნიკა შიპერაქტიურია	ვახშმობისას ნიკა ტოვებს მაგიდას	ნიკა ვახშმობის დასრულებამდე მაგიდასთან ზის
მარი გალიზიანებულია	გაკვეთილებზე მარი ყვირის და მაგიდიდან ყრის სასკოლო ნივთებს	გაკვეთილებზე მარი ჩუმად ზის და უსმენს მასწავლებელს
დოდო ზარმაცია	დოდოს დახმარების გარეშე ჩაცმისათვის 1,5 საათი სჭირდება	დოდო 1 საათში დამოუკიდებლად იცვამს

**წინაპირობები (წინმსწრები მოვლენები)**

ნეგატიური ქცევის ანალიზის შემდეგ საფეხურზე ხდება იმ მოვლენების იდენტიფიკაცია, რომლებიც ჩვეულებრივ წინ უსწრებენ მიუღებელ და სასურველ ქცევას. როდესაც მასწავლებელი მიიღებს პასუხს შემდეგ კითხვებზე, ის უკეთესად შეძლებს ბავშვის დახმარებას.

1. რა პირობებში იქცევა ბავშვი ნეგატიურად და რა პირობებში პოზიტიურად? (ჩამოწერეთ ცხრილში სასურველი და მიუღებელი ქცევის გამოვლენის პირობები).

2. რა პირობებში არ ვლინდება ნეგატიური ქცევა?

3. ქცევა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში ვლინდება? თუ ასეა, არსებობს თუ არა მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებენ ამ ქცევას?

4. ნეგატიური ქცევა მხოლოდ განსაზღვრულ ადამიანებთან დაკავშირებით ვლინდება?

5. იგივე ნეგატიური ქცევა იმავე პირობებში, მაგრამ სხვა გარემოშიც ვლინდება (მაგ., სახლში, სკოლისაკენ მიმავალ გზაზე, ან სადილობის დროს)?

6. ნეგატიური ქცევა წინ უსწრებს რაიმე ქცევას, თუ მასთან ერთად ვლინდება (მაგ., დავალებაზე მუშაობას)?

7. ქცევა დაკავშირებულია კომუნიკაციაში, სოციალურ ან აკადემიურ მიღწევაში არსებულ პრობლემებთან?

ამ კითხვებზე პასუხი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ნეგატიური ქცევის წინაპირობების განსაზღვრისთვის, რაც ხელს შეუწყობს წარმატებული ინტერვენციის განხორციელებას. ფაქტობრივად, ამ სახის პასუხები მასწავლებელს ნათელ წარმოდგენას უქმნის ქცევის კონტექსტზე და ეხმარება ამ ქცევის მართვაში.

### **შედეგები**

თუ მასწავლებელი შეძლებს განსაზღვროს, რა მოჰყვება ნეგატიურ ქცევას (*შედეგები*), ის ადვილად გაარკვევს, თუ რა ფუნქციას ემსახურებოდა ეს ქცევა. ფსიქოლოგებმა გამოიკვლიეს, რომ ნეგატიური ქცევა, ძირითადად, ემსახურება სპეციფიკურ, ხშირად გაუცნობიერებელ მიზნებს და სხვადასხვა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს. გამოიყო 4 მიზანი, რომლებიც არასასურველ ქცევას განსაზღვრავენ:

1. **გაქცევა ან თავის არიდება** (ბავშვი თავს არიდებს სპეციფიკურ აქტივობას თუ პიროვნებას?)

2. **ყურადღების მიღება** (იღებს ბავშვი თავისი მოქმედების შედეგად დამატებით ყურადღებას ან აღიარებას?)

3. **მატერიალური ჯილდო** (იღებს ბავშვი თავისი ქმედების შედეგად რაიმე მატერიალურ ნივთს, მაგალითად, საჭმელს, რაიმე სათამაშოს? იღებს იმას, რასაც ბავშვი მოითხოვდა ნეგატიური ქმედების დაწყებამდე?)

4. **თვითდაჯილდოება** (ბავშვი კომფორტულად გრძნობს თავს, როდესაც ახორციელებს თვითმასტიმულირებელ ქმედებებს, როგორცაა წინ და უკან ქანაობა, თითის წოვა, თმის წვალება?).

ეს მიზნები გამოიყენება ნეგატიური ქცევის უფრო ადეკვატური ქცევით ჩანაცვლებისთვის.

მასწავლებელს სჭირდება ისეთი სტრატეგიის მოფიქრება, რომელიც მიმართული იქნება სასურველ მიზანსა თუ ფუნქციაზე. ამავე დროს, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ თუ გარეგნულად ერთნაირი ორი ქცევის ფუნქციები და მიზნები სხვადასხვაა, ერთი და იგივე სტრატეგია ყოველთვის არ იძლევა შედეგს.

კლასის მართვაში ყველაზე მნიშვნელოვანია ქცევის განმპირობებელი მიზეზების სწორი იდენტიფიკაცია.

**ამრიგად, ქცევის ანალიზისათვის საჭიროა:**

1. ბავშვის ქცევის ზუსტი ფორმულირება;
2. გარემოს, წინმსწრები მოვლენების შეფასება – რა ხდება „მანამდე“;
3. ქცევის სქემის ჩამოყალიბება: წინმსწრები მოვლენები – ქცევა – შედეგი (ინფორმაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ცხრილის სახით).

წინმსწრები მოვლენები	ქცევა	შედეგი

### **ქცევის შედეგებიდან გამომდინარე ინტერვენციის (ჩარევის) დაგეგმვა**

#### **დამსჯელი ღონისძიებები**

ბავშვების მიუღებელი ქცევის შესამცირებლად დამსჯელი ღონისძიებების გამოყენება ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ დასჯის ისეთმა სახეებმა, როგორცაა შენიშვნის მიცემა, ჩხუბი, ბავშვის დროებითი იზოლირება და ჯარიმები, დადებითი შედეგების ნაცვლად, არასასურველი, პრობლემური ქცევის გახშირება გამოიწვიეს. ზოგიერთი ბავშვი

დასჯაზე აგრესიით, ან გაქცევით (სწავლაში ჩამორჩენა, სკოლის გაცდენა) რეაგირებს. დასჯამ შეიძლება განაპირობოს დაბალი თვითშეფასება, სკოლისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და ქცევის სხვა პრობლემები.

თანამედროვე კვლევის შედეგები მოწმობენ, რომ პოზიტიური დაჯილდოება, როგორცაა მაგ., ნახალისება, ბავშვის აკადემიური და ქცევითი წინსვლის აღმნიშვნელი გრაფიკები, მიზნის შესაბამისი ჩარევა უფრო წარმატებულია, ვიდრე ტრადიციული დამსჯელი სტრატეგიები.

### **გაქცევა/თავის არიდება**

ფსიქოლოგებმა გამოყვეს ორი რამ, რაც იწვევს გაქცევას ან თავის არიდებას: 1) დავალებები, მოთხოვნები ან პრობლემური სიტუაცია; 2) სოციალური კონტაქტები.

თუ ბავშვი მასწავლებლის მიერ მიწოდებული დავალების შესრულებისას უმეტესწილად წარუმატებელია და მასწავლებელიც ხაზს უსვამს მის უუნარობას, ის ხშირად ფიქრობს: „რატომ ვეცადო? მე მაინც არაფერი გამომივა.“

### **შესაძლო სტრატეგიები:**

- დავალების, მოთხოვნისა თუ ამოცანის შესრულებისათვის მიეცით ბავშვს დადებითი განმტკიცება;
- თავიდან დავალების მცირე ნაწილი მოითხოვეთ და წარმატების შემთხვევაში გაზარდეთ მოთხოვნები;
- ასწავლეთ ბავშვებს დახმარების თხოვნა, როდესაც ისინი რთულ დავალებებს აწყდებიან;
- წაახალისეთ და განამტკიცეთ ბავშვების სურვილი, დავალების შესრულების მცდელობისთვისაც კი;
- ასწავლეთ გაქცევის ალტერნატიული, მისაღები გზები (მაგ., მუშაობის ხანმოკლე შეწყვეტა).

თუ ბავშვის ქცევის მოტივი რომელიმე კონკრეტული ადამიანისთვის ან ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფისათვის თავის არიდებაა, მასწავლებელს განსხვავებული სტრატეგია სჭირდება. მაგ., პედაგოგს შეუძლია დავალების ჯგუფური განხორციელებისათვის დააჯილდოვოს ბავშვები, რაც წაახალისებს

სოციალურ კონტაქტებს; შეუძლია ჩართოს ჯგუფურ თამაშებში, რათა ბავშვმა თანდათანობით ისწავლოს სოციალურ კონტაქტებზე ადეკვატური რეაგირება.

### **ყურადღების მიქცევის მიზნით განხორციელებული ქცევა**

საკლასო ოთახში ზოგიერთი ბავშვის პრობლემური ქცევა განპირობებულია ყურადღების მოპოვების სურვილით მასწავლებლისა და სხვა ბავშვების მხრიდან. მოსწავლეთუ ყურადღებას არ იქცევს კარგი ქცევისთვის (მაგ., დავალების შესრულებისთვის, კარგი პასუხისთვის, სხვების დახმარებისთვის), მან შეიძლება მიმართოს ნეგატიურ, სხვებისთვის მიუღებელ ქცევას. მისთვის მნიშვნელოვანია თვითონ მასწავლებლის ყურადღება და არა აქვს მნიშვნელობა, თუ რისთვის მიიღებს ამ ყურადღებას.

### **შესაძლო ჩარევა:**

- დაუთმეთ ბავშვს უფრო მეტი ყურადღება (მაგ., მზერით კონტაქტი, გაკვეთილის ახსნის მანძილზე მის გვერდით დგომა, მხარზე შეხება და ა.შ.) სასურველი ქცევის განხორციელებისას;
- თუ შესაძლებელია, შეამცირეთ ყურადღება ნეგატიური ქცევის დროს;
- ასწავლეთ და განამტკიცეთ ალტერნატიული და მისაღები ქცევები.

**გაფრთხილება:** თუ არასწორი ქცევის მიზეზი ნამდვილად ყურადღების მოთხოვნაა, ეცადეთ, თავი აარიდოთ სიტყვიერი ბრძანებების გამეორებასა და ბავშვის ქცევის შეწყვეტას. ამან შეიძლება ქცევის გაუარესება გამოიწვიოს, ბავშვი მიაღწევს სასურველ ყურადღებას და ამით დაისწავლის არასწორ ქმედებას.

### **მატერიალური ჯილდოები**

ნეგატიური ქცევა მაშინაც ვლინდება, როდესაც ბავშვს სურს რაიმე საგნის მიღება, სურვილის ასრულება. მაგ., პატარა ბავშვმა შესაძლოა ნეგატიური ქცევა განახორციელოს („ისტერიკა“), როდესაც სათამაშოს მიღება სურს. თუ მასწავლებელი ბავშვს სასურველ საგანს მისცემს, ამ ქცევით ბავშვი თავის მიზანს მიაღწევს, ის განმტკიცდება; ანალოგიურ

სიტუაციაში ბავშვი ყოველთვის „ისტერიკის“ მონყობის გზით შეეცდება სასურველი ნივთის, თუ დამოკიდებულების (მაგ., მოფერების) მიღებას.

**შესაძლო ჩარევა:**

- ასწავლეთ ალტერნატიული ქცევა სასურველი საგნის მისაღებად;
- ასწავლეთ, გადაავადოს საკუთარი მოთხოვნა; უარს არ ამბობთ და მიუთითებთ, რომ გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მიიღებს სასურველს, მანამდე კი არა;
- იგნორირება გაუკეთეთ ბავშვის ნეგატიურ ქცევას, თუ ის შესვენებისას ხორციელდება.

**გაფრთხილება:**

ბავშვმა არ უნდა მიიღოს ის საგანი, საჭმელი თუ აქტივობა, რომელსაც ის დაჟინებით ითხოვს. თუ არასწორმა ქცევამ განაპირობა სასურველის მიღება, ის შემდგომშიც აუცილებლად გამოვლინდება.

**თვითდამაჯილდოებელი ქცევა**

ზოგიერთი ბავშვი, განსაკუთრებით ფსიქიკური ან ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე, მიმართავს განმეორებად სტერეოტიპულ ქცევას, რომელსაც თვითდამაჯილდოებელი ეფექტი გააჩნია. მაგ., ბავშვები ირწევიან წინ და უკან, ნოვენ თითს, იქნევენ ხელებს თვალების წინ, როდესაც შუქთან ახლოს სხედან, იფხანენ. ეს ქცევები, მართალია, საკმაოდ იშვიათია, მაგრამ მასწავლებლებს მათ შესამცირებლად შესაბამისი მეთოდები სჭირდებათ.

**ქცევის მართვის შესაძლო მეთოდები:**

- შეწყვიტეთ ბავშვის განმეორებადი, სტერეოტიპული ქცევა მისი საქმიანობაში ან დავალებაში ჩართვით (მაგ., კითხვა დაუსვით, ან მარტივი დავალება მიეცით; მაგ., დაურიგე ბავშვებს რვეულები და ა.შ.);
- დაეხმარეთ ბავშვს სტერეოტიპული ქცევიდან გადაერთოს სხვა, მისთვის სასიამოვნო ქცევაზე;

▪ დააჯილდოვეთ ბავშვი, როდესაც ის არ ახორციელებს თვითმასტიმულირებელ ქმედებას.

**გაფრთხილება:**

მოერიდეთ ბავშვის ქცევის იგნორირებას, როდესაც ის თვითმასტიმულირებელ ქცევას ახორციელებს. ეს ხელს შეუწყობს ამ ქცევის განმტკიცებას.

**როდის შევაფასოთ ქცევა**

არ არის აუცილებელი, რომ მასწავლებლებმა თითოეული ბავშვის ქცევის ღრმა ანალიზი გააკეთონ. მათ შესაძლოა ეს სტრატეგია დასჭირდეთ იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომწვევად, თავისთვის ან სხვებისთვის სახიფათოდ იქცევიან და ხელს უშლიან სასწავლო პროცესს.

ქცევის შეფასება ერთჯერადად კი არ ხდება, არამედ გარკვეული დროის პერიოდში მრავალჯერ.

ქცევის შედეგი და შესატყვისი ჩარევის სტრატეგიები

ქცევის შედეგი	ჩარევის სტრატეგიები
<p>გაქცევა/თავის არიდება</p>	<p><b>დავალებისთვის თავის არიდება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დააჯილდოვეთ თანამშრომლობისთვის;</li> <li>➤ ასწავლეთ, როგორ მიიღოს დახმარება;</li> <li>➤ ასწავლეთ გაქცევის ალტერნატიული გზები; მაგ. მშვიდად ჯდომა, თუ დავალებას არ ასრულებს ან მის მაგივრად სხვა, მისთვის სასიამოვნო საქმის გაკეთება;</li> <li>➤ დააჯილდოვეთ სასურველი ქცევისთვის;</li> <li>➤ თავდაპირველად შეამცირეთ დავალების მოთხოვნები და შემდეგ წარმატებისდა მიხედვით გაზარდეთ.</li> </ul> <p><b>სოციალური კონტაქტებისთვის თავის არიდება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სოციალური ყურადღება დააკავშირეთ ძლიერ დაჯილდოებასთან/განმტკიცებასთან;</li> <li>➤ დააჯილდოვეთ თანამშრომლობისთვის;</li> <li>➤ დააჯილდოვეთ სასურველი ქცევის გამოვლენისთვის.</li> </ul> <p><b>მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დავალებაზე ან მოთხოვნაზე უარის თქმას;</li> <li>➤ იგნორირებას.</li> </ul>



<p style="text-align: center;"><b>ყურადღების ძიება</b></p>	<p><b>ყურადღების ძიებისათვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გაზარდეთ ყურადღება სწორი ქცევისთვის;</li> <li>➤ შეამცირეთ ყურადღება პრობლემური ქცევისთვის;</li> <li>➤ ასწავლეთ ყურადღების მიქცევის ალტერნატიული გზები;</li> <li>➤ გამოიყენეთ იგნორირება, როგორც ბოლო შესაძლებლობა.</li> </ul> <p><b>მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ვერბალურ შენიშვნებს;</li> <li>➤ გაკვეთილის შეწყვეტას.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>მატერიალური ჯილდოს მოპოვება</b></p>	<p><b>მატერიალური ჯილდოების მოსაპოვებლად</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ არ მისცეთ სასურველი საგანი;</li> <li>➤ ასწავლეთ საგნის მისაღებად ქცევის სწორი გზები;</li> <li>➤ მიეცით სასურველ საგნებთან ხშირი ურთიერთობის საშუალება;</li> <li>➤ გამოიყენეთ ჯარიმები, როგორც ბოლო შესაძლებლობა.</li> </ul> <p><b>მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პრობლემური ქცევის შედეგად სასურველი საგნისა თუ აქტივობის მიღებას.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>თვითდაჯილდოება</b></p>	<p><b>თვითდაჯილდოებისათვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ გაზარდეთ დაჯილდოების ალტერნატიული წყაროების რაოდენობა;</li> <li>➤ შეწყვიტეთ, სხვა მიმართულება მიეცით არასასურველ ქცევას;</li> <li>➤ დააჯილდოვეთ, როცა პრობლემური ქცევა არ არის, ან შემცირდა.</li> </ul> <p><b>მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ იგნორირებას.</li> </ul>



ინკლუზიური კლასის ფორმირებისას მასწავლებელთა მხრიდან ხშირად შეშფოთების საგანს წარმოადგენს პრობლემური ქცევის კიდევ ერთი სახეობა – ბავშვების აგრესიული ქცევა. ხშირ შემთხვევაში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების აგრესიული ქცევა კომუნიკაციის ისეთივე საშუალებაა, როგორც უბრალოდ მისაღმება ან სხვებთან დიალოგი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ზუსტი განსაზღვრა, ბავშვის აგრესიული ქცევა, გარემოსთან ურთიერთობის მწირი შესაძლებლობების გამო, კომუნიკაციის ფუნქციას ასრულებს, თუ სახეზეა ნამდვილი აგრესია. ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ უფრო დანვრილებით შევჩერდებით ისეთ პრობლემურ ქცევაზე, როგორცაა ე.წ. აგრესიული ქცევა და განვიხილავთ მისი გამოვლენის ფორმებს, გამწვავების საფეხურებსა და შესაძლო მართვის სტრატეგიებს.

## **აგრესიული ქცევა**

აგრესია ყოველდღიურ ცხოვრებაში და სკოლაშიც სხვადასხვა სახით ვლინდება. ის შეიძლება მიმართული იყოს როგორც ერთი ან რამდენიმე მოსწავლის მიერ სხვა მოსწავლეების, მასწავლებლების, სასკოლო ნივთების წინააღმდეგ, ასევე საკუთარი თავის წინააღმდეგაც. ფსიქოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აგრესიულ ქცევას მოსწავლეებში სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებს:

- 1) *სხვებისგან სარგებლის მიღება;*
- 2) *არასასურველი სიტუაციისგან თავის დაღწევა;*
- 3) *თანატოლებში ყურადღების, პრესტიჟის მოპოვება.*

ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა სტრატეგიას, რომელთა მიზანია აგრესიული ქცევის შემცირება. თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია თავდაპირველად აგრესიული ქცევის მიზეზების გარკვევა და შემდეგ მასთან გამკლავება. ყოველ კონკრეტულ ქცევასთან დაკავშირებით პასუხი უნდა გავცეთ შემდეგ კითხვას: რას ემსახურება აგრესიული ქცევა – გამოიყენება წარმატების მისაღწევად, პრესტიჟისთვის ან

გაქცევითვის, თუ მათი კომბინაციაა?

აგრესიული ქცევის მართვისას აუცილებელია, ყურადღება გადავიტანოთ *პრევენციულ ღონისძიებებზე*, ვინაიდან საწყის ეტაპზე აგრესიულ ქცევასთან უფრო ადვილია გამკლავება, ვიდრე შემდგომ მისი შეჩერება და მის შედეგებთან ბრძოლა.

## **აგრესიული ქცევის პრევენციისა და შემცირების სტრატეგიები**

### ***მშობლების ჩართვა დახმარების პროცესში***

მშობლებმა უნდა იცოდნენ შვილის ქცევისა და დაგეგმილი დახმარების შესახებ. ისინი ჩართული უნდა იყვნენ როგორც სტრატეგიების შემუშავების, ისე ამ სტრატეგიების განხორციელების პროცესში. ეს ბავშვს სწორი ქცევის განზოგადების საშუალებას მისცემს. მშობლებისა და სკოლის წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობა ხორციელდება თანმიმდევრული, დაგეგმილი შეხვედრების, სატელეფონო ზარებისა და დღიურის საშუალებით. მშობლები შეიძლება დაეხმარონ მასწავლებლებს ადეკვატური დაჯილდოების სტრატეგიების შემუშავებაში.

### ***დამსჯელი გარემოს აღკვეთა***

დამსჯელი გარემო ხელს უწყობს აგრესიული ქცევის სიხშირის მომატებას. რაც უფრო მეტად შეძლებთ ამ ტიპის გარემოსგან თავის დაღწევას, მით უფრო შეამცირებთ აგრესიული ქცევის გამოვლენის სიხშირეს. ქვემოთ ჩამოთვლილია აგრესიის გამომწვევი წინაპირობების მაგალითები. მათი გათვალისწინებით შეძლებთ აგრესიული ქცევის გამოვლენის მინიმუმადე დაყვანას:

1) მასწავლებლის ან თანაკლასელების მხრიდან ზედმეტი შენიშვნები, ან ნახალისების ნაკლებობა;

2) აკადემიური წარუმატებლობის ხშირი გამოცდილება;

3) ხშირი შეცდომები და მათზე მინიშნება;

4) საკლასო რუტინაში მოულოდნელი ცვლილებები.

### **მისაღები სოციალური ჩვევების ჩამოყალიბება**

მოსწავლეთა ნაწილი აგრესიულად იქცევა, რადგან მათ არ გააჩნიათ ადეკვატური სოციალური ჩვევები. მაგ., ბავშვმა, რომელიც ძალით ართმევს თანაკლასელს რაიმე ნივთს, სავარაუდოა, არ იცის, თუ როგორ შეიძლება იმავე მიზნის მიღწევა ზრდილობიანი თხოვნით, ანდა თავისი რიგის დალოდებით. მოსწავლემ შეიძლება მიმართოს აგრესიულ ქცევას მისთვის არასასურველი სიტუაციის (მაგ., როგორიცაა დაცინვა, ზენოლა, ჩხუბი), თავიდან ასაცილებლად (აღსაკვეთად ან გასაქცევად). ამ მოსწავლეებს, მიზანშეწონილია, ვასწავლოთ მსგავს შემთხვევებში მისაღები სოციალური ქცევები, როგორიცაა პრობლემური სიტუაციისათვის თავის არიდება, დახმარების თხოვნა და ა.შ. ამისთვის კი საჭირო ხდება სოციალური უნარების ტრენინგის განხორციელება.

### **იმ ქცევების განსაზღვრა, რომლებიც აგრესიის პოტენციურ ესკალაციაზე მიანიშნებენ**

როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ბავშვისთვის აგრესიული ქცევა წარმოადგენს არასასურველი სიტუაციისა თუ პირობისათვის თავის არიდების საშუალებას, ან ყურადღების მოსაპოვებელ მოქმედებას. მსგავსი ქცევა გამწვავებამდე რამდენიმე საფეხურს გაივლის; ადრეულ ეტაპზე ჩარევა ხელს უწყობს აგრესიული ქცევის ესკალაციის თავიდან აცილებას. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია შესაძლო საფეხურები და ინტერვენციები (ჩარევა).

<p>აგრესიისკენ მიმავალი შესაძლო საფეხურები</p>	<p>შესაძლო ჩარევა</p>
<p><b>ა დ რ ე უ ლ ი საფეხური:</b>                  ბავშვმა შეიძლება მოიწყინა: დადო თავი მერხზე, ან ჩარგო ხელებში; ხელი სტაცა თანაკლასელის ფანქარს და ფანქარი გადაუტყდა წერის დროს.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>☞ ყურადღებით მოისმინეთ, თუ რა აქვს ბავშვს სათქმელი.</li> <li>☞ ეცადეთ, იყოთ არადირექტიული, ემპათიური; დაეხმარეთ დავალების შესრულებაში მანამდე, სანამ არ დაინახავთ, რომ ქცევის მიზანს ყურადღების ძიება წარმოადგენს. თუ ეს ყურადღების ძიებაა, უთხარით, რომ რაც უფრო სწრაფად დაინყებს საქმის კეთებას (დავალების შესრულებას), მით მალე მიიქცევეს ყურადღებას.</li> <li>☞ დაეხმარეთ ბავშვს დავალების შესრულების დაწყებაში; თუ ატყობთ, რომ დავალება მისთვის რთულია, შეცვალეთ უფრო ადვილი დავალებით.</li> <li>☞ ასწავლეთ ბავშვს, როგორ ითხოვოს დახმარება შესატყვის სიტუაციაში.</li> </ul>

<p><b>შუა საფეხური:</b>  ბავშვი შესაძლოა ქმუჭნიდეს ან ხევდეს ქალაღდს; აგდებდეს წიგნს დაბლა ან მერხზე; უარს ამბობდეს დავალების შესრულებას; აკრიტიკებდეს სწავლებას; ყვიროდეს, კამათობდეს, ჩხუბობდეს მასწავლებელთან ან სხვა ბავშვებთან. აშინებდეს, ან ემუქრებოდეს მასწავლებელს ან სხვა ბავშვებს.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>☞ ამ შემთხვევაშიც შესაძლოა გამოგადგეთ ადრეული საფეხურისათვის მოცემული რჩევები; მაგრამ, თუ ბავშვი ზედმეტად აგზნებულია, მას შეიძლება მოსთხოვოთ მშვიდ, იზოლირებულ ადგილას გადაჯდომა (თუ ქცევის მიზანი არაა გაქცევა).</li> <li>☞ ბავშვის დამშვიდების შემდეგ გამოიყენეთ პირველი საფეხურის სტრატეგიები.</li> <li>☞ თუ ქცევის ფუნქციაა არასასურველი დავალებისთვის თავის არიდება, მიდით ახლოს, გამოიყენეთ ემპათია (შეფასების გარეშე თქვენი სიტყვებით გამოხატეთ მოსწავლის განცდები. უთხარით, რომ გესმით მისი გაღიზიანება, მაგრამ დარწმუნებული ხართ, დავალებას კარგად გაართმევს თავს).</li> <li>☞ მიეცით არჩევანის საშუალება, გააკეთოს დავალება მთლიანად ან ნაწილობრივ, დახმარებით.</li> <li>☞ თანდათანობით ასწავლეთ ბავშვს დახმარების თხოვნა (ეს მისცემს ყურადღების მისაღები გზით მოპოვების საშუალებას და ამავე დროს, შეამცირებს დავალების სირთულით გამოწვეულ უსიამოვნებას).</li> </ul>
<p><b>აგრესიის საფეხური:</b>  ისვრის სკამს ან მერხს; ცდილობს საკუთარი თავის, მასწავლებლის ან სხვა ბავშვების დაზიანებას.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>☞ ეს ქცევა არ უნდა დაუშვათ. გამოიყენეთ ქცევის მართვის თქვენ მიერ აპრობირებული სტრატეგიები, ან ჩართეთ სკოლის ადმინისტრაცია.</li> <li>☞ მეორე დღეს, ზოგადად, <b>პიროვნებაზე მითითებისა და მინიშნების გარეშე</b>, კლასთან ერთად განიხილეთ მსგავსი სიტუაციები და მათი დაძლევის გზები.</li> </ul>

## აგრესიული ქცევის მართვის ძირითადი სტრატეგიები

მოცემული სტრატეგიები ეფექტურია აგრესიის ჩამოყალიბების მეორე საფეხურზე:

- ესაუბრეთ ბავშვს მშვიდად, ერთი-ერთზე.
- თავი აარიდეთ საჯარო განცხადებებსა და მტკიცებებს. ესაუბრეთ პატივისცემით. თავი აარიდეთ ცივ, ავტორიტარულ ტონს. ხმამაღალი, საჯარო საუბარი ხელს უწყობს აგრესიის ესკალაციას.
- თავი აარიდეთ ნეგატიური სხეულებრივი ენის გამოყენებას (მაგ., ხელების ქნევა, დონჯი).
- თავი აარიდეთ ძალაუფლების გამოყენებას. ნუ გამოიყენებთ: „მე არ მინდა!“ „შენ უნდა!“ - არგუმენტებს.
- იყავით ლაკონური და ნუ გამოიყენებთ გრძელ წინადადებებს;
- ბავშვთან საუბრისას მიმართეთ „თვალი-თვალში“ ურთიერთობას. თუ ბავშვი ზის, მაშინ ჩაიმუხლეთ, ან დაჯექით მის გვერდზე. ნუ დაადგებით ბავშვს თავზე; ეს ძალიან უსიამოვნოა ბავშვისთვის;
- შეწყვიტეთ განხილვა, თუ პრობლემა მძაფრდება. მოერიდეთ ბავშვს და დაუძახეთ სკოლის ადმინისტრაციას.
- ნუ შეუწყობთ ბავშვს ხელს, გადაიტანოს აგრესია საგნებზე. მაგ., დახიოს წიგნი, გადაამტვრიოს კალამი და ა.შ. მონაცემები მოწმობენ, რომ ეს აგრესიის გამძაფრებას უწყობს ხელს.
- ხაზი გაუსვით თანამშრომლობას. მაშინვე აგრძობინეთ ბავშვს, რომ მოხარული ხართ, დაეხმაროთ და ერთად გაარკვიოთ, რა ანუხებს.

## აგრესიული ქცევის ტიპები

### შეუსაბამობა: უარყოფა და წინააღმდეგობა

მოსწავლეთა ფიზიკური აგრესია ხშირად იწყება მასწავლებლის მოთხოვნისგან, გააკეთონ კონკრეტული დავალება, რასაც ბავშვის მხრიდან მოჰყვება უარი, ფიზიკური ან სიტყვიერი კონფრონტაცია. მსგავსი სიტუაცია ხშირად არღვევს ურთიერთო-

ბას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და იწვევს მასწავლებლის უარყოფას. ზოგჯერ მასწავლებლები თავს არიდებენ ასეთი ბავშვისთვის დავალებების მიცემას ან მოთხოვნას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ბავშვის სწავლაზე, ბავშვი ამოვარდნილია სასწავლო პროცესიდან. **იქმნება ჩაკეტილი წრე:**

მასწავლებელი აძლევს დავალებას ⇨ ბავშვი ამბობს უარს; მასწავლებელი ითხოვს შესრულებას ⇨ ბავშვი გადადის ფიზიკურ ან ვერბალურ აგრესიაზე; ⇨ მასწავლებელი გრძნობს წარუმატებლობას ⇨ ბავშვი აღწევს შედეგს, მას აღარ სთხოვენ დავალების შესრულებას. მასწავლებელი, ფაქტობრივად, იგნორირებას უკეთებს ბავშვს სიტუაციის გამძაფრების თავიდან ასაცილებლად. შედეგად მოსწავლე ზის გაკვეთილზე, მაგრამ მონაწილეობას არ იღებს სასწავლო პროცესში.

### **დახმარება თანამშრომლობისთვის (დავალების შესრულების მისაღწევად და უარის თქმის შესამცირებლად)**

მასწავლებელი მოსწავლისგან უარს ხშირად მაშინ იღებს, როდესაც მოსწავლეს არ შესწევს დავალების შესრულების უნარი, იგი ვერ იგებს მოთხოვნას, თავს ცუდად გრძნობს, ემოციურად დაძაბულია, ან ეძებს თანატოლებისგან აღიარებას. ხშირად უარის თქმა არასასურველი სიტუაციისგან თავის დაღწევის ან ყურადღების მიღების საშუალებაა.

*შემდეგი რჩევები ხელს უწყობს ამ პრობლემის შემცირებას:*

- ჩართეთ მოსწავლეები საკლასო ოთახის წესების ჩამოყალიბებაში;
- დავალება მოსწავლესათვის გასაგებ ენაზე დაწერეთ დაფაზე და აჩვენეთ, თუ როგორ, რა გზითაა შესაძლებელი მისი შესრულება;
- მიიქციეთ მოსწავლის ყურადღება, მიმართეთ სახელით და დაამყარეთ თვალებით კონტაქტი მოთხოვნის წაყენებამდე;
- გამოიყენეთ მარტივი, პირდაპირი ბრძანებები, ერთდროულად რამდენიმე ქცევის განხორციელების მოთხოვნის მიზნით, გავრცობილი ფრაზების გარეშე; მაგ., „მარი, გთხოვ, დაჯდე შენს ადგილას“ – და არა – „მარი, რამდენჯერ უნდა



გითხრა, დარჩი შენს ადგილას“; „შენ დააგვიანე და არა გაქვს დავალება. რატომ არ გააკეთე? ნუ მაიძულებ, ისევ დაგსაჯო არასწორი ქცევისათვის!“

- ილაპარაკეთ მშვიდად, არ იყვიროთ;
- ეცადეთ ბრძანებების მაქსიმალურად მცირე რაოდენობა გამოიყენოთ;

- ეცადეთ, იყოთ ბავშვების აქტიურობის ინიციატორი და არა შემაჩერებელი; მაგ. იმის მაგივრად, რომ აუკრძალოთ მოსწავლეს მეზობელთან საუბარი, მშვიდად სთხოვეთ რაიმე აქტივობის დაწყება;

- ყურადღება არ მიაქციოთ წინააღმდეგობას (იგნორირება), თუ მოსწავლე აგზნებულია. გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება: „როგორც ჩანს, რაღაც განუხებს. შემოიძლია რაიმეთი დაგეხმარო? გინდა, დამელაპარაკო ამის შესახებ დასვენებაზე ან გაკვეთილების შემდეგ?“;

- გამოიყენეთ სიტუაციისა და ქცევის მოდელირება (მაგალითის ჩვენება) იმ მოსწავლეების ჩართვით, რომლებიც მაშინვე ასრულებენ თქვენს მოთხოვნებს;

- ასწავლეთ ალტერნატიული გზები; მაგ. თხოვნა თანამშრომლობისათვის, ან პრობლემის გადაჭრისათვის;

- გამოიყენეთ ქცევის იმპულსი; მოსწავლე უფრო მზადაა, დაემორჩილოს მოთხოვნას, თუ მას წინ უძღვის მისთვის მისაწვდომი მოთხოვნათა სერია. მაგ., წაუყენეთ 3 ან 5 მარტივი მოთხოვნა, რომლებსაც მოსწავლე ადვილად და სიამოვნებით ასრულებს; შეაქეთ, შემდეგ მოითხოვეთ ის, რაც მოსწავლეში ნაკლებ ენთუზიაზმს იწვევს და კვლავ აღნიშნეთ მისი კარგი ქცევა;

- მიეცით მოსწავლეებს საშუალება, აირჩიონ ის აქტივობა, რომელიც მათ სურთ მას შემდეგ, რაც შეასრულებენ თქვენს მოთხოვნას;

- თანდათან შეამცირეთ დახმარებათა რაოდენობა, როდესაც დაინახავთ, რომ მოსწავლემ ისწავლა სწორად მოქცევა;

- თუ ქცევა მწვავედება, დაანებეთ ბავშვს თავი; სცადეთ, გაიყვანოთ იზოლირებულ ან ნეიტრალურ ადგილას და პირისპირ განიხილეთ შექმნილი პრობლემები.

## **ბილნსიტყვაობა**

ბილნსიტყვაობა ბავშვების მიერ ხშირად გამოიყენება თანატოლებთან ყურადღებისა და აღიარების მოსაპოვებლად. ბილნსიტყვაობამ შეიძლება გამოიწვიოს აგრესიის ესკალაცია, რაც ეხმარება ბავშვს, თავი დააღწიოს არასასურველ სიტუაციას. ბავშვი მიმართავს ამ მიუღებელ ქცევას რაიმე ობიექტისა თუ აქტივობის მოსაპოვებლადაც. ნებისმიერ შემთხვევაში, ბილნსიტყვაობა ხელშემშლელია საკლასო აქტივობებისათვის და აღკვეთას საჭიროებს.

### **ჩარევა:**

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ განვიხილავთ, რისი გაკეთება არ არის მიზანშეწონილი:

### **არ შეიძლება:**

- ბილნსიტყვაობის იგნორირება იმ იმედით, რომ ის შეწყდება. ბილნსიტყვაობა აგრესიასთან დაკავშირებული ქცევაა. აგრესიული ქცევა ხშირად სხვების მიერ არის პროვოცირებული, განსაკუთრებით ბიჭებში. თანატოლები მზად არიან, ყურადღება მიაქციონ და დააჯილდოვონ ეს ქცევა. ამრიგად, მასწავლებლის მიერ ქცევის იგნორირება არ გამოიწვევს ქცევის გამომწვევი პირობების შემცირებას და დაჯილდოების შეწყვეტას. უფრო მეტიც, იგნორირება შეიძლება დაეხმაროს ბავშვს მიზნის მიღწევაში. თუ მასწავლებელი იგნორირებას უკეთებს ქცევას, ან ბავშვს, საკლასო ოთახში ხელის შემშლელი სიტუაცია გაუარესდება.

- თავი აარიდეთ შენიშვნებს, ჭკუის სწავლებას ან ხელმეორედ მითითებებს, თუ ბავშვის ქცევის მიზანია ყურადღების მიქცევა.

- მოერიდეთ ზედმეტად მწვავე რეაგირებას. ბავშვი ან მოზარდი შეიძლება ამ დროს კიდევ უფრო გაღიზიანდეს.

სკოლაში დამკვიდრებული წარმატებული პრაქტიკა გვთავაზობს ეფექტური დახმარების გზებს, თუ გავითვალისწინებთ იმ მიზანს, რასაც ემსახურება ბავშვის ქცევა.

### **შეიძლება:**

- დაიხმაროთ მოსწავლეები იმ მიზეზის გამოვლენაში,

რომელიც იწვევს ბილნსიტყვაობას, რაც შესაძლებელია საკლასო დისკუსიის ან წერიტი დავალების საშუალებით.

- განაცხადეთ, რომ ბილნსიტყვაობა მიუღებელია კლასში და ახსენით, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ბილნსიტყვაობა მისაღები ქცევა;

- კლასთან ერთად ეცადეთ, იპოვოთ ბილნსიტყვაობის ალტერნატიული ქცევები და დაანესოთ კლასში მისაღები მეტყველების ფორმები, რომელთაც განამტკიცებთ ნახალისებით;

- დააჯილდოვეთ „კარგი“ სიტყვების გამოყენება;

- ასწავლეთ იმედგაცრუების გამოხატვის ალტერნატიული გზები;

- გამოავლინეთ და მოაშორეთ გამომწვევი მიზეზები;

- ჩართეთ კლასი დაჯილდოების პროგრამაში, რომელიც გამოხატავს კლასის კმაყოფილებას არაბილნსიტყვაობის შემთხვევაში. ეს შეამცირებს ბილნსიტყვაობას ყურადღების მიქცევის მიზნით.

### **აგრესიული ქცევის მართვა კრიზისულ სიტუაციაში**

#### **ჩხუბი**

კონფლიქტურ სიტუაციასთან გამკლავება:

- სცადეთ კონფლიქტური სიტუაციის შეფასება (რა შეიძლება იყოს გათვალისწინებული და რა კითხვები იქნება მიზანშეწონილი). ამისთვის აუცილებელია, პასუხი გასცეთ შემდეგ კითხვებს:

- რა მოხდა?

- ვინ იღებს მონაწილეობას?

- რა ვიცი მათ შესახებ?

- კონფლიქტი მხოლოდ ვერბალურ აგრესიაში გამოიხატება თუ ფიზიკურიცაა?

- რამდენად „ჩართული“ არიან მონაწილემდეგნი?

- რას ფიქრობენ მოსწავლეები ჩემ შესახებ? მე ვარ მონაწილემდეგე? მტერი? კიდევ ერთი თავდამსხმელი?

- სცადეთ აუდიტორიისა და ერთ-ერთი მონაწილემდეგის გარიდება სიტუაციიდან.

- თუ მონაწილემდეგები არ წყვეტენ ჩხუბს, მაშინ:

- სცადეთ ყურადღების თქვენს თავზე გადმოტანა:
  - ყვირილი – მოთხოვნით, მოგისმინონ;
  - წინასწარ მომზადებული მოულოდნელი, „უცნაური“ კომენტარებისა თუ მოქმედებების გამოყენება („გუშინ მთვარეზე გავფრინდი“, „ღამის შოუში შონზომ იტირა“).
- თანდათანობით გაზარდეთ დაპირისპირებული ქცევის შეზღუდვები:
  - მათ შეუძლიათ ნებისმიერი სიტყვების გამოყენება, მაგრამ ხმას არ უნდა აუწიონ;
  - ილაპარაკონ დაბალ ხმაზე, სალანძლავი სიტყვებისა და შეურაცხყოფის გარეშე.
  - აუხსენით, რატომაა უკეთესი კონფლიქტის ვერბალური გადაჭრა.
    - იკითხეთ, რა გახდა კონფლიქტის მიზეზი; სთხოვეთ, მოგცენ მცირე დრო, აუხსნათ, თუ რა უნდა გააკეთონ ამ სიტუაციაში;
    - გაახმოვანეთ თქვენი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება;
    - შეინარჩუნეთ სიმშვიდე და სთხოვეთ საუბრის მშვიდ გარემოში გაგრძელება მაყურებლების გარეშე;
      - დაეხმარეთ ბავშვებს, გააცნობიერონ საკუთარი ემოციები:
        - მსჯელობის დაწყებისას არასოდეს უთხრათ მოსწავლეს „დამშვიდდი“;
        - არ დააკნინოთ პრობლემა, რომელმაც გამოიწვია კონფლიქტი;
        - არ შეეხოთ ნებართვის გარეშე;
        - გამოხატეთ კეთილგანწყობა და მზაობა, მოუსმინოთ;
        - მიეცით ბავშვებს საკუთარი ემოციების გამოხატვის საშუალება:
          - მოუსმინეთ სიმპათიით;
          - დაამყარეთ თვალებით კონტაქტი;
          - მოსმენისას არავერბალური მიმანიშნებლებითა და მოკლე ფრაზებით გამოხატეთ თქვენი ყურადღება;
          - ჩაინერეთ ან გაიმეორეთ მოსწავლის ნათქვამი და ეცადეთ, გამოათქმევინოთ ყველა ჩივილი და განცდა.

➤ დაეხმარეთ ბავშვს, მოძებნოს გამოსავალი კონფლიქტური სიტუაციიდან:

▪ შესთავაზეთ კონფლიქტის თავიდან არიდების მისაღები გზა. მაგ., დახმარების თხოვნა რაიმე აქტივობაში, ცუდად ყოფნის მიზეზით ექიმის ოთახში გაცილება, ან უფრო მშვიდ გარემოში წასვლა პირისპირ სასაუბროდ, მონმეების გარეშე.

ამრიგად, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ სიმშვიდის შენარჩუნება უმთავრესია ბავშვის აგრესიულ ქცევასთან გასამკლავებლად.

## **დამხმარე საშუალებების გამოყენება და მოდიფიკაცია**

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლებაში მასწავლებლებს ქცევის მართვისა და შეფასების ადეკვატური სტრატეგიების გარდა, სხვადასხვა დამხმარე საშუალებებისა და მოდიფიკაციების გამოყენება მართებთ. ჩვეულებრივ, პედაგოგებს არ მოეთხოვებათ ყველა სტრატეგიისა და დამხმარე საშუალების ცოდნა. ამ მიზნით სკოლაში უნდა არსებობდეს სპეციალური განათლების მასწავლებელი, ვინც მზად იქნება დახმარებისა და ხელშეწყობისთვის, მაგრამ ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

ქვემოთ მოყვანილია სტრატეგიებისა და დამხმარებების ჩამონათვალი, რომელიც მიმართულია განსხვავებული საჭიროებების მქონე ბავშვისთვის ადეკვატური სწავლებისა და დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. სიაში მოცემული ნებისმიერი აკომოდაცია თუ მოდიფიკაცია გამოიყენება მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა თუ ქცევის მართვის სტრატეგიების შემუშავების დროს.

### **მეხსიერების დამხმარე საშუალებები და აკომოდაციები**

- გამოიყენეთ ვიზუალური ან გრაფიკული ინსტრუქციები წესების, პროცედურებისა და მოქმედებების დასამახსოვრებლად;
- გამოიყენეთ ასოციაციური სტრატეგიები და სხვა მეთოდები მეხსიერების დასახმარებლად მათემატიკური ფაქტების, მართლწერის, ლექსიკონისა და სხვა გაკვეთილების სწავლების დროს;
- გამოიყენეთ მელოდია და რითმი ინფორმაციის დამახსოვრებისას;
- გამოიყენეთ გასაკეთებელ საქმეთა სია;
- მითითებების მოსმენის შემდეგ თანამეწყვილებს კიდევ ერთხელ განუსაზღვრეთ შესასრულებელი სამუშაო;
- მნიშვნელოვნად გაზარდეთ გამეორებისა და ვარჯიშის შესაძლებლობები;
- უზრუნველყავით დამახსოვრების საშუალებები მათემატიკისთვის, როგორცაა რიცხვების რიგები, გამრავლების ტაბულა და ცხრილები, ფურცელი ფორმულებითა და მოქმედებების თანმიმდევრობით, ასევე კალკულატორი;
- გამოიყენეთ ჩამონათვალი, დავალებათა ბარათები, შედეგების შემხსენებლები და მითითებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

### **წერიტი აკომოდაციები და მოდიფიკაციები**

- შეამცირეთ წერილობითი დავალებების რაოდენობა;
- უზრუნველყავით წერაში სუსტი მოსწავლე სხვა მოსწავლის საკლასო ჩანაწერების ასლით;
- მიეცით კომპიუტერის გამოყენების საშუალება წერილობითი დავალებების შესასრულებლად (და უზრუნველყავით კომპიუტერით);
- მიეცით საშუალება, გამოავლინოს ცოდნა წერის ალტერნატიული საშუალებებით (მაგ., ზეპირი გამოცდა, პროექტები, დემონსტრაციები, ვიზუალური გამოსახულებები);
- ნება დართეთ, პასუხი გასცეს პირდაპირ ფურცელზე ან ტესტის ბუკლეტში, ვიდრე გადაწეროს პასუხები სხვა ფურცელზე ან პასუხების გვერდზე;
- მიეცით დამატებითი დრო წერილობითი პასუხებისთვის;
- დასაშვებია, მოსწავლემ უკარნახოს პასუხები, როდესაც ვინმე სხვა იწერს მათ;
- მიეცით მოსწავლეს მექანიკური ფანქარი;
- შეურჩიეთ ფანქრის გრიფი, რათა ბავშვისთვის ფანქრის გამოყენება კომფორტული იყოს;
- უზრუნველყავით მოსწავლე სპეციალური დაფით, რომელზეც შეძლებს ფურცლების დამაგრებას;
- სცადეთ ხაზებს შორის სხვადასხვა დაშორებების მქონე ფურცლების გამოყენება: წერის პრობლემების მქონე ბავშვებისგან ზოგი კარგად წერს ხაზებს შორის დიდი დაშორების მქონე ფურცელზე, ზოგი პირიქით – მცირე დაშორების მქონე ფურცელზე;
- განუმარტეთ მოსწავლეებს, რას ელით მათი ნაწერისგან – მიეცით დავალების შესრულების მკაფიო კრიტერიუმები;
- უზრუნველყავით პირდაპირი დახმარება და მხარდაჭერა (მაგ., აზრებისა და მსჯელობის ორგანიზებაში).

### **კითხვის აკომოდაციები**

- უზრუნველყავით მოსწავლე საკითხავი ლიტერატურით მისი კითხვის უნარისა და ინტერესების გათვალისწინებით;
- გამოიყენეთ გრაფიკული სქემები ტექსტის გაგებისათვის;
- გამოიყენეთ აუდიო წიგნები, თუ შესაძლებელია;
- გამოიყენეთ პირდაპირი, სისტემატური ინსტრუქციები კითხვაში სიძნელეების დასაძლევად;
- გაზარდეთ კითხვის დრო და კითხვასთან დაკავშირებული სავარჯიშოები;
- ინსტრუქციები და დავალებები ხმამაღლა წაუკითხეთ მოსწავლეს და გადაამოწმეთ, რამდენად გაიგო.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში წარმატებით ჩართვისათვის, კლასის ორგანიზაციასა და მართვასთან ერთად, აუცილებელია ის ინსტრუმენტი, რომელიც თანამონაწილეობის ხელშეწყობით, ცოდნის შექმნისა და უნარების განვითარების საშუალებას მისცემს მოსწავლეს. ასეთი საშუალებაა ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მისი პიროვნული ზრდისა და სასწავლო მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.



## ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა

არავისთვის არ წარმოადგენს სიახლეს ის ფაქტი, რომ განათლება სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადი და საერთო სასწავლო ეროვნული გეგმის/კურიკულუმის შესაბამისად ხორციელდება. ეს გეგმა დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ და მოიცავს მოთხოვნებს, რომელიც იდენტიურია ყველა მოსწავლისათვის.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო მეტად ექცევა ყურადღება მოსწავლეთა ინდივიდუალურ უნარებს და პოპულარული ხდება სწავლების ის მეთოდები, რომლებიც ინდივიდის საჭიროებებზეა ფოკუსირებული.

სხვადასხვა ქვეყანაში აქტიურად დაიწყო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში და ამის ფონზე გამოიკვეთა ეროვნული სასწავლო გეგმის გვერდით **ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის (ი.ს.პ) არსებობის აუცილებლობა**. ი.ს.პ. კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა; მუშავდება განათლების ისეთი პროგრამა, რომელიც ყველაზე მეტად ადეკვატურია კონკრეტული მოსწავლისათვის.

ასეთი სახის პროგრამა საუკეთესო გზაა, ერთი მხრივ, უმტკივნეულოდ ჩავართოთ ბავშვი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში და მეორე მხრივ, დავიცვათ იმ შეუსაბამო მოთხოვნებისა და მოლოდინისგან, რომლებიც ხშირად გააჩნიათ როგორც მშობლებს, ასევე სკოლასა და მასწავლებლებს კონკრეტულ ბავშვთან დაკავშირებით.

ი.ს.პ. საშუალებას იძლევა:

- ✓ ზუსტად შევაფასოთ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები და საჭიროებები;
- ✓ შევადგინოთ ბავშვის უნარების ადეკვატური პროგრამა და გავანაწილოთ როლები და პასუხისმგებლობა კონკრეტული მიზნების მისაღწევად;
- ✓ ჩავართოთ მოსწავლის სწავლების პროცესის დაგეგმვაში მშობლები თუ სხვა პასუხისმგებელი პირები და მათთან ერთად გადავწყვიტოთ, რა უფრო მნიშვნელოვანია ბავშვისთვის;

✓ სისტემატურად გადავამოწმოთ, ჩვენ მიერ შემუშავებულ პროგრამას მივყავართ თუ არა დასახული მიზნებისკენ და საჭიროების შემთხვევაში, სწრაფად განვახორციელოთ ცვლილებები.

ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, ახალი ზელანდია, ავსტრალია, კანადა, ინგლისი) მიღებულია სპეციალური კანონი, რომელიც სკოლას ავალდებულებს, აწარმოოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა (მაგ. აშშ-ში ცნობილი IDEA 1997. IDEA 2004). ამ კანონით რეგულირდება ბავშვის საგანმანათლებლო მოთხოვნის განსაზღვრა, მისი სწავლებისთვის საჭირო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პროცედურები. სხვა ქვეყნებში ი.ს.პ.-ს წარმოება არ წარმოადგენს კანონის მოთხოვნას, მაგრამ სპეციალისტები აცნობიერებენ ი.ს.პ.-ს სარგებელს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის.

## **რა არის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა?**

**ი.ს.პ. წერილობითი დოკუმენტია**, შექმნილი იმ მოსწავლესთვის, რომლებიც ვერ სწავლობენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. ი.ს.პ.-ში ასახულია სასწავლო მიზნები, რომლებსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ დროის განსაზღვრულ პერიოდში, სწავლების სტრატეგიები და ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია ი.ს.პ.-ში დასახული მიზნების მისაღწევად.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო, ანუ სასწავლო პროგრამა, როგორც წერილობითი დოკუმენტი, შედგება 7 კომპონენტისაგან:

1. ინფორმაცია მოსწავლის შესახებ;
2. მოსწავლის ფუნქციონირების დონე, რაც აისახება მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერაში;
3. სასწავლო მიზნები;
4. მისაღწევი შედეგები;
5. სწავლების მეთოდები, სტრატეგიები და მასალები;
6. გუნდის წევრების ვინაობა და სპეციალობა (ვინც უნდა

განახორციელოს ი.ს.პ.);

7. შეფასების გეგმა და განრიგი.

*ი.ს.პ. გამიზნულია იმისთვის, რომ დაეხმაროს:*

➤ მასწავლებლებსა და სხვა სპეციალისტებს შედეგიანი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში;

➤ სამეურვეო საბჭოსა და სკოლის ადმინისტრაციას, გა-  
არკვიოს, თუ რა არის მათი პასუხისმგებლობა კონკრეტულ  
ბავშვთან დაკავშირებით;

➤ მშობლებს, მიიღონ არა მხოლოდ ამომწურავი ინფორ-  
მაცია ბავშვისთვის შექმნილი პროგრამის შესახებ, არამედ  
აქტიური მონაწილეობაც საკუთარი შვილების სასწავლო მიზ-  
ნების დასახვაში.

ამრიგად, ი.ს.პ. შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროდუქ-  
ტი. ეს პროდუქტი მიიღება ინდივიდუალური სწავლების დაგეგ-  
მვის აქტიური და ცოცხალი პროცესის შედეგად, რომელშიც  
მონაწილეობენ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის,  
ასევე სპეციალური განათლების მასწავლებლები, მშობელი,  
სკოლის ფსიქოლოგი, თუ საჭიროა, სხვა სპეციალისტები და  
ბავშვი. ი.ს.პ.-ს შედეგიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს  
ის, თუ რამდენად ეფექტიანად იმართება მისი დაგეგმვისა და  
განხორციელების პროცესი და როგორია ურთიერთთანამ-  
შრომლობის ხარისხი გუნდის წევრებს შორის.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის ძირითა-  
დი ქვაკუთხედი ბავშვის სასწავლო საჭიროებებია. დაგეგმვის  
პროცესის შედეგად შესაძლებელი ხდება ეროვნული სასწავ-  
ლო გეგმის ცვლილება და მორგება კონკრეტული მოსწავლის  
საჭიროებების შესაბამისად.

მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახის სასწავლო  
საჭიროება, მაგრამ მათგან მხოლოდ ნაწილი მოითხოვდეს ინ-  
ტენსიურ დაგეგმვასა და მონიტორინგს. ეროვნული სასწავლო  
გეგმისა და ზოგადად, სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტი  
არ მოითხოვს ადაპტირებასა და მოდიფიცირებას ყველა განსა-  
კუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავ-  
ლისათვის. ი.ს.პ. -ს შედეგინისა გათვალისწინებულია მხოლოდ

ის სფეროები, რომლებიც შეფასების საფუძველზე განისაზღვრა, როგორც განსაკუთრებული დახმარებისა და ჩარევის სამიზნეები.

მოსწავლის სასწავლო საჭიროებების იდენტიფიკაციის შედეგად გამოიკვეთება სასწავლო გეგმიდან რა და რამდენად ინტენსიურად საჭიროებს მოდიფიცირებასა და ადაპტირებას.

## **რა არის ი.ს.პ. გუნდი?**

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი თანამშრომლობის საშუალებას აძლევს იმ ადამიანებს, ვისაც უშუალო შეხება აქვს ბავშვთან. ეს არის პედაგოგების, ოჯახის, საჭირო სამსახურებისა და სპეციალისტების კოორდინირებული შეხვედრების პროცესი, რომლის მიზანია მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების ერთობლივი განსაზღვრა და ადეკვატური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება. ი.ს.პ. გუნდის ყოველ წევრს ერთმანეთისგან განსხვავებული გამოცდილება და ცოდნა აქვს მოსწავლის საჭიროებებთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პროცესი ეხმარება *პროფესიონალებს*:

- ბავშვის სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენაში;
- სხვადასხვა გარემოში ბავშვის ქცევისა და სწავლის თავისებურებების შესახებ დაკვირვებებისა და ინფორმაციის მოგროვებაში;
- ბავშვის ფუნქციონირების მიმდინარე დონის განსაზღვრაში;
- ეროვნული სასწავლო გეგმიდან იმ პრიორიტეტების გამოყოფაში, რომლებიც საჭიროებს ინდივიდუალურ პროგრამას;
- მოსწავლის სასწავლო მიღწევების მონიტორინგსა და მისი პროგრესის შესახებ ანგარიშგებაში;
- სასწავლო მიზნებსა და შედეგებთან დაკავშირებით მშობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციაში;
- ბავშვის სასწავლო მიზნების მისაღწევად საკლასო და კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვაში.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა **ოჯახთან ურთიერთობის ფორმებსაც გვთავაზობს**, რაც გულისხმობს მშობლის უშუალო მონაწილეობას სასწავლო მიზნების განსაზღვრასა და სასწავლო პროგრამის დაგეგმვაში. ასევე, ოჯახის წევრების მოვალეობებს ინდივიდუალური პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების კლასგარეშე განხორციელებაში. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პროცესი ეხმარება *მშობლებს*:

- გაუზიარონ პროფესიონალებს ბავშვის სასწავლო მიზნებისა და პროგრამის შესახებ საკუთარი აზრი;
- გაიგონ, გაიზიარონ და მხარი დაუჭირონ ბავშვის სასწავლო მიზნების, სპეციფიკური სასწავლო სტრატეგიებისა და შეფასების პროცედურების დაგეგმვას;
- დასვან კითხვები და იმსჯელონ ბავშვის სწავლებისა და საგანმანათლებლო მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა წარმატებულია ბავშვის სწავლებისთვის, თუ:

- ი.ს.პ. დოკუმენტი ყოველდღიურ საკლასო-სასწავლო პროცესს ითვალისწინებს;
- ი.ს.პ. გუნდის წევრებს აქვთ ბავშვის შეფასების შესაძლებლობა ექსპერტიზის სფეროების მიხედვით;
- ზუსტად არის განსაზღვრული ის პასუხისმგებელი პირი, ვინც ასწავლის ბავშვს ზოგადსაგანმანათლებლო თუ სარესურსო კლასში;
- ი.ს.პ.-ს შემუშავებისა და შესწორების პროცესში აქტიურად არის ჩართული მშობელი;
- ბავშვის სასწავლო მიზნებისა თუ სწავლების მეთოდების დაგეგმვაში ინტენსიურად მონაწილეობენ სხვა სპეციალისტები.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება გუნდური პროცესია. შეხვედრებს, რომლებიც ი.ს.პ.-ს შესადგენად იმართება, მარტივად ი.ს.პ შეხვედრებს უწოდებენ. ი.ს.პ.-ს შეხვედრებში მონაწილეობს ყველა ის ადამიანი, რომელიც უშუალოდ მუშაობს ან ურთიერთობს ბავშვთან. ესენი შეიძლება იყვნენ:

- მშობელი/ალმზრდელი/მეურვე,
  - მასწავლებლები,
  - მოსწავლე,
  - სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი (ზოგიერთ შემთხვევაში);
  - წარმომადგენელი ბავშვზე ზრუნვის სამსახურებიდან (საჭიროების შემთხვევაში);
  - ნებისმიერი სხვა პირი, ვინც აქტიურად და ინტენსიურად არის ჩართული ბავშვის აღზრდასა და განათლებაში.
- აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ ი.ს.პ.-ს შეხვედრაზე არ არის სასურველი ხუთ მონაწილეზე მეტი ადამიანის დასწრება და ასევე, არ არის სასურველი შეხვედრა 2 საათზე ხანგრძლივი იყოს.

გარდა ამისა, შესაძლებელია ი.ს.პ. შეხვედრას არ დაესწროს ჯგუფის ყველა წევრი. მნიშვნელოვანია, შეხვედრას ესწრებოდნენ მშობლები/მეურვე და ძირითადი მასწავლებლები. სხვა წევრები შეიძლება წერილობით იყვნენ ინფორმირებული ი.ს.პ. შეხვედრის შესახებ.

ი.ს.პ.-ს წარმოება ეფექტიანია, თუ ჯგუფი ირჩევს ე.წ. ი.ს.პ მენეჯერს, რომელსაც ევალება კონკრეტული ბავშვის საქმის მართვა. კერძოდ: შეხვედრების ორგანიზება, ჩანაწერების მონესრიგება, ჯგუფის სხვა წევრების ინფორმირება ცვლილებების თაობაზე. ი.ს.პ მენეჯერმა შეიძლება იტვირთოს "მდივნის" ფუნქცია ი.ს.პ. შეხვედრების დროს და ჩაინეროს ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ეს ფუნქცია შეიძლება სხვა ადამიანმაც შეასრულოს.

### **ვის სჭირდება ი.ს.პ. და ვინ იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული ბავშვისთვის ი.ს.პ-ს შედეგის თაობაზე?**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული საჭიროებების მქონედ ითვლება მოსწავლე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს დასწავლის უნარის დარღვევა, ქცევის პრობლემები, ან სხვა სახის უნარშეზღუდულობა, აღზრდის არახელსაყრელი პირობები. მას სჭირდება დამატებითი შეფასება, პროგრამის ან

სასწავლო გარემოს ადაპტირება, სპეციალური აღჭურვილობა/რესურსები ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში მაქსიმალური ჩართვისათვის.

ფედერალური კანონის მიხედვით, რომელიც შემუშავდა ა.შ.შ-ში (**IDEA – the individuals with Disabilities Education Act**), განსაკუთრებული საჭიროების მქონედ (რომელთაც აქვთ საჭიროება და შესაბამისად, კანონით მინიჭებული უფლება, ისწავლონ ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამებით) ითვლებიან ბავშვები სამიდან ოცდაორ წლამდე, რომელთაც აღენიშნებათ ორი ან მეტი ქვემოთჩამოთვლილი პრობლემიდან:

- შემეცნებითი სირთულეები,
- სმენის დაქვეითება ან სიყრუე,
- მეტყველების დარღვევა,
- მხედველობის დაქვეითება ან სიბრმავე,
- ემოციური დარღვევა,
- ორთოპედიული დარღვევები,
- აუტიზმი,
- თავისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანება,
- სწავლის სპეციფიკური დარღვევა,
- ყურადღების დარღვევა,
- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი,
- ჯანმრთელობის სხვა სერიოზული სირთულეები.

გარდა ამისა, საკითხი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის აუცილებლობის შესახებ დგება იმ შემთხვევაშიც, თუ:

- ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო სტრატეგიები არ არის ეფექტური კონკრეტული მოსწავლისათვის;

- ზოგადსაგანმანათლებლო საკლასო დაგეგმვის ციკლი არ უზრუნველყოფს საკმარის მხარდაჭერას კონკრეტული მოსწავლისათვის;

- მოსწავლე იცვლის გარემოს, გადადის სხვა კლასში, იცვლის სკოლას;

- ხდება მნიშვნელოვანი გარდატეხა/ცვლილება მოსწავლის პირად ცხოვრებაში – ჯანმრთელობის პრობლემა, ემოცი-

ური ტრავმა, ოჯახური სტრესი ან სხვა.

როდესაც სახეზე გვაქვს თვალსაჩინო უნარშეზღუდულობა (მაგ. ფიზიკური), ამ შემთხვევაში უფრო ადვილად და სწრაფად ხდება გადანყვეტილების მიღება იმის შესახებ, რომ ბავშვს სჭირდება გარემოს ან ეროვნული გეგმის ადაპტირება. როცა არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობაა (მაგ: კითხვის უნარის დარღვევა), რომელიც თავს იჩენს და მიიმდება თანდათანობით, როგორც წესი, სკოლაში გაზრდილი სასწავლო მოთხოვნების შესაბამისად, გადანყვეტილების მიღება შეიძლება უფრო დაგვიანდეს, ან გართულდეს.

საუკეთესო შემთხვევაში გადანყვეტილების მიღება ი.ს.პ.-ს შექმნის საჭიროებასთან დაკავშირებით შემდეგნაირად ხდება:

მშობელი, მასწავლებელი ან სხვა პირი, რომელიც ბავშვთან მუშაობს, აცნობებს სკოლის (თუ სხვა სასწავლო დაწესებულების) ადმინისტრაციას, რომ ბავშვი ვერ სწავლობს სკოლაში არსებული ზოგადი პროგრამის მიხედვით, ანუ მასთან დაკავშირებით ვერ სრულდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამ ინფორმაციის საფუძველზე ადმინისტრაცია იღებს ზომებს, რომლებიც ადეკვატურია მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის. ეს შეიძლება იყოს დამატებითი გაკვეთილების ჩატარება, სპეციალური საშინაო დავალებები, დასწავლის ინდივიდუალური სტილის განსაზღვრა. თუ ზომები წარუმატებელია, ადმინისტრაცია მშობლებთან და კომპეტენტურ სპეციალისტებთან შეთანხმებით წამოჭრის საკითხს, რომ მოსწავლე შეიძლება იყოს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და ორგანიზებას უკეთებს ბავშვის შეფასებას.

საკითხი ბავშვის განსაკუთრებული საჭიროების შესახებ შეიძლება წამოაყენოს მშობელმაც.

ორივე შემთხვევაში აუცილებელია გუნდის შეკრება, რომელზეც განიხილება საკითხი ბავშვის განსაკუთრებული საჭიროების შესახებ. შეხვედრას ესწრებიან: მშობელი, კლასის მასწავლებელი/დამრიგებელი, სკოლის ადმინისტრაცია და ის გარეშე (არა სკოლის) სპეციალისტები – ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, პედიატრი თუ სხვა, რომლებიც



თვლიან, რომ ბავშვს ესაჭიროება ინდივიდუალური საგან-მანათლებლო პროგრამა.

დაუშვებელია დამოუკიდებლად გადანყვეტილების მიღება მხოლოდ ადმინისტრაციის, მხოლოდ მშობლის, ან მხოლოდ მასწავლებლის მიერ.

გადანყვეტილება, რომ ბავშვი განსაკუთრებული საჭიროების მქონეა, უნდა მოხდეს საკითხის დასმიდან ორი კალენდარული (და არა სამუშაო) თვის განმავლობაში.

ბავშვის შეფასება შეიძლება ჩატაროს სკოლამ საკუთარი რესურსებით. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი მოისურვებს, დასაშვებია შეფასების ჩატარება სკოლის გარეთაც. შეფასებას აკეთებს ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების მასწავლებელი, კლასის/საგნის მასწავლებელი (კურიკულუმზე დაფუძნებული შეფასება, ანუ ნიშნების ფურცელი).

გადანყვეტილება მიიღება ერთობლივად დირექტორის, ფსიქოლოგის, კლასის დამრიგებლის, სპეციალური განათლების მასწავლებლის, მშობლის/მეურვისა და ბავშვის შეხვედრის საფუძველზე.

## **ი.ს.კ. და ეროვნული სასწავლო გეგმა**

ყველა საჯარო სკოლაში განათლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. სასწავლო მიზნები და ამოცანები, რომლებიც მოცემულია კურიკულუმში, ზოგადია და იდენტური თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის და შესრულების მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან დონეს მოითხოვს.

განვითარების დარღვევების მქონე პირების განათლებასთან დაკავშირებით შეხედულებები მნიშვნელოვნად იცვლებოდა. განვიხილოთ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისათვის სასწავლო გეგმების შექმნის ძირითადი ისტორიული ტენდენციები.

### **➤ განვითარების მოდელი**

აღმოცენდა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. ამ მოდელის ძირითადი დებულებაა: განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების სასწავლო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სკოლამდელი

ასაკისათვის განკუთვნილ სასწავლო გეგმას, მოზარდებისაკი – დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმას. სასწავლო გეგმის შედგენის საფუძველია მოსწავლის „გონებრივი ასაკი“ და არა ქრონოლოგიური ასაკი. სწავლებისას ყურადღება გამახვილებულია ასაკის შესაბამის ფუნქციონალურ ჩვევებზე. სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანია, მოამზადოს მოსწავლე საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის. შესაბამისად, სასწავლო გეგმა ფუნქციურია და მიმართულია თავის და სახლის მოვლის, კომუნიკაციის, საზოგადოებაში ქცევის, დასვენებისა და შრომითი ჩვევების განვითარებაზე.

### ➤ **სოციალური ინკლუზიის მოდელი**

აღმოცენდა მე-20 საუკუნის 80- 90-იან წლებში. ეს მოდელი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ბავშვის ჩართვას მისი ასაკისათვის ადეკვატურ სოციალურ გარემოში – ურთიერთობასა და მეგობრობას ჯანმრთელ თანატოლებთან, სოციალური ჩვევების ათვისებას. სასწავლო გეგმაში ძირითადი ყურადღება ეთმობა თანამონაწილეობას სასწავლო პროცესში, ჯანმრთელ თანატოლებთან ურთიერთობის სწავლებას კლასსა და კლასის გარეთ.

### ➤ **თვითრეგულაციის მოდელი**

აღმოცენდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში. მისი მთავარი პრინციპი ითვალისწინებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლის უფლებას, გააკეთოს არჩევანი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. სასწავლო გეგმის ამ მოდელისთვის წამყვანია არჩევანის გაკეთების, მიზნის დასახვის, თვითმართვის ჩვევების სწავლება.

### ➤ **ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმის მისაწვდომობის მოდელი**

ეს მიდგომა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს აღმოცენდა. მისი მთავარი პრინციპია: განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს (საშუალო და მძიმე ხარისხის უნარშეზღუდულობა) უნარების მიხედვით ჰქონდეთ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმით აკადემიური ჩვევების ათვისების შესაძლებლობა. ეს მიდგომა ითვალისწინებს აკა-

დემიური და ფუნქციონალური სასწავლო გეგმის რაციონალურ შერწყმას იმისდა მიუხედავად, თუ სად სწავლობს ბავშვი – სპეციალურ თუ ზოგადსაგანმანათლებლო კლასში. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვისთვის მიწოდებული შინაარსი მისი ასაკის შესაფერისი იყოს.

აშშ სპეციალური განათლების კანონის, IDEA-04-ის მიხედვით ზოგადი (ეროვნული) სასწავლო გეგმის მისაწვდომობა გულისხმობს:

➤ მოსწავლის არსებული მდგომარეობის აღწერასა და მითითებას, თუ რატომ უშლის ხელს ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობები მისი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმით სწავლებას;

➤ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ისეთი სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებას, რომელთა გაზომვაც შესაძლებელია მოსწავლის პროგრესის შესაფასებლად;

➤ იმ მოდიფიკაციისა და მომსახურების აღწერას, რომლებიც აუცილებელია ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო გეგმით სწავლების პროცესში.

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. ამისათვის აუცილებელია *სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების მოდელის გამოყენება (Wehmeyer, Latin, Agran, 2001).*

გადაწყვეტილების მიღების აღნიშნული მოდელი გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმის მორგებას მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ამ გეგმის მოდიფიკაციის გზით. მოდიფიკაციის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეს, რომ გამოიყენოს არსებული უნარები, განავითაროს და გაიუმჯობესოს სხვა უნარები.

ამრიგად, ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმის **მოდიფიკაცია** განისაზღვრება, როგორც მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი სასწავლო გეგმის **შინაარსის, სწავლების მეთოდების, სასწავლო მიზნების** ცვლილება. ეს ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს სასწავლო გეგმის სხვა-

დასხვა კომპონენტებს: მისაღწევ მიზნებს, საგნის შინაარსს, სწავლების მეთოდიკასა და სტრატეგიებს, სასწავლო მასალასა და პროგრამას (იხ. ნიმუში 1).

სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია კარგი და ადეკვატურია, თუ ის:

- ✓ მორგებულია საკლასო გარემოს;
- ✓ მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს;
- ✓ მორგებულია სწავლების პროცესსა და სასწავლო აქტივობებს კლასში;
- ✓ გასაგებია მოსწავლისათვის.

გამოყოფენ მოდიფიკაციის 4 დონეს (King-Sears, 2001):

➤ **სასწავლო გეგმის აკომოდაცია:** არ იცვლება სასწავლო გეგმის შინაარსი და სირთულის ხარისხი. იცვლება მასალის მიწოდების ფორმა და სტრატეგიები: მაგ.: ფონტის სიდიდე ტექსტში; დიდი ტექსტის ნაცვლად ვიზუალური სქემებითა და სურათებით მასალის გამდიდრება, სპეციალური მიზნებისთვის დახმარე ტექნიკური საშუალებების გამოყენება (მაგ. კომპიუტერის, კალკულატორის, მაგნიტოფონის).

➤ **სასწავლო გეგმის ადაპტაცია:** არ იცვლება სასწავლო გეგმის შინაარსი და მცირედ იცვლება სირთულის ხარისხი მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. სასწავლო გეგმის ადაპტაცია გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლებას. კერძოდ, მოსწავლეთა შესაძლებლობიდან გამომდინარე, სასწავლო მიზნის მისაღწევად მასწავლებელი ამარტივებს დავალებებს და შეიმუშავებს დახმარების საფეხურებს.

✓ **პარალელური სასწავლო გეგმა (პარალელური სწავლება):** მოსწავლის მიერ დავალების შესრულების ფორმის, სწავლების სტრატეგიისა და მეთოდის ისეთი ცვლილება, რომელიც არ ცვლის სასწავლო გეგმის შინაარსს, მაგრამ სერიოზულად ამარტივებს ან ართულებს მას (მნიშვნელოვნად იცვლება სირთულის ხარისხი). განსხვავება ადაპტაციასა და ამ ტიპის ცვლილებას შორის ის არის, რომ პარალელური სწავლების დროს **მნიშვნელოვნად** იცვლება მასალის სირთულის, შესასწავლი ცნებებისა და დებულებების სირთულის ხარისხი, თუმცა ძირი-

თადი შინაარსი იგივეა.

✓ **გადამფარავი სასწავლო გეგმა (გადამფარავი სწავლება):** იცვლება სასწავლო გეგმის როგორც შინაარსი, ასევე მისი სირთულის ხარისხიც. ამ ტიპის სასწავლო გეგმა **არ წარმოადგენს** ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო **გეგმის პირდაპირი მოდიფიკაციის** შედეგს. ამ შემთხვევაში, მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ი.ს.პ. გუნდი განსაზღვრავს მიზნებს, რომელთა მიღწევაც ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში. იცვლება როგორც საგნის შინაარსი და საკითხის სირთულის დონე, ასევე სწავლების მეთოდიკა და სასწავლო მასალა.

**გადამფარავი სასწავლო გეგმა** საშუალო და ძლიერი ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართვის საშუალებას იძლევა. სასწავლო გეგმის ეს ტიპი ბავშვის სასწავლო პროცესში **წაწილობრივ მონაწილეობას** გულისხმობს მისი შესაძლებლობების მიხედვით. ასეთი ტიპის სასწავლო გეგმა ძლიერი უნარშეზღუდულობის მქონე მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მათგან არ ითხოვენ მასალის სტანდარტის დონეზე ათვისებას.

ზემოაღნიშნული კატეგორიზაცია ასახავს მიმართებას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმასა და მოდიფიცირებულ გეგმას შორის.

მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია:

- სასწავლო გეგმის შინაარსისა და სირთულის ხარისხის ცვლილება,

- სწავლების მეთოდის ცვლილება,
- დასწავლის სტრატეგიებისა და საშუალებების ცვლილება,
- დასასწავლი მასალის ფორმისა და მოცულობის ცვლილება.

ხშირად ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ზოგიერთ ისეთ მოსწავლესაც სჭირდება სასწავლო გეგმის მორგება, რომელ-

საც არ გააჩნია რაიმე სახის უნარშეზღუდულობა. ამ დროს არ იცვლება მისალწვე მიზნები და სასწავლო გეგმის შინაარსი. მასწავლებელი ცვლის სწავლების მეთოდს, ასწავლის ბავშვს დასწავლის განსხვავებულ სტრატეგიებს. ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლე ან სწავლაში პრობლემების მქონე მისი კლასელი. ორივე შემთხვევაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისალწვეად მასწავლებელი ცვლის მითითებებს, სწავლების მეთოდებს, იყენებს დამატებით მასალებს და ა.შ. სასწავლო გეგმის ამ ტიპის ცვლილებას **გაფართოება** ეწოდება.

**სასწავლო გეგმის გაფართოება (augmentation, enhancements)** გულისხმობს სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანას მოსწავლეთათვის იმ სტრატეგიებისა და მეთოდების სწავლების მიზნით, რომლებიც დაეხმარება მათ სასწავლო მიზნების მიღწევაში. ამ დროს არ იცვლება სასწავლო გეგმის შინაარსი, სირთულის დონე. იცვლება, ძირითადად, დასწავლის გზები, საშუალებები, დასწავლის სტრატეგიები სწავლის სტილის შესაბამისად.

ამრიგად, სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის ხარისხი დამოკიდებულია მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებების განსაზღვრაზე, მისი რეალური შესაძლებლობებისა და უნარების მიხედვით სასწავლო მიზნებისა და სწავლების შედეგების ფორმულირებაზე. ქვემოთ მოყვანილია სასწავლო გეგმის ტიპები მათი მოდიფიკაციის ხარისხის მიხედვით:

სასწავლო გეგმის კომპონენტები/ მოდიფიკ. ტიპები	საგნის შინაარსი (შესავალი)	ასათვისებელი ცნებებისა და დებულებების სირთულის ხარისხი	მისალწვე მიზნები (გამოსავალი)	სწავლების მეთოდები
<b>აკომოდაცია</b>	არ იცვლება	არ იცვლება	არ იცვლება	მოდიფიკაცია
<b>ადაპტაცია</b>	არ იცვლება	მცირედ მოდიფიცირებულია	მოდიფიკაცია	მოდიფიკაცია

პარალელური სასწავლო გეგმა	არ იცვლება	მცირედ მოდიფიცირე- ბულია	მოდიფიკაცია	მოდიფიკა- ცია
გადამფარავი სასწავლო გეგმა	განსხვავებუ- ლია	განსხვავებუ- ლია	მოდიფიკაცია	განსხვავე- ბულია

### სასწავლო გეგმის ადაპტაციის ტიპები:

➤ *დროის ადაპტაცია:* დავალების შესრულების, მასალის დასწავლის, ტესტირების დროის ცვლილება; მაგ. მოსწავლისათვის დავალების შესრულების დროის განსაზღვრა, დასასწავლი მასალის ჩაბარების ინდივიდუალური დროის დაგეგმვა, ტესტირების დროის გაზრდა.

➤ *სირთულე:* პრობლემისა და გადანწყვეტის ალგორითმის გამარტივება; მაგ. კალკულატორის გამოყენება ორნიშნა რიცხვებზე ოპერაციების სანარმოებლად, დავალების პირობების დეტალიზება ან გამარტივება.

➤ *რაოდენობა:* დავალებების რაოდენობის, მოცულობის შემცირება, ერთ ჯერზე შესასრულებელი მოქმედებების რაოდენობის შემცირება; მაგ. დასასწავლი ტექსტის მოცულობის შემცირება, მაგალითებისა და ამოცანების მცირე რაოდენობით მიცემა.

➤ *შესავალი:* სასწავლო გეგმის შინაარსის გადაცემის საშუალებების ადაპტაცია; მაგ. თვალსაჩინო დამხმარე საშუალებების გამოყენება, კონკრეტული მაგალითების მიწოდება, პრაქტიკული სავარჯიშოების გამოყენება.

➤ *გამოსავალი:* მოსწავლის ცოდნისა და ათვისებული უნარის შეფასების ადაპტაცია; მაგ. წერილობითი პასუხის

მაგივრად ზეპირი პასუხი, ან პირიქით. გამარტივებული კითხვები და დავალების ისეთი ფორმით მიცემა, რომელიც ბავშვს პასუხის გაცემის საშუალებას მისცემს.

➤ *მონაწილეობის ხარისხი:* დავალების შესრულებაში მოსწავლის მონაწილეობის ხარისხის ადაპტაცია; მაგ. გეოგრაფიის გაკვეთილზე ზოგი ეძებს ქალაქს, ზოგიერთი ქვეყანას ფერის მიხედვით პოულობს, სხვას კი გლობუსი უჭირავს.

➤ *ალტერნატიული მიზნები:* იმავე მასალაზე მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების ადაპტაცია; მაგ. ისტორიის გაკვეთილზე რომელიმე მეფის მმართველობის წლებისა და ადგილის ცოდნა, ამ მეფის პორტრეტის, მისი მმართველობის ადგილების გამომსახველი სურათების ცნობა.

➤ *დახმარების დონე:* დახმარების ხარისხისა და საშუალებების გაზრდა შესაბამისი ჩვევების ათვისების მიზნით; მაგ. თანატოლების დახმარების უზრუნველყოფა, დამატებითი მუშაობა სარესურსო ოთახში, საკლასო გარემოს მოდიფიკაცია და მოსწავლის მხარდაჭერა, მისი ნდობის მოპოვება.

➤ *ფუნქციური სასწავლო გეგმა:* მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო მიზნების მისაღწევად განსხვავებული მასალისა და შინაარსის სწავლება, რაც უფრო ყოველდღიურ, ფუნქციურ ჩვევებზეა ორიენტირებული.

## **ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და განხორციელების პროცესი**

ი.ს.პ. შექმნისა და განხორციელების პროცესი ოთხი ძირითადი საფეხურისგან შედგება:

1. მიმართულების განსაზღვრა;
2. ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება;
3. ი.ს.პ.-ის შემუშავება და გაფორმება;
4. ი.ს.პ.-ს განხორციელება, შეფასება და შესწორებების შეტანა.



## 1. მიმართულების განსაზღვრა

- ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის გუნდის შექმნა;
- როლებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
- მიზნის დასახვა.

ერთი მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრისა და მისთვის ადეკვატური სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიზნით იქმნება ერთი ი.ს.პ. გუნდი. გუნდის შემადგენლობა სხვადასხვა სკოლაში შეიძლება განსხვავებული იყოს, სასკოლო რესურსებისა და სპეციალისტებიდან გამომდინარე. ტიპური ი.ს.პ. გუნდი შედგება სკოლის წევრებისაგან და სკოლის გარეთ არსებული პროფესიონალებისაგან, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში იწვევენ გუნდის მუშაობაში. კერძოდ, გუნდი, პირობითად, ორ ნაწილად იყოფა:

### **სასკოლო გუნდი:**

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო მასწავლებელი,
- ✓ სარესურსო ოთახის მასწავლებელი,
- ✓ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი სკოლაში,
- ✓ დირექტორი,
- ✓ სკოლის ფსიქოლოგი (თუ შესაძლებელია),
- ✓ მშობელი,
- ✓ მოსწავლე.

### **მხარდამჭერი გუნდი:**

- ✓ ლოგოპედი,
- ✓ ფსიქოლოგი,
- ✓ ოკუპაციური თერაპევტი,
- ✓ ფიზიკური თერაპევტი,
- ✓ სოციალური მუშაკი,
- ✓ სამედიცინო მუშაკი,
- ✓ სურდოპედაგოგი
- ✓ კითხვის დარღვევის სპეციალისტი.

სასკოლო გუნდი: ი.ს.პ. პროცესში ძირითადი გადაწყვე-

ტილებების მიმღებია. ზოგადსაგანმანათლებლო კლასის მასწავლებელი კი მთავარი პასუხისმგებელია ბავშვის სასწავლო მიღწევებზე.

*მოსწავლე:* შეიძლება მონაწილეობდეს გუნდის შეხვედრებში, თუ მისთვის სასარგებლოა განხილვაში მონაწილეობა და ზრდის მის მოტივაციასა და პასუხისმგებლობას.

თუ მოსწავლის გუნდში მონაწილეობა, გარკვეული მიზეზების გამო, მისთვის ნაკლებად სასარგებლოა, მაშინ შეხვედრამდე აუცილებელია ბავშვთან გასაუბრება მისი ინტერესებისა და დამოკიდებულების გარკვევის მიზნით.

*მშობლები:* ბავშვის ინტერესების საუკეთესო დამცველები არიან, იციან საკუთარი შვილის მიდრეკილებები და პრობლემები. მშობლები ეფექტური მოკავშირეები არიან ბავშვის სწავლების საქმეში, თუ მათ კარგად ესმით ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შექმნის პროცესი და დანიშნულება.

სასკოლო გუნდმა ხელი უნდა შეუწყოს მშობელთა მონაწილეობას გუნდის მუშაობაში:

- ✓ შეხვედრის კომფორტული, მშვიდი გარემოს შექმნით,
- ✓ შეხვედრის გეგმის წინასწარ მომზადებით,
- ✓ შეხვედრის მიზნისა და მშობლის შესაძლო წვლილის წინასწარი განხილვით,
- ✓ შეხვედრაზე მშობლისთვის გასაგები ენის გამოყენებითა და სპეციალური ტერმინებისგან თავის არიდებით.

*მხარდამჭერი გუნდი:* ი.ს.პ.-ში მონაწილეობით ეხმარება სასკოლო გუნდს:

- ✓ პერსონალის ტრენინგში სწავლების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებაში;
- ✓ მასალებისა და საშუალებების ადეკვატურად შერჩევაში;
- ✓ კლასის მართვასა და საკლასო რუტინაში თერაპიული მიდგომების გამოყენებაში.

მნიშვნელოვანია, ი.ს.პ. გუნდის წევრებმა ზუსტად იცოდ-

ნენ საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა. ამისათვის, აუცილებელია შემთხვევის მენეჯერის არჩევა (ვინც მართავს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის ი.ს.პ პროცესს) და გუნდის ყველა წევრის როლისა და მოვალეობის განსაზღვრა.

*შემთხვევის მენეჯერის მოვალეობები:*

- შეხვედრის წინასწარი განრიგის მომზადება და გავრცელება გუნდის წევრებს შორის;
- მშობლებთან კონტაქტის უზრუნველყოფა;
- ი.ს.პ.-ის გუნდის შეხვედრის ორგანიზება და წარმართვა;
- ი.ს.პ-ს შემუშავების კოორდინირება;
- ი.ს.პ-ს გუნდის შეხვედრების ჩანაწერების უზრუნველყოფა;
- ი.ს.პ-ში შესწორებების დოკუმენტირება;
- ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა;
- სკოლის გარეთ დამხმარე სპეციალისტებსა და ორგანიზაციებთან კონტაქტის უზრუნველყოფა.

მიმართულების არჩევა გულისხმობს ი.ს.პ.-ს მიზნის განსაზღვრასაც, რომელიც ყოველი მოსწავლისათვის ინდივიდუალურია. საწყის ეტაპზე გუნდმა უნდა დაადგინოს ბავშვის ის სფეროები, რომლებიც პრიორიტეტულია ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში. ტერმინი „სფერო“ გულისხმობს ბავშვის განვითარების სპეციფიკურ ფსიქიკურ სფეროს, როგორცაა სოციალური, აკადემიური, მოტორული, შემეცნებითი, შრომითი საქმიანობა, კომუნიკაცია, თვითმომსახურება, დასვენება.

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს ეროვნული სასწავლო გეგმის იმ კომპონენტებზე, რომლებშიც მოსწავლეს განსაკუთრებული დახმარება სჭირდება, სფეროების გათვალისწინებით.

### ***ი.ს.პ. შეხვედრისთვის მომზადება***

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი

შეხვედრა უნდა გაიმართოს იმ დროსა და ადგილას, რომელიც მოსახერხებელია ყველა მონაწილისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრა მოსახერხებელი იყოს მშობლების/მეურვისთვის. ასევე, ყურადღება უნდა დაეთმოს თავად მოსწავლის სათანადო მონაწილეობას ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში.

კარგია, მივიღოთ კონსულტაციები გუნდის იმ წევრებისგან, რომლებიც ვერ ახერხებენ ი.ს.პ. შეხვედრაში მონაწილეობას. ეს საშუალებას მოგვცემს, გავითვალისწინოთ სადავო საკითხები და დავსახოთ მნიშვნელოვანი ამოცანები. მაგ., მეტი ინფორმაციის მოპოვება ბავშვის შესახებ.

### **ი.ს.პ. შეხვედრა**

შეხვედრა შემდეგი თანმიმდევრობით წარიმართება:

- შესავალი;
- მოსწავლის ძლიერი მხარეების განსაზღვრა, რომელთაც შეიძლება დავეყრდნოთ დახმარების დაგეგმვისას;
- სადავო საკითხების განხილვა;
- ბავშვის რეალური შესაძლებლობების განსაზღვრა;
- გრძელვადიანი მიზნების დასახვა;
- მოსწავლესთან მისაღწევი მიზნების განსაზღვრა;
- პერსონალის, მეთოდებისა და რესურსების განსაზღვრა;
- მომავალი შეკრების (შედეგების განხილვა) დროზე შეთანხმება.

(იხ. ნიმუში 2, ნიმუში 3).

**ი.ს.პ.-ში ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ იმ სფეროზე (ეს შეიძლება იყოს შემეცნებითი, სოციალური, მოტორული თუ სხვა უნარები), რომელშიც მოსწავლეს ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება და მხარდაჭერა.**

**ი.ს.პ. ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია ი.ს.პ.-ს შედეგების პროცესში მშობლების თანაბარუფლებიანი მონაწილეობა და თანამშრომლობა სკოლასთან. მშობლებმა შეხვედრა უნდა დატოვონ იმ განწყობით, რომ მათი მოსაზრებები ღირებულია და**

**შესაბამისად, გათვალისწინებული. მშობლებს ი.ს.პ შეხვედრაზე აქვთ გადაწყვეტილების მიღების ისეთივე უფლება, როგორც ი.ს.პ გუნდის ნებისმიერ სხვა წევრს.**

შემუშავებული პროგრამისა და მიღწეული შედეგების გადახედვა საჭიროა ყოველ ექვს თვეში. ასეთი სიხშირით წარმოებული ი.ს.პ. განხილვები რეაგირების საშუალებას იძლევა მოსწავლის ცვალებად საჭიროებებზე. ექვს თვეზე ხანგრძლივი ინტერვალის პირობებში ეს შესაძლებლობა იკარგება.

### **ი.ს.პ. შეხვედრასთან დაკავშირებული სირთულეები:**

- მონაწილეების დიდი რაოდენობა,
- პროფესიული ჟარგონის გამოყენება დისკუსიაში,
- შეხვედრის დასაწყისში ყურადღების ზედმეტი გამახვილება მშობლებზე,
- მოსწავლის არსებული უნარების, მიღწევების ბუნდოვანი განსაზღვრა,
- შეუსაბამო ინფორმაციის მოტანა,
- ერთი კონკრეტული ადამიანის დომინირება შეხვედრაზე,
- არარეალური მიზნების დასახვა,
- მიზნების ბუნდოვანი განსაზღვრა.

## **2. ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება**

- მოსწავლის მიმდინარე შეფასებებისა და მიღწევების განხილვა;
- კონსულტაციები მშობლებთან, მასწავლებლებთან, კლასელებთან;
- მოსწავლეზე დაკვირვება და საჭიროებისამებრ, დამატებითი შეფასების ჩატარება;
- ინფორმაციის გაზიარება და მოსწავლის პროფილის შექმნა.

ეს საფეხური მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია ინდივიდუალუ-

რი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, რადგან მის საფუძველზე იქმნება მოსწავლის განვითარებისა და შესაძლებლობების პროფილი.

### **სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვება**

მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ ბავშვი ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას საჭიროებს, აუცილებელია, შეგროვდეს ყველა საჭირო ინფორმაცია მის შესახებ. ინფორმაციის წყაროები არიან:

✓ მშობლები და ოჯახის წევრები, რომლებმაც შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვანოდონ ბავშვის განვითარების ისტორიისა და თავისებურებების შესახებ;

✓ თანატოლები - სკოლის, ეზოს მეგობრები, რომლებიც გვანვდიან ინფორმაციას ბავშვის სოციალური და კომუნიკაციური უნარების შესახებ;

✓ დანყებითი კლასის, სარესურსო ოთახის მასწავლებლები, რომლებიც გვაძლევენ ინფორმაციას ბავშვის შემეცნებითი, სოციალური, ემოციური განვითარებისა და სასწავლო მიღწევების შესახებ. როგორც წესი ეს არის დოკუმენტური ინფორმაცია, რომელიც დაფიქსირებულია ზოგადსაგანმანათლებლო ან სარესურსო მასწავლებლების მიერ საკლასო შეფასების ანგარიშებში, ბავშვის ნამუშევრებსა და ნიშნების ფურცელში;

✓ ნებისმიერი სპეციალისტი (ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი), რომელსაც უმუშავია ბავშვთან და მისი ექსპერტიზის სფეროს ფარგლებში აქვს სათანადო შეფასება;

✓ თავად ბავშვი გვანვდის ინფორმაციას საკუთარი ინტერესების, საყვარელი საქმიანობისა თუ დასწავლის სტილის/სტრატეგიის შესახებ.

### **ბავშვზე დაკვირვება და შეფასების დაგეგმვა**

ბავშვზე დაკვირვება იძლევა ობიექტურ ინფორმაციას სხვადასხვა სიტუაციაში ბავშვის ქცევის შესახებ, კერძოდ:

✓ როგორ იქცევა ბავშვი ჯგუფში (კლასში) და მაშინ, როცა მარტოა;

- ✓ როგორ პასუხობს ბავშვი სხვადასხვა მითითებებსა და მინიშნებებს;
- ✓ როგორ ასრულებს ბავშვი სხვადასხვა სირთულის მითითებას;
- ✓ როგორ ეთამაშება თანატოლებს დასვენებაზე;
- ✓ როგორ რეაგირებს ნახალისებაზე, უარყოფით განმტკიცებასა და დასჯაზე.

ყოველმხრივი ინფორმაცია იძლევა ბავშვის ფუნქციონირების არსებული დონის დადგენისა და ბავშვის ე.წ. „პროფილის“ შექმნის საშუალებას. ამის საფუძველზე განისაზღვრება ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები.

მოსწავლის „პროფილი“ შემდეგი ელემენტებისგან შედგება:

- ბავშვის განვითარების ისტორია,
- სამედიცინო ინფორმაცია,
- ბავშვის ინტერესის სფეროები,
- ძლიერი მხარეები,
- ბავშვის ფუნქციონირების არსებული დონე, რომელიც მოიცავს სასწავლო საგნებსა და განვითარების სფეროებს,
- საჭიროებები (იხ. ნიმუში 4).

***მოსწავლის ფუნქციონირების არსებული დონე (უნარები, აკადემიური მიღწევები, ცოდნა):***

ეს არის ობიექტური ინფორმაცია მოცემული დროისათვის მოსწავლის უნარების, მისი ცოდნისა და სხვადასხვა გარემოში ქცევის სტილის შესახებ. არსებული მდგომარეობის აღწერა პასუხობს შეკითხვას, რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს თანმიმდევრულად და დამოუკიდებლად. ინფორმაცია გროვდება კითხვარების, დაკვირვებისა და ჩანაწერების საფუძველზე. მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას სხვადასხვა გარემოში ბავშვის ქცევის შესახებ. უნარი, რომელიც კარნახს/დახმარებას საჭიროებს, ამ ნაწილში არ უნდა ჩაინეროს.

### 3. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და გაფორმება

- მოსწავლის საჭიროებების პრიორიტეტების განსაზღვრა განვითარებისა და აკადემიური სფეროების მიხედვით;
- მოსწავლის ფუნქციონირების არსებული დონის განსაზღვრა თითოეული სფეროს მიხედვით;
- მოსწავლის სპეციფიკური სასწავლო შედეგებისა და მისაღწევი მიზნების განსაზღვრა;
- ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება და დამტკიცება.

მოსწავლის ყოველმხრივი შეფასებისა და ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე იქმნება **ბავშვის პროფილი**, რომელიც ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის ამოსავალს წარმოადგენს.

ამ საფეხურზე პირველი და აუცილებელი ნაბიჯია მოსწავლის საჭიროებებში პრიორიტეტების გამოყოფა სფეროების მიხედვით.

ი.ს.პ. მოსწავლის სწავლების ძირითადი პრიორიტეტების შეჯამებაა და არა ყველაფრის აღწერა, რასაც ბავშვი სწავლობს.

უპირატესი სფეროების გამოყოფისთვის ი.ს.პ. გუნდმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- მოსწავლის ღირებულებები და მიზნები,
- მშობლების შვილთან დაკავშირებული მოლოდინი და მიზნები;
- სოციალური განვითარების მნიშვნელობა,
- საჭიროების განსაკუთრებული მნიშვნელობა,
- ასაკთან შესაბამისობა,
- წვლილი ბავშვის ზოგად სასწავლო მიღწევებში,
- სწავლის დრო და მისაწვდომი რესურსები.

ამ მონაცემების გათვალისწინებით გუნდი აკეთებს საჭიროებების კლასიფიკაციას სფეროების მიხედვით და განსაზღვ



ღვრავს მოსწავლის არსებული ფუნქციონირების დონეს. ეს ინფორმაცია მოსწავლის პროფილშია აღწერილი, ძირითადად, წინა საფეხურზე.

სფეროების მიხედვით ბავშვის არსებული მდგომარეობის იდენტიფიკაცია მეტად მნიშვნელოვანია:

- ადეკვატური მიზნების დასახვისათვის;
- სწავლების სტრატეგიების, მასალების ადაპტაციისა და შეფასების პროცედურების განსაზღვრაში;
- პროგრესის შეფასებაში – ი.ს.პ.-ის შექმნისას მოსწავლის ფუნქციონირების არსებული დონე წარმოადგენს საბაზისო დონეს, საფუძველს შედგომი შეფასებისთვის.

### **მოსწავლის სპეციფიკური სასწავლო მიზნები**

მოსწავლის სპეციფიკური სასწავლო მიზნების განსაზღვრა ეფუძნება მის პროფილს და საჭიროებებს იმ პრიორიტეტული სფეროების მიხედვით, რომელიც ი.ს.პ. გუნდმა დააფიქსირა. აუცილებელია გუნდის შეთანხმება მიზნების ისეთ რაოდენობაზე, რომლის მიღწევაც რეალურია სასწავლო წლის განმავლობაში.

მოსწავლის სპეციფიკური მიზნები:

- განისაზღვრება მოსწავლის ფუნქციონირების არსებული დონის საფუძველზე;
- ითვალისწინებს მოსწავლის წინა სასწავლო მიღწევებსა და პროგრესს;
- განსაზღვრავს, თუ რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მოსწავლეს;
- მოსწავლის აქტუალური საჭიროებების შესატყვისია;
- რეალურია სასწავლო დროისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით.

### **ეფექტურად შედგენილი სასწავლო მიზნები:**

- **სპეციფიკურია:** ჩამოყალიბებულია ნათლად და მარტივი ენით.
- **გაზომვადია:** იძლევა მოსწავლის მიღწევების ზუსტი შეფასებისა და მონიტორინგის საშუალებას.

➤ **მიღწევადია:** რეალისტურია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

➤ **რელევანტურია:** შეესატყვისება მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს.

➤ **დროში განსაზღვრულია:** მათი მიღწევა შესაძლებელია კონკრეტული დროის პერიოდში, ძირითადად, 1 სასწავლო წლის განმავლობაში.

მიზნებში აღწერილია ისეთი ქცევები და აქტივობები, რომლებიც გაზომვადი და დაკვირვებადია. მიზნების ჩამოყალიბებისას გუნდმა უნდა:

➤ განსაზღვროს შედეგების ძირითადი კომპონენტები,  
➤ დააზუსტოს შესაბამისი დავალებების თანმიმდევრობა,  
➤ აღწეროს, რაში უნდა გამოვლინდეს მიღწეული მიზანი,  
➤ განსაზღვროს მიზნის მიღწევის მოსალოდნელი დრო,  
➤ დააკონკრეტოს ის პირობები, რომელშიც მოსწავლემ უნდა შეასრულოს განსაზღვრული დავალებები,

➤ განსაზღვროს მიზნის მიღწევის კრიტერიუმები (სიზუსტე, შესრულების სტანდარტი, ხანგრძლივობა და ა.შ.) (იხ. ნიმუში 6).

მიზნები უმჯობესია ისე იყოს ჩამოყალიბებული, რომ მათი მიღწევა 6-8 კვირაში გახდეს შესაძლებელი. აუცილებლობის შემთხვევაში, გუნდს შესწორებები შეაქვს მიზნებში. მნიშვნელოვანია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების გამოყოფა.

### **გრძელვადიანი მიზნები**

ეს არის მიზნები, რომლებიც განისაზღვრება, როგორც მოსწავლესთან მისაღწევი საბოლოო შედეგი.

შესაბამისად, გრძელვადიანი მიზანი უფრო ზოგადია, მაგრამ მკაფიოდ განსაზღვრული. მაგალითად, გრძელვადიან მიზნად შეიძლება შევიტანოთ პროგრამაში: კითხვის სწავლება; საჭმლის მომზადების სწავლება; თანატოლებთან კომუნიკაცია კლასში და ა.შ.

არამართებულია მიზნის დასახვა შემდეგი სახით: იყოს ნორმალური ადამიანი, შეეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება, შეეძლოს უცხოებთან საუბარი და ა.შ.

გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრაში მეტად მნიშვნელოვანია მშობლის მონაწილეობა. შესაძლებელია მშობლისა და მასწავლებლის შეხედულებები მოსწავლის მისაღწევი მიზნებისა და შესაბამისად, სწავლების შედეგების შესახებ, რადიკალურად განსხვავდება. ამიტომაც მნიშვნელოვანი ი.ს.პ. გუნდის შეკრება, მსჯელობა და ერთობლივი, მშობელთან შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღება.

### **მოკლევადიანი მიზნები**

მას სხვაგვარად სასწავლო ამოცანებსაც უწოდებენ. ეს არის გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე სპეციფიკური მიზნები, რომლებიც ეფუძნება ბავშვის ცოდნასა და უნარებს მიმდინარე პერიოდში. მოკლევადიანი მიზნები წარმოადგენს საფუძვლებს გრძელვადიანი მიზნებისაკენ.

გუნდი განსაზღვრავს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს ბავშვს დამოუკიდებლად და თანმიმდევრულად ი.ს.პ-ს შემდეგ შეხვედრამდე. მიზნები ისე ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სხვებს შეეძლოთ მათი გაგება და შეფასება (მიღწეულია თუ არა მიზანი). მიზანი უნდა იყოს სპეციფიკური, მიღწევადი და გაზომვადი.

### **ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შექმნა და დამტკიცება**

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა იქმნება გუნდის შეკრებებზე დისკუსიის პროცესში და ჯამდება წერილობით. ი.ს.პ. წერილობითი დოკუმენტი არის მოსწავლის პროგრესის მონიტორინგისა და გუნდის წევრებს შორის კომუნიკაციის საშუალება.

ი.ს.პ. წერილობით დოკუმენტში ასახული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- მოსწავლის დემოგრაფიული მონაცემები და ისტორია;
- ფუნქციონირების არსებული დონე (მოსწავლის უნარე-

ბი და საჭიროებები);

- გრძელვადიანი მიზნების აღწერა;
- მოკლევადიანი მიზნების აღწერა;
- მეთოდების, მასალებისა და სწავლების სტრატეგიების აღწერა;

➤ ი.ს.პ.-ს პერსონალის ჩამონათვალი, მათი მოვალეობებისა და სამუშაო ადგილების აღწერა;

➤ შეფასების გეგმა და განრიგი (იხ. ნიმუში 5).

გუნდი შეთანხმდება კომპონენტების დეტალებზე, დაწვრილებით აღწერს ყოველ კომპონენტს გასაგები და მარტივი ენით და დაამტკიცებს ი.ს.პ.-ს.

### **ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის მიზნების ფორმულირების წესები**

როგორც უკვე აღინიშნა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები უნდა იყოს რეალისტური, სპეციფიკური, ნათლად განსაზღვრული, რელევანტური და გაზომვადი.

#### **☞ რას ნიშნავს გაზომვის შესაძლებლობა?**

სასწავლო გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი მიზნები ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ შეიძლებოდეს მათი რაოდენობრივი შეფასება, კერძოდ, სწავლაში პროგრესისა თუ რეგრესის რაოდენობრივი შეფასება. ამასთან, სხვადასხვა პირის მიერ გაზომვის შემთხვევაში უნდა იძლეოდეს ერთნაირი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. აუცილებელია, აღწერილი იყოს დაკვირვებადი აქტივობები – ის, რაც უნდა გააკეთოს მოსწავლემ. ამავე დროს, მეტად მნიშვნელოვანია იმ პირობების აღწერა, რომელშიც მოქმედება ხორციელდება და ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდება მოსწავლის მოქმედების შეფასება (მაგ, სისწრაფე, სიზუსტე, სიხშირე, ხარისხი და ა.შ.).

მოსწავლის მოკლევადიანი მიზნის აღწერისას, პირველ რიგში, მიუთითებენ განხორციელების პირობებსა და საშუა-

ლებებზე, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, შემდეგ თვით მისაღწევ აქტივობასა და ბოლოს - მიღწევის დონის კრიტერიუმებზე. პირობის აღწერა არ არის საჭირო ისეთი მიზნის ფორმულირებისას, როგორცაა, მაგ. „ნინო უნდა ცალი ფეხით გადახტეს“. პირობის დახასიათება აუცილებელია ისეთი მიზნის ფორმულირებისას, როგორცაა: „ნიკამ **კალკულატორით** უნდა გაამრავლოს ორნიშნა რიცხვები 1 წუთის განმავლობაში (პირობის, ანუ კალკულატორის დასახელების გარეშე, ეს მიზანი სულ სხვა შინაარსს შეიძენდა).

სასწავლო მიზნის აღწერისას, აუცილებელია, რომ აღსაწერი მოქმედება იყოს დაკვირვებადი, თვალსაჩინო და გაზომვადი. მაგალითისთვის იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

დაკვირვებადი	არადაკვირვებადი
<ul style="list-style-type: none"> <li>- შეუძლია ხმამაღლა კითხვა.</li> <li>- შეუძლია საუბრისას თვლებით კონტაქტი.</li> <li>- შეუძლია სურათებში დეტალების გარჩევა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სიამოვნებას იღებს ლიტერატურის წაკითხვისგან.</li> <li>- შეუძლია კომუნიკაცია.</li> <li>- შეუძლია კომპლექსური აღქმა.</li> </ul>

შესრულების კრიტერიუმი გულისხმობს, თუ რამდენად კარგად ასრულებს მოსწავლე დავალებას და შესაბამისად, აღწევს დასახულ მიზანს. მაგ. ცუდად ფორმულირებული მიზანია: „ნინოს უნდა შეეძლოს ფერების გარჩევა“. გაუგებარია რა შემთხვევაში იქნება დამაკმაყოფილებელი შესრულება და მიზანი – მიღწეული: ყველა ფერის დასახელებისას, თუ მხოლოდ წითლისა და ლურჯის გარჩევისას?

არსებობს სამი მცდარი შეხედულება გაზომვადი მიზნის შესახებ:

1. *თუ მიზნის აღწერაში ჩავრთავთ შესრულების პროცენტულ მაჩვენებელს, ის გაზომვადი გახდება.*

ეს მცდარი წარმოდგენაა. მაგ.: „რეზიკომ თავისი ქცევა 80%-ით უნდა გააუმჯობესოს“.

„გიომ უნდა შეამციროს გაკვეთილზე უნებლიე წამოძახება 90%-ით.“

„ლიკამ სიბრაზის შეტევასთან გამკლავებისთვის 2 სტრატეგია უნდა გამოიყენოს 70% სიზუსტით.“

„თეომ უნდა გააუმჯობესოს თავისი ფონოლოგიური ანალიზის უნარი 80%-ით“.

„ნანამ წაკითხული ტექსტიდან 90%-ის სიზუსტით უნდა გამოიტანოს ძირითადი აზრი“.

ზემოაღნიშნული მიზნები ძალიან ბუნდოვნად არის ფორმულირებული, გაუგებარია, რა უნდა შეფასდეს, რის მიმართ და როგორ.

2. *თუ მიზნის აღწერაში გამოვიყენებთ პროფესიულ, ტექნიკურ ენას, მისი გაზომვა შესაძლებელი იქნება.*

ეს მცდარი წარმოდგენაა. მაგ.: „მაიამ უნდა გააუმჯობესოს ცენტრალური სმენითი გადამუშავება“.

„გაკვეთილზე სოსომ უნდა გამოავლინოს ადეკვატური ინტერპერსონალური და კომუნიკაციური უნარები“.

„მერიმ უნდა გააუმჯობესოს ვიზუალურ-მოტორული და პერცეპტული უნარები“.

„გოგიმ ტექსტის აზრის გასაგებად უნდა გამოიყენოს სმენითი ინფორმაციის გადამუშავების სტრატეგიები“.

ეს ფორმულირებები ბუნდოვანია, ხოლო აღწერილი მიზნების გაზომვა – შეუძლებელი.

3. *თუ მიზნის აღწერაში გამოვიყენებთ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას, ზმნას, მისი გაზომვა შესაძლებელი იქნება.*

ეს მცდარი წარმოდგენაა. მაგ.: „ნიკამ უნდა დასვას შეკითხვები საკითხის გარკვევის მიზნით“.

„ნანამ უნდა შეიკავოს იმპულსი, როდესაც მასწავლებელი მშვიდად ჯდომას სთხოვს“.

„ლელამ უნდა გაიგოს არავერბალური კომუნიკაციის ნიშნები მასწავლებელთან ურთიერთობისას“.

ზემოაღნიშნული მიზნები ბუნდოვანია და მოქმედების აღმნიშვნელი ზმნა არ იძლევა ფორმულირებული მიზნის გაზომვის შესაძლებლობას.

ამრიგად, სპეციფიკურად განსაზღვრული მიზანი გუ-

ლისხმობს დეტალურად აღწერილ აქტივობას (რა უნდა იქნას მიღწეული), შესრულების კრიტერიუმებსა (რა შემთხვევაში ჩაითვლება მიზანი მიღწეულად) და თუ საჭიროა, განხორციელების პირობებს (სად, რა საშუალებებით).

განვიხილოთ დისლექსიის მქონე 16 წლის მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მიზანი.

10 სიტყვაში შოთამ უნდა დააჯგუფოს ბგერები, წარმოთქვას ბგერები სიტყვებში 80% სიზუსტით.

ამ მიზანში ბევრი რამ არის გაურკვეველი. პირველ რიგში, პირობები – რა ტიპის 10 სიტყვაზე უნდა იმუშაოს შოთამ – მარტივზე, რთულზე, ერთმარცვლიანზე, ორმარცვლიანზე თუ მრავალმარცვლიანზე? რას ნიშნავს 80% სიზუსტე? ეს გულისხმობს იმას, რომ 10 სიტყვიდან 80% სწორად უნდა წაიკითხოს, თუ სიტყვებში დაშვებული ყველა ტიპის შეცდომების რაოდენობა 80%-ია? რა იგულისხმება სიზუსტის ქვეშ – უშეცდომო წაკითხვა თუ ერთი ბგერის გადაადგილება და გამოტოვება?

როგორც ვხედავთ, ასე ფორმულირებული მიზანი არაფერს იძლევა არც სწავლების მეთოდის შერჩევის, არც პროგრესის შეფასების თვალსაზრისით და ამიტომ სრულიად უსარგებლოა.

ამრიგად, ნათელი, გაზომვადი და სპეციფიკური მიზნის ჩამოყალიბება შესაძლებელია მოსწავლის უნარებისა და მიღწევების არსებული დონის განსაზღვრის საფუძველზე. მოსწავლის არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია მისი პროგრესის დადგენა მოკლე და გრძელვადიანი მიზნების მიღწევისას.

ქვემოთ მოყვანილია მიზნისა და მისი შესრულების კრიტერიუმის მკაფიოდ განსაზღვრის მაგალითი.

მაგ.:

არსებული მდგომარეობა	პროგრესის მაჩვენებელი (კრიტერიუმი)	გრძელვადიანი მიზანი
შეუძლია ნახევარგვერდიანი საბავშვო მოთხრობის წაკითხვა, მაგრამ უშვებს 8-10 შეცდომას.	ნახევარგვერდიანი საბავშვო მოთხრობის წაკითხვა 2-3 შეცდომით.	უშეცდომოდ ერთგვერდიანი საბავშვო მოთხრობის ტექსტის წაკითხვა.
არ შეუძლია მაკრატლით ფურცლის გაჭრა არც დამოუკიდებლად, არც სხვისი დახმარებით.	შეუძლია მაკრატლით ფურცლის გაჭრა უფროსის დახმარებით.	დამოუკიდებლად ფურცლის გაჭრა მაკრატლით.

#### 4. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, შეფასება და პერიოდული მიმოხილვა

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გუნდი განსაზღვრავს ბავშვის სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებს, რაც წერილობით დოკუმენტში არის დეტალურად ასახული და დაკავშირებულია ყოველდღიურ საკლასო აქტივობებთან.

ი.ს.პ.-ს ეფექტური განხორციელება დინამიკური პროცესია და გულისხმობს:

- მოსწავლისათვის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მისაღწევი მიზნების დასახვას,
- მოსწავლის მისაღწევი მიზნების ყოველდღიურ შეფასებას,
- მოსწავლის საჭიროებების ცვლილების განსაზღვრას,



➤ ყოველდღიური გეგმის შექმნასა და მის მიმოხილვას.

**ყოველდღიური გეგმა** ი.ს.პ.-სა და ყოველდღიური საკლასო მუშაობის დამაკავშირებელი ხიდია. მასში დეტალურად არის აღწერილი, რა აქტივობებია დაგეგმილი გაკვეთილებზე, რა სტრატეგიები და მასალებია გამოყენებული, ვინ და რა პირობებში ახორციელებს დაგეგმილ აქტივობებს.

*ყოველდღიური გეგმა:*

- ასრულებს სწავლების სახელმძღვანელო ფუნქციას;
- იძლევა ინფორმაციას მოსწავლის კონკრეტული სასწავლო გარემოს შესახებ;
- იძლევა მოსწავლის პროგრესის ზუსტი აღრიცხვის საშუალებას;
- უზრუნველყოფს ანგარიშგებას;
- ხელს უწყობს გუნდის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და კომუნიკაციას მოსწავლის საქროებებთან დაკავშირებით;
- ეხმარება მასწავლებლებს, შეაფასონ სწავლების სტრატეგიებისა და სასწავლო მასალების ეფექტიანობა.

### **ყოველდღიური გეგმის კომპონენტები**

ეფექტური ყოველდღიური გეგმა შეიცავს:

- გაკვეთილების განრიგს,
- მისაღწევ მიზნებს,
- გარემოს დეტალურ აღწერას, სადაც მიიღწევა ეს მიზნები,
- დამხმარე რესურსებს (სარესურსო კლასის მასწავლებელი, მოხალისე მშობელი, თანატოლები, მასალები, აღჭურვილობა, გამოყენებული სტრატეგიები),
- შეფასების კრიტერიუმებსა და ჩანაწერების სტანდარტულ ცხრილებს.

ყოველი დღე ერთნაირი არ არის. ზოგიერთ დღეს დაგეგმილია სპეციფიკური აქტივობები, როგორცაა, ვთქვათ, საცურაო აუზზე ან სპორტულ დარბაზში წასვლა, სტუმრების ვიზიტები და სხვა კლასგარეშე აქტივობები.

დღის გეგმა არის მოსწავლის პროგრამის ერთ-ერთი აქტიური კომპონენტი. ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, იცოდეს, რა უნდა გააკეთოს და როდის.

ინფორმაცია ამ გეგმის შესახებ მოსწავლეს მიეწოდება მისთვის გასაგებ ენაზე, ანუ გამოყენებულია წერილობითი ან დასურათებული (სიტყვები, ფოტოები, ნახატები, სიმბოლოები) მასალა.

### **ყოველდღიური გეგმა ბავშვს აძლევს შემდეგ ინფორმაციას:**

- რა უნდა მოხდეს დღეს (რეგულარული აქტივობა და რაღაც განსხვავებული ან ახალი);
- როგორია მოვლენათა თანმიმდევრობა;
- როდის უნდა შეწყვიტოს ერთი აქტივობა და გადავიდეს სხვა აქტივობაზე.

ყოველდღიური გეგმის ასლი უნდა ჰქონდეს ბავშვის ყველა მასწავლებელს.

ყოველდღიური გეგმის განხორციელების პროცესში გუნდის წევრები პერიოდულად ხვდებიან და უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლის პროგრესის, დაგეგმილი აქტივობების, გამოყენებული სტრატეგიებისა და მასალების ეფექტიანობის შესახებ. ასეთ შეხვედრაზე ფასდება:

- მიზნების შესაბამისად სრულდება თუ არა ყოველდღიური გეგმა?
- რა უშლის ხელს ყოველდღიური გეგმის შესრულებას?
- განხორციელდა თუ არა სწავლისა და ქცევის მართვის დაგეგმილი სტრატეგიები? თუ არა, რა იყო ხელშემშლელი ფაქტორი?
- საჭიროა თუ არა სტრატეგიის, მასალების შეცვლა?

მოსწავლის ყოველდღიური გეგმები, გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობები, შესრულების შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლის შესრულების ნიმუშები იკრიბება ბავშვის პორტფოლიოში ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამასთან ერთად.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა ინსტრუმენტია ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპის – თანამონაწილეობის განსახორციელებლად.

იმისათვის, რომ ი.ს.პ.-მ ხორცი შეისხას, აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმის ბავშვის საჭიროებებზე მორგება. შესაბამისად, ყოველდღიურ სასწავლო გეგმაში დეტალურად არის აღწერილი და ცხრილის სახით წარმოდგენილი, თუ რა ხდება დღის განმავლობაში კონკრეტულ მოსწავლესთან დაკავშირებით, სად ხდება და როდის.

ი.ს.პ.-ს საფუძველზე ფორმულირებული გრძელი და მოკლევადიანი მიზნები კი მიიღწევა კონკრეტული საგნის გაკვეთილზე. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა ზუსტად უნდა იცოდეს, გაკვეთილის რომელ ნაწილში, რა სახით იქნება ჩართული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლე (იხ. ნიმუში 7). მეტად მნიშვნელოვანია, რომ მისი დავალება, მისთვის განკუთვნილი შეკითხვა, მისი აქტივობა არ იყოს გაკვეთილის კონტექსტიდან ამოვარდნილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ასახსნელი მასალა მოდიფიცირებული უნდა იყოს მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე შინაარსისა და სირთულის ხარისხის ცვლილებების გათვალისწინებით იმისათვის, რომ ბავშვს შეეძლოს გაკვეთილის პროცესში აქტიური ჩართვა.

პერიოდულ შეხვედრაზე გუნდის წევრები განიხილავენ რა ყოველდღიურ გეგმებს, გადახედავენ ი.ს.პ.-ს მისალწვე მიზნებსაც ან იღებენ გადანყვეტილებას შესატანი ცვლილებების, მიზნების უფრო ზუსტი ფორმულირების, შეფასებისა და ჩანაწერების წარმოების სრულყოფის შესახებ.

წლის ბოლოს, გუნდის შემაჯამებელ შეხვედრაზე განიხილება მოსწავლის პროგრესის შესახებ ყველა ჩანაწერი, შეფასება, შენიშვნა და კონკრეტული რეკომენდაციები შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

### **შეფასება და მისი როლი ი.ს.პ-ის წარმოებაში**

შეფასება ი.ს.პ-ს წარმოების პროცესში არის მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის პერიოდული მიმოხილვის

ციკლის ნაწილი. შეფასება ტარდება ისეთი საშუალებებით, რომლებიც ვალიდურია, სანდო და ობიექტური. ეს მეთოდები და საშუალებები განიხილება ი.ს.პ. შეხვედრაზე.

განასხვავებენ:

✓ შეფასებას თითოეულ საგანში აკადემიური მოსწრების განსაზღვრის მიზნით;

✓ შეფასებას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება კონკრეტული ბავშვის დიაგნოსტიკა მისი საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრის მიზნით;

✓ შეფასებას მიმდინარე პერიოდში ბავშვის მდგომარეობისა და პროგრესის განსაზღვრის მიზნით;

✓ შეფასებას ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ზოგადად, საგანმანათლებლო პროცესისა და სასწავლო პროგრამის შესაჯამებლად.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა შეფასდეს კონკრეტული მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული პროგრესი. ამისათვის უნდა ვიცოდეთ, რამდენად წარმატებულია პროგრამა და საჭიროებს თუ არა რაიმე სახის ცვლილებას. ამიტომ აუცილებელია მიზნის ჩამოყალიბებასთან ერთად განისაზღვროს შესრულების კრიტერიუმებიც.

იმისთვის, რომ შევაფასოთ ჩვენ მიერ დაგეგმილი პროგრამის ადეკვატურობა და წარმატება, მნიშვნელოვანია მიზნების გამოყოფასთან ერთად გაკეთდეს ყოველდღიური ჩანაწერების სისტემა. შეფასების ასეთი სისტემა განსხვავდება იმ შეფასებისგან, რომელიც დასაწყისში ტარდება ბავშვის განვითარების დონის, მისი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად. ეს სისტემა განსხვავდება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული, ანუ აკადემიური მოსწრების შეფასებისგანაც.

ყოველდღიური ჩანაწერების წარმოების სისტემა მორგებულია კონკრეტული ბავშვის საჭიროებებზე და კონკრეტული ამოცანების (მოკლევადიანი მიზნების) მიღწევის დონეს აფასებს.

ჩანაწერების სისტემას ადგენს პედაგოგი. ეს სისტემა მოქნილია და მისი ფორმა შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით,

თუ როგორი სისტემის წარმოება უადვილდება თავად პედაგოგს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები:

- ქცევა/უნარი, რომელსაც ვაფასებთ, უნდა იყოს კონკრეტული და ნათლად განსაზღვრული;
- დასახული ამოცანა – ქცევა, უნარი, ჩვევა ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მისი გაზომვა შეიძლებოდეს;
- ჩანაწერების წარმოება უნდა იყოს სისტემატური;
- უნდა იყოს მარტივად აღსაქმელი და გასაგები ნებისმიერი ადამიანისთვის.

შესაფასებელი ქცევა დებულების სახითაა წარმოდგენილი, შემდეგ შემოგვაქვს ქცევის გამოვლენისა თუ არარსებობის აღნიშვნა, ამოცანის, დავალების შესრულების ხარისხის აღნიშვნა. შეიძლება შევიმუშავოთ ქულების სისტემა, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს განმარტებული, რა შემთხვევაში ენიჭება კონკრეტულ დებულებას კონკრეტული ქულა. მაგ. შესაფასებელი ქცევები ან მიღწევები შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

- „ცნობს ანბანის ყველა ასოს“.
- „ასახელებს ანბანის ყველა ასოს“.
- „წერს საკუთარ სახელს დაფაზე დამოუკიდებლად“.
- „წერს საკუთარ სახელს დამოუკიდებლად რვეულში ან ფურცელზე“.
- „კითხულობს ნაცნობ ორმარცვლიან სიტყვებს მარცვალ-მარცვალ დამოუკიდებლად“.

ამ ტიპის დებულებები შეიძლება შევადგათ „+“ ან „-“ ნიშნით, სადაც + აღნიშნავს დავალების დამოუკიდებელ შესრულებას, „-“ აღნიშნავს დავალების შესრულების შეუძლებლობას, ხოლო „+დახმ.“ აღნიშნავს მოსწავლის მიერ დავალების შესრულებას მასწავლებლის დახმარებით. იგივე მნიშვნელობისაა ქულებიც, მაგ. 0- ვერ ასრულებს დავალებას, 1 – დახმარებით ასრულებს, 2- დამოუკიდებლად ასრულებს.

### შეფასების ცხრილი მშობლიურ ენაში

ნიმუში

თარიღი: \_\_\_\_\_

მოსწავლე:

მასწავლებელი:

		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1	ცნობს ანბანის ყველა ასოს					
2	ასახელებს ანბანის ყველა ასოს					
3	წერს საკუთარ სახელს დაფაზე დამოუკიდებლად					

ნიმუში

### შეფასების ცხრილი მათემატიკაში

თარიღი: \_\_\_\_\_

მოსწავლე:

მასწავლებელი:

		ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1	ითვლის ოცამდე					
2	შეუძლია გადათვლა 10 –მდე					
3	უმატებს ერთს ათის ფარგლებში					

მოსწავლის მიერ დავალების შესრულება ფასდება ქულე-  
ბით, რაც ასახავს მოსწავლის წარმატებას.

0 – ქულა – ვერ ასრულებს დავალებას

1 ქულა – ასრულებს დახმარებით

2 ქულა – ასრულებს დამოუკიდებლად

მასწავლებელს შეუძლია ცვალოს ქულათა სისტემა, შე-  
მოილოს 3 – 5 ქულიანი სისტემა. მნიშვნელოვანია, ზუსტად  
და გასაგებად იყოს განმარტებული, რა შემთხვევაში ენიჭება  
კონკრეტულ დავალებას კონკრეტული ქულა.


აუცილებელია გაკვეთილზე განსაკუთრებული საჭიროებე-  
ბის მქონე მოსწავლის მიერ დავალების შესრულების შეფასე-  
ბა. მისი დავალება შეიძლება სირთულით განსხვავდებოდეს  
კლასელების დავალებისგან, მაგრამ ის იმავე სისტემით უნდა  
ფასდებოდეს, როგორც მისი კლასელები. ასევე აუცილებე-  
ლია მოსწავლის სემესტრული შეფასებაც. განსაკუთრებული  
საჭიროებების მქონე ბავშვის შეფასების სისტემა, მისი ატ-  
ესტატის შინაარსი და სტატუსი განისაზღვრება კონკრეტული  
სახელმწიფოს განათლების პოლიტიკით და რეგულირდება შე-  
საბამისი კანონმდებლობით.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლე და  
მისი მშობლები, თანაკლასელები და მათი მშობლებიც ინ-  
ფორმირებული უნდა იყვნენ შეფასების პრინციპების შესახებ.  
მათ უნდა იცოდნენ, რა როლს ასრულებს შეფასების სისტემა  
გადანყვეტილების მიღებაში (კლასის დასრულება და შემდეგ  
კლასში გადასვლა), კონკრეტული მოსწავლის პროგრესისა და  
სირთულეების გამოვლენაში.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ინდივიდუალური საგან-  
მანათლებლო პროგრამის კომპონენტები, შენიშვნების პრო-  
ცესი და განხორციელების ეტაპები.


ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის განხორ-  
ციელების ალგორითმი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგი-  
ნოთ:


ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის  
განხორციელების ალგორითმი





**შეჯამება:**  
**ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა**  
**და ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმის**  
**მოდიფიკაციის პროცესი:**





**ი.ს.პ. გუნდის  
შეხვედრა**

- 1. შეხვედრის განრიგის შედგენა და მიწოდება გუნდის წევრებისთვის:**
  - შეხვედრის ადგილისა და დროის მითითება;
  - განსახილველი საკითხების ჩამონათვალი.
  
- 2. შეხვედრის დაწყება:**
  - მისალმება, გაცნობა;
  - შეხვედრის მიზნისა და განრიგის გაცნობა;
  - განრიგის საკითხების განსახილველი დროის დადგენა;
  - ჩანაწერებზე პასუხისმგებელი პირის არჩევა.
  
- 3. განრიგის მიხედვით საკითხების განხილვა:**
  - საკითხის გაცნობა და დისკუსია მის გარშემო;
  - დისკუსიის შეჯამება და შეთანხმება საკითხის გარშემო;
  - შემდეგი საკითხის განხილვა და ა.შ.
  - შეთანხმების მიღწევა განხილულ საკითხებთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის, აქტივობებისა თუ სტრატეგიების შესახებ.
  
- 4. შეხვედრის დასრულება:**
  - გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეჯამება;
  - შემდეგი შეხვედრის საკითხებისა და განრიგის განსაზღვრა;
  - შემდეგი შეხვედრის დროისა და ადგილის განსაზღვრა;
  - გუნდის წევრებისთვის მადლობის გადახდა და დამშვიდობება.

**ი.ს.პ. გუნდის  
ჰენჯეღრაჟი განსახილველი საკითხები**

- კონკრეტული მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის საჭიროების შესახებ გადამწყვეტილების მიღება;
- გუნდის წევრების როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება;
- მოსწავლის ისტორიის გაცნობა;
- მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
- მოსწავლის პროფილის განსაზღვრა;
- მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრა და პრიორიტეტების გამოყოფა;
- მოსწავლის არსებული განვითარების დონის, მიღწევებისა თუ შესაძლებლობების აღწერა;
- მოსწავლის სწავლის შედეგების, მიზნებისა და სასწავლო ამოცანების განსაზღვრა;
- ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის წერილობით გაფორმება;
- ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის დამტკიცება;
- დღის გეგმის შემუშავება და განხორციელების გზების დასახვა;
- მოსწავლის პროგრესის შეფასება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემოწმება და ცვლილებების შეტანა.

**მოსწავლის პროფილი**

ნიმუში 4

<p><b>მოსწავლის დემოგრაფიული მონაცემები, ისტორია</b></p>	<p><b>დიაგნოსტიკის შედეგები</b></p>	<p><b>ინტერესები, ძლიერი მხარეები</b></p>
	<p>სამედიცინო: განვითარების: აკადემიური რეგები: სხვა ადაპტაციური რეგები:</p>	
<p><b>არსებული შესაძლებლობები (უნარები, აკადემიური მიღწევები):</b></p>		<p><b>სასწავლო საჭიროებები</b></p>

## ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის კომპონენტები:

### I. დემოგრაფიული ინფორმაცია:

- მოსწავლის სახელი, გვარი;
- დაბადების თარიღი;
- სკოლა;
- მშობლების სახელი, გვარი;
- მისამართი;
- საკონტაქტო ტელეფონი;
- მომართვის დღე.

### II. მოსწავლის მონაცემები, ისტორია:

- რომელია ბავშვის მშობლიური ენა?
- სამედიცინო ისტორია (თუ არსებობს);
- მკურნალობა (თუ აქვს დანიშნული მედიკამენტები);
- რა გავლენას ახდენს სამედიცინო მდგომარეობა სწავლის პროცესზე?
- რა მომსახურებით სარგებლობდა (ან სარგებლობს) ბავშვი (სპეციალისტების დახმარება, რეაბილიტაცია)?
- რომელ კლასშია ბავშვი?
- ბავშვის სასკოლო ისტორია: რომელ სკოლებში სწავლობდა, რომელ კლასში, როგორი იყო (აქვს) გაკვეთილებზე დასწრება?
- რა სახის დახმარებას იღებდა ბავშვი სწავლის პროცესში?
- ჰყავდა (ჰყავს) თუ არა სარესურსო კლასის მასწავლებელი?

### III. მოსწავლის შესაძლებლობები:

- რა შეუძლია მოსწავლეს?
- არსებობს თუ არა საკმარისი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან ბავშვის შესაძლებლობების შესახებ?
- ორგანიზებულია თუ არა ინფორმაცია ბავშვის შესაძლებლობების შესახებ სფეროების მიხედვით?

- ბავშვის შესაძლებლობები აღწერილია მკაფიოდ და ობიექტურად, ისე, რომ შეიძლებოდეს მათი გაზომვა?
- განსაზღვრულია მოსწავლის საჭიროებები და გამოყოფილია პრიორიტეტები?

#### **IV. სწავლების სპეციფიკური შედეგები (გრძელვადიანი სასწავლო მიზნები)**

- ეფუძნება სწავლის შედეგები მოსწავლის რეალურად შეფასებულ შესაძლებლობებსა და უნარებს?
- პოზიტიურად არის თუ არა განსაზღვრული შედეგები?
- რამდენად რეალური და მიღწევადია სწავლის შედეგები, მათი რაოდენობა?
- შედეგებში აღწერილია, თუ რას უნდა აკეთებდეს მოსწავლე მის მიერ ათვისებული ცოდნის გამოსავლენად?

#### **V. მოკლევადიანი სასწავლო მიზნები:**

- მოკლევადიანი სასწავლო მიზნები ფორმულირებულია მცირე კომპონენტებისა და ნაბიჯების მიხედვით?
- მოკლევადიანი სასწავლო მიზნები განსაზღვრავენ დასახული სპეციფიკური სასწავლო შედეგის მიღწევას?
- როდის არის მოსალოდნელი დასახული შედეგის მიღწევა?
- მოკლევადიანი სასწავლო მიზნები დაკვირვებადი და გაზომვადია?
- რა პირობებში უნდა მიაღწიოს მოსწავლემ მოკლევადიან სასწავლო მიზნებს?
- რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს მოკლევადიანი სასწავლო მიზნების წარმატებული მიღწევა?

#### **VI. მეთოდები, მასალები და სტრატეგიები**

- სწავლების რა სტრატეგიები უნდა იქნეს გამოყენებული სასწავლო მიზნების მისაღწევად?
- შეფასების რა საშუალებები იქნება გამოყენებული?
- რა რესურსები იქნება გამოყენებული?

**VII. ვინ და სად?**

- ➔ ვინ უნდა განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა? (გუნდის წევრების ვინაობა და მათი როლი)
- ➔ სად უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა? (იმ ადგილების ჩამონათვალი, სადაც დაგეგმილი აქტივობები უნდა განხორციელდეს – საკლასო ოთახი, ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, ეზო, სასა-დილო, ექსკურსია და ა.შ.).

ნიმუში 6

**მოსწავლის სასწავლო მიზნები**

მოსწავლის სახელი, გვარი \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

სასწავლო გეგმის ტიპი: აკომოდაცია  ადაპტაცია   
 პარალელური სასწავლო გეგმა  გადამფარავი სასწავლო გეგმა

სფერო	მოსწავლის არსებული დონე (მიღწევის, უნარის) რა შეუძლია?	გრძელვადიანი მიზანი	მოკლევადიანი მიზანი



**გაკვეთილის გეგმა**

მოსწავლის სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

ასაკი: \_\_\_\_\_

კლასი: \_\_\_\_\_

მასწავლებელი: \_\_\_\_\_

სარესურსო კლასის მასწავლებელი: \_\_\_\_\_

**მიზანი:**

**ამოცანები:**

**გაკვეთილის განრიგი (რუტინა):**

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

**გაკვეთილზე განსახორციელებელი აქტივობები:**

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა (გაკვეთილზე დასახული ამოცანები):

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

გაკვეთილის რომელ კომპონენტებსა და დავალებებს ესაჭიროება მოდიფიკაცია?

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

## ლიტერატურა

1. გაგომიძე თ. (2007). ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. თბილისი: ნეკერი.
2. Asante,S. What is Inclusion? [www.inclusion.com](http://www.inclusion.com).
3. Bateman, B., Herr, G. (2006). Writing measurable IEP goals and objectives. IEP Resources.
4. Bender, W. (1992). Learning Disabilities: Characteristics, identification and teaching strategies. Boston: Allyn and Bacon.
5. Classroom management: a California resource Guide for teachers and administrators of Elementary and Secondary schools (2000). <http://www.lacoe.edu>.
6. Coga, N. (2003). Curriculum Modification. NCAC
7. Common Signs of Learning Disabilities. <http://www.idonline.org/ldbasics/signs>.
8. Courtade-Little, G., Browder D. (2005). Aligning IEP's to academic standards. IEP Resources.
9. Curriculum modifications and adaptations. [www.cast.org](http://www.cast.org).
10. Dakar Framework of Action (2000). Education for All. Meeting our Collective commitments. Dakar, Senegal, 26-28 April.
11. Definition of Disability. [www.dpa.org.sg/definition\\_disability.htm](http://www.dpa.org.sg/definition_disability.htm).
12. Ebeling, D., De Schenes, C., Sprague, J. (1994). Adapting Curriculum and Instruction in Inclusive classrooms: A teachers Desk Reference. ISDD-CSCI Publ.
13. Hehir, T. (2006). New Directions in Special Education. Harvard Education Press.
14. Forest, M., Pearpoint, K. (2004). MAPS: Action Planning.
15. Forest, M., Pearpoint, K. (2005). Common Sense Tools: MAPS and SIR-CLES for Inclusive Education. [www.inclusion.com](http://www.inclusion.com).
16. ICF. International Classification of Functioning Disability and Health (2001). WHO.
17. IDEA'97 (1997). Individuals with Disabilities Education Act.
18. IDEA'04 (2004). Individuals with Disabilities Education Act.
19. Kanger, J., Hitchcock, C. (2003). Access to the General Curriculum for Students with Disabilities. (NCAC).
20. King-Sears, M. (2001). Three Steps for gaining access to the general education curriculum for learners with disabilities. In: Intervention in School and Clinic, 37(2), 62-76.
21. Maslow A. (1943). A Theory of Human Motivation. Psychol. Res., vol.50, N4, 370-396.

22. Maslow, A. (1954) *Motivation and Personality*. N.Y.
23. McIntosh, L. (1998). *Individual Education Planning. A handbook for Developing and Implementing IEP's, early to senior years*. Manitoba Education and Training.
24. McLeskey, J., Warldon, N. (1996). Responses to questions teachers and administrators frequently ask about inclusive school programs. [www.pdkintl.org](http://www.pdkintl.org) (*Phi Delta Kappa*, vol. 78, N10).
25. McNary, S., Glasgow, N., Hicks, C. (2005). *What Successful Teachers Do in Inclusive Classrooms: 60 Research-Based Teaching Strategies That Help Special Learners Succeed*. Thousand Oaks: Corwin Press.
26. Moll, A.M. (2005). *Differential Instruction Guide for Inclusive Teaching*. Dude Publishing: N.Y.
27. Pennington, B. F. (1991). *Diagnosing Learning Disorders, a Neuropsychological Framework*. The Guilford Press.
28. Raymond, H. (2000). *Inclusive Education: Stories and strategies for Success*. [www.ualberta.ca](http://www.ualberta.ca).
29. Reisberg, L. (1990). Curriculum Evaluation and Modification: an effective teaching perspective. In: *Intervention in School and Clinic*. 26(2), 99-105.
30. Rief, S., Heimburge, J. (2006). *How to Reach and Teach All Children in the Inclusive Classroom: Practical Strategies, Lessons, and Activities*. 2<sup>nd</sup> Edition.
31. Siegel, L. (2007). *The IEP Complete Guide*. Berkley.
32. *Sample Individualized Education Program and Guidance Document (2002)*. The University of the State of New York.
33. Southwest Educational Developmental Laboratory (1995). *Inclusion: The Pros and Cons*. vol. 4, N3.
34. Taylor, G. (1999). *Curriculum Models and Strategies for Educating Individuals with Disabilities in Inclusive Classrooms*. Ch. Thomas Publ., Springfield.
35. *Teaching and Intervention Strategies*. <http://www.behavioradvisor.com>.
36. *The Salamanca Statement and Framework for Action on Special Needs Education*. (1994). Salamanca, 7-10 June, 1994, UNESCO.
37. Thompson, S. (1996). *Nonverbal Learning Disorders*. <http://www.nldontheweb.org>.
38. *Towards Inclusion: A Handbook for Modified Course Designation. Renewing Education: New Directions*. Manitoba Education Training (1995).
39. *Visual and Auditory Processing Disorders*. By: National Center for Learning Disabilities. (1999). <http://www.ldonline.org/article/6390>
40. Wehmeyer et al., (2001). *Education Planning, Decision Making and Instruction*. Baltimore.
41. *What is Developmental Disability?* [www.ddrcco.com](http://www.ddrcco.com)







